სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი



ათინათი

დონე B1

ათინათი

დონე B1

2026

პროექტის ხელმძღვანელი
ნინო ბერიკაშვილი

მეთოდური ხელმძღვანელი
ნინო შარაშენიძე

რედაქტორი
მაია მღებრიშვილი

ილუსტრატორი და დიზაინერი
მარიამ ელიზბარაშვილი

ავტორები:

ნინო შარაშენიძე
ნინო ბუთურიშვილი
ნანა არაბული
ლალი ასლამაზიშვილი - დალაქიშვილი
ნინო ბუთურიშვილი
ცაულინა მალაზონია
ია რობაქიძე

წინასიტყვაობა

ქართული ენის ოთხდონიანი სახელმძღვანელოსთვის (საანბანე, A1, A2, B1)

ენის შესწავლა მხოლოდ ახალი სიტყვებისა და გრამატიკული წესების ათვისება არ არის — ეს არის მოგზაურობა ახალ კულტურაში. სწორედ ამ იდეას ეფუძნება ქართული ენის შესასწავლი ოთხდონიანი სახელმძღვანელო „ათინათი“ (საანბანე, A1, A2, B1), რომელიც ქართული ენის შემსწავლელთათვის სწავლების თანამედროვე, კომუნიკაციური და პრაქტიკული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შეიქმნა.

წინამდებარე სასწავლო კომპლექტი (სახელმძღვანელო და სამუშაო რვეული) მიზნად ისახავს ენის ათვისების პროცესი გახადოს მაქსიმალურად ინტერაქტიული, თანმიმდევრული და რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებული, რათა შემსწავლელებს გაუადვილდეთ ყოველდღიური კომუნიკაცია და ადგილობრივ სოციოკულტურულ გარემოში ინტეგრაცია.

სახელმძღვანელოში თითოეული თემა კომპლექსურად არის სტრუქტურირებული და დამუშავებული სპეციალური რუბრიკების მეშვეობით. ეს რუბრიკები ფარავს ენობრივი კომპეტენციის ყველა ძირითად მიმართულებას - მოსმენას, კითხვას, ლაპარაკსა და წერას, აგრეთვე ლექსიკასა და გრამატიკას. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მასალის მრავალმხრივ გააზრებას: ენის შემსწავლელები ჯერ ეცნობიან თემატურ ლექსიკასა და ტექსტებს, შემდეგ კი სხვადასხვა რუბრიკის დახმარებით მიღებულ ცოდნას პრაქტიკულ, საკომუნიკაციო სიტუაციებში იყენებენ.

ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო საიმედო გზამკვლევი გახდება როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის, რომლებიც ქართული ენისა და კულტურის შესასწავლად პირველ ნაბიჯებს დგამენ.

გისურვებთ ნაყოფიერ და საინტერესო სასწავლო პროცესს!

სარჩევი

საინტერესო ადამიანები... ხასიათები, თვისებები... 6

რა პროფესიის ხართ? 27

რას გვირჩევენ დიზაინერები? 47

ფესტივალები საქართველოში/თბილისში 74

თუ სპორტი გიყვართ... 94

ინტერნეტი ჩვენს ცხოვრებაში 114

ბანკში მივდივართ 133

მოქალაქე და ორგანიზაცია 152

ლექსიკა: ბიოგრაფიისათვის საჭირო სიტყვები და ფრაზები.

გრამატიკული საკითხი: პიროვნების დამახასიათებელი ზედსართავი სახელები; -ად დაბოლოებიანი ფორმების დანიშნულება (მუშაობდა მასწავლებლად, მიიჩნეოდა გენიოსად); მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვები დროის გამოსახატავად; (-ს,-ის, იდან/მდე, - დან/ამდე) თანდებული; წარსულის დაუსრულებელი (უწყვეტელი) და დასრულებული (წყვეტილი) მოქმედება.

ზმნები: დაიბადა, დაიწყო, ეხმარებოდა, აინტერესებდა, გაემგზავრა, მუშაობდა, ცხოვრობდა, ცდილობდა, განაცხადა, შეძლო; წარმატებას მიაღწია; გახდა, ჩამოყალიბდა; გამოსცემდა - გამოსცა, იზრდებოდა - გაიზარდა, პასუხობდა - უპასუხა.

თემის გახსნისათვის

1. დააკვირდით ლოგოს და თქვით:

ა. რა იცით მის შესახებ?
ბ. რა არის? რისთვისაა?
გ. ვინ შექმნა?
დ. სად, რომელ ქვეყანაში შეიქმნა?



2. დააკვირდით ნახატებს, ფოტოს და გამოთქვით თქვენი აზრი, ხედავთ თუ არა კავშირს ლოგოსა და ნახატებს შორის? რის თქმას ცდილობდა მხატვარი თავისი ნამუშევრებით?





მე ვფიქრობ ... ჩემი აზრით, ...
როგორც ცნობილია ...
მე მგონია, რომ ...
თუ ნახატებს დავაკვირდებით, ...

3. ა) რა იცით ფოტოზე გამოსახული ადამიანის შესახებ?



თქვენი აზრით, ვინაა, რა პროფესიისაა?

„სალვადორ დალის ზოგი შეშლილად მიიჩნევდა, ზოგი კი - გენიოსად“.

ბ) ეთანხმებით ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას? დაასაბუთეთ თქვენი ვარაუდი. იმსჯელეთ - სალვადორ დალი გენიოსი იყო თუ შეშლილი?

გამოიყენეთ: უცნაური, საოცარი, არარეალური, განსხვავებული, თავისებური, ჩვეულებრივი.

ჩემი აზრით, ... ის იყო ..... , რადგან ....

4. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

შეძლებული ყველაფერს უსრულებდა შთამომავალი იყო (ამბობენ პატივისცემის გამოხატვისას) ანებივრებდა შვილი და მომდევნო თაობები გახლდათ მდიდარი, ქონებრივად შეძლებული ოჯახი

4 ა) მოცემული სიტყვები ჩასვით შესაბამის წინადადებაში:

შეუძლებელი, შთამომავალი, ანებივრებდა, გახლდათ

1. სალვადორ დალის მასწავლებელი საქვეყნოდ ცნობილი ხუან ნუნიესი ....
2. სალვადორ დალი ..... ოჯახის შვილი იყო.
3. სალვადორს ყველა .....
4. სალვადორი პატივცემული ნოტარიუსის ..... იყო.

ბ) შეადგინეთ წინადადებები ზემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

5. კონტექსტის მიხედვით მოიფიქრეთ და ჩასვით სათანადო გამოთქმა/ფრაზა წინადადებაში:

- ხმის მიცემის შედეგად გაირკვა, რომ შეკრებაზე გიორგის მიერ წარმოთქმულ წინადადებას
- .... დამსწრეთა ნახევარზე მეტი .
- ნატალიას ძალიან უნდოდა საცხოვრებლად სოფელში წასვლა, მის ამ მოსაზრებას მისი მეუღლეც ....

6. დააკვირდით:

სალვადორი პეიზაჟების ხატვით იყო გართული .	15 წლის ასაკიდან აქტიურად ერთვება / ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ახლა ან ზოგადად	მე ვარ გართული / გართული ვარ წიგნის კითხვით. შენ ხარ გართული / გართული ხარ წიგნის კითხვით. ის არის გართული / გართულია წიგნის კითხვით.	მე ვერთვები პანდემიის პრევენციულ ღონისძიებებში. შენ ერთვები პანდემიის პრევენციულ ღონისძიებებში. ის ერთვება პანდემიის პრევენციულ ღონისძიებებში.
წარსული/ უკვე	მე ვიყავი გართული/გართული ვიყავი წიგნის კითხვით. შენ იყავი გართული/ გართული იყავი წიგნის კითხვით. ის იყო გართული / გართული იყო წიგნის კითხვით.	მე ჩავერთე პანდემიის პრევენციულ ღონისძიებებში. შენ ჩაერთე პანდემიის პრევენციულ ღონისძიებებში. ის ჩაერთო პანდემიის პრევენციულ ღონისძიებებში.

ზემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით ჩასვით სათანადო სიტყვა:

1. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი USAID-ის ახალ საგანმანათლებლო პროექტში .....

2. დედა დილიდან ..... საოჯახო საქმით.

კითხვა

7. წაიკითხეთ მოცემული ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

1. „ჩემსა და შეშლილს შორის ის განსხვავებაა, რომ მე შეშლილი არ ვარ!“- ეს იმ ადამიანის სიტყვებია, რომელმაც მსოფლიო შეშალა თავისი შედევრებით. ესპანელი მხატვარი და ფერმწერი სალვადორ დალი 1904 წლის 11 მაისს ესპანეთში, კატალონიის ქალაქ ფიგერასში, დაიბადა.

2. მამამისი იურისტი იყო და ნოტარიუსად მუშაობდა, იგი იყო წარმატებული, პატივსაცემი პიროვნება და მკაცრი მამა. დედა ოჯახის დიასახლისი და შვილების აღმზრდელი გახლდათ. სალვადორს ერთი უმცროსი და ჰყავდა, ანა-მარია, რომელიც მისი ბავშვობის საუკეთესო მეგობარი იყო. და, მამა და მეგობრები გვიამბობენ, რომ იგი ბავშვობიდანვე დაბნეული და საკუთარ თავში ჩაკეტილი იყო. იგი 1914 წლიდან 1918 წლამდე მშობლიურ ქალაქში მარისტების აკადემიაში იზრდებოდა.

3. სალვადორი ძალიან განათლებული ბავშვი იყო. აინტერესებდა ფსიქოლოგია, ფილოსოფია და პოლიტიკა. კლასელები მასთან არ მეგობრობდნენ , მეტისმეტად თავდაჯერებულად და ამაყად მიაჩნდათ. მართალია, მორიდებული ბავშვი იყო, თუმცა თავისი საქციელით ახლობლების შეშფოთება ბავშვობაშივე შეძლო. პედაგოგებიც უჩიოდნენ, რადგან პრინციპულად არ პასუხობდა კითხვებს - ამ საკითხზე თქვენზე მეტი ვიციო.

4. ხატვა 4 წლისამ დაიწყო, თუმცა ხატვის ნიჭთან ერთად მას წერის ნიჭიც აღმოაჩნდა, წერდა ლექსებს. 15 წლის ასაკში ის მეგობრებთან ერთად ჟურნალს გამოსცემდა. მოგვიანებით სალვადორ დალიმ წიგნების წერა დაიწყო. 1942 წელს მან გამოსცა ავტობიოგრაფიული რომანი „სალვადორ დალის საიდუმლო ცხოვრება“ და „ერთი გენიოსის დღიური“. მისი მცდელობა ლიტერატურაშიც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

5. მან ძალები კინემატოგრაფიაშიც მოსინჯა. წერდა სცენარებს, ეხმარებოდა ლუის ბუნიუელს უკვე კლასიკად ქცეული ფილმების გადაღებაში. თანამშრომლობდა ალფრედ ჰიჩკოკთან. აინტერესებდა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია, რამაც მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

6. 1921 წელს სალვადორი მადრიდში გაემგზავრა. მან სწავლა სან - ფერნანდოს აკადემიაში გააგრძელა. სალვადორ დალის პირველი პერსონალური გამოფენა გაიმართა ბარსელონაში, გალერეა დალმოში 1925 წელს 14 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე. 1926 წელს დალი სან ფერნანდოს უნივერსიტეტიდან ზედმეტი ექ-

სტრავაგანტურობისა და პედაგოგებისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო გარიცხეს. იმავე წელს იგი პარიზში გაემგზავრა, სადაც გაიცნო პაბლო პიკასო.

1940 წლიდან 1949 წლამდე იგი ამერიკაში ცხოვრობდა. დალი იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც წარმოსახვის ფერწერულ ტილოზე გადმოტანას ცდილობდნენ.

7. სალვადორ დალი 1989 წლის 23 იანვარს გულის შეტევით გარდაიცვალა. დაკრძალულია ფიგერასში, საკუთარი სახლის ეზოში. თავისი ქონება და ნახატები მან ესპანეთს დაუტოვა.

8. ამ ექსცენტრიულ ესპანელ მხატვარს საოცარი იდეები მოსდიოდა თავში. მას შეეძლო, დარბაზში, სადაც მეტად პატივსაცემი სტუმრები ელოდნენ, საკუთარ წარმომადგენლად ცხენი ან აქლემი შეეშვა. ეს ექსტრავაგანტური მხატვარი განაცვიფრებდა საზოგადოებას თავისი ქცევებით. იგი პარიზის ცნობილ სასტუმრო „მაურისში“ ხშირად დადიოდა. მომსახურე პერსონალი მხატვრის წასვლის შემდეგ მასზე დაუჯერებელ ისტორიებს ჰყვებოდა. მაგალითად, ოთხვარსკვლავიან სასტუმროში თხები შერეკა. ზოგჯერ ბუზები სჭირდებოდა. სასტუმროს პერსონალს აჭერინებდა და თითოში 5 ფრანკს უხდიდა.

9. სალვადორ დალიმ ერთხელ ასეთი რამ განაცხადა: „ყოველ დილას აღუწერელი ბედნიერების შეგრძნება მაღვიძებს მხოლოდ იმის გამო, რომ სალვადორ დალი ვარ. მართლაც უსაზღვროდ სასიამოვნოა, იყო სალვადორ დალი. როგორც კი გამოვფხიზლდები, საკუთარ თავს აღფრთოვანებით ვეკითხები, ნეტავ დღეს რა შესანიშნავი რამეების გაკეთებას აპირებს ეს სალვადორ დალი?“

სალვადორ დალი საკუთარ თავს „ღვთაებრივ დალის” ეძახდა. სურდა, ერთი შეხედვით ეცნოთ, არასოდეს არავისში შეშლოდათ, ამიტომ ატარებდა გრძელ და აპრეხილ ულვაშს, უცნაურ ქუდს, უცნაურ სამოსს, აწყობდა სკანდალებს. ხატავდა თავის მოგონებებს, შიშებს, ოცნებებს, გასაოცარ შეგრძნებებს, ილუზიებსა და კოშმარულ სიზმრებს. საკუთარ თავს გენიოსად მიიჩნევდა, გარშემომყოფნი კი შეშლილად თვლიდნენ. ამის პასუხად ამაყად აცხადებდა, ჩემსა და შეშლილს შორის ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ მე შეშლილი არ ვარო.

8. რა ტიპის ტექსტია?

შემოხაზეთ:

ავტობიოგრაფია ბიოგრაფია წერილი, CV

9. დანომრეთ აბზაცების მიხედვით:

	დაბადება
	ოჯახი
	კინემატოგრაფია
	მწერლობის ნიჭი
	პირველი გამოფენა
	დაუჯერებელი ისტორიები

10. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

ა. რა პროფესიის იყო სალვადორ დალი?

.....

ბ. სადაური იყო ის?

.....

გ. როდის დაიბადა?

.....

დ. რატომ არ მეგობრობდნენ მასთან კლასელები?

.....

ე. რატომ არ პასუხობდა იგი პედაგოგების კითხვებს?

.....

ვ. რატომ ატარებდა სალვადორი გრძელ და აპრეხილ ულვაშს, უცნაურ სამოსს?

.....

დააკვირდით განმარტებებს:

ქედმაღალი - ის, ვინც თავის ღირსებას გადაჭარბებით აფასებს.
თავმდაბალი - ის, ვინც მოკრძალებულია და სხვებს პატივს სცემს.
გულჩათხრობილი - ის, ვინც საკუთარ ფიქრებს სხვას არ ეუბნება.
თავდაჯერებული - ის, ვინც საკუთარ შესაძლებლოებში დარწმუნებულია.
ჯიუტი - ის, ვინც სხვის მოსაზრებას არ იზიარებს და მხოლოდ საკუთარი გონებით მოქმედებს.
ექსტრავაგანტური - ის, ვინც საყოველთაოდ მიღებული წესების შეუფერებლად იქცევა.

11. დააკავშირეთ:

სინონიმები:

ქედმაღალი	ექსცენტრული
ჯიუტი	მორცხვი
მორიდებული	ამპარტავანი
ექსტრავაგანტური	პრინციპული

ანტონიმები:

პრინციპული	თამამი
ამპარტავანი	უნიჭო
მორცხვი	დამთმობი
ნიჭიერი	თავმდაბალი

12. დაუბრუნდით ტექსტს და შეავსეთ წინადადებები შესაბამისი სიტყვებით:

1. სალვადორის მამას ..... ხასიათი ჰქონდა.
2. მამა ნოტარიუსად მუშაობდა, დედა კი ..... იყო.
3. სალვადორის და, ანა-მარია, სალვადორზე ..... იყო.

4. სალვადორი თავის კლასელებს მეტისმეტად ..... და ..... მიაჩნდათ.

5. ხატვის ნიჭთან ერთად სალვადორს ..... ნიჭიც აღმოაჩნდა.

6. მან ძალები ..... მოსინჯა.

7. სასტუმროს პერსონალს ..... აჭერინებდა და თითოში 5 ფრანკს უხდიდა.

8. დალი იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნებოდა , რომლებიც ..... ფერწერულ ტილოზე გადმოტანას ცდილობდნენ.

13. ამოიწერეთ ტექსტიდან წინადადებები, მონაკვეთები, რომლებშიც ჩანს მხატვრის თვისებები:

თავდაჯერებული .....

.....

.....

ამპარტავანი, ქედმაღალი .....

.....

.....

ჯიუტი .....

.....

.....

ექსტრავაგანტური .....

.....

.....

გულჩათხრობილი .....

.....

.....

14. ტექსტში გამოტოვებული ადგილები შეავსეთ ქვემოთ მოცემული წინადადებებით:

1. ზედმეტი ექსტრავაგანტულობის გამო გარიცხეს.
2. მასწავლებლებს კითხვებზე არ პასუხობდა, ამ საკითხზე თქვენზე მეტი ვიციო.
3. „სალვადორ დალის საიდუმლო ცხოვრება“.
4. მას აინტერესებდა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პოლიტიკა.
5. მან სწავლა სან-ფერნანდოს აკადემიაში გააგრძელა.
6. იგი არავისთან მეგობრობდა საკუთარი დის გარდა.

სალვადორი საკუთარ თავში ჩაკეტილი ბავშვი იყო, ... სალვადორი იყო ძალიან განათლებული და იჩენდა ცნობისმოყვარეობას .... იგი მეტისმეტად თავდაჯერებული იყო, ... 1921 წელს სალვადორი მადრიდში გაემგზავრა, ... 1926 წელს დალი სან. ფერნანდოს უნივერსიტეტიდან ..... მან გამოსცა ავტობიოგრაფიული რომანი ..... .

15. წაიკითხეთ ზემოთ მოცემული ტექსტი სალვადორ დალის შესახებ და ამოწერეთ შემდეგი ინფორმაცია:

პირადი მონაცემები:

პროფესია:
სახელი გვარი:
დაბადების თარიღი:
დაბადების ადგილი:
გარდაცვალების თარიღი:
დაკრძალვის ადგილი:

ოჯახის წევრები:

მოღვაწეობა/საქმიანობა:

სალვადორ დალის თვისებები:

გატაცებები, ინტერესები, ნიჭი უნარები:

სალვადორ დალის ურთიერთობები:

დასთან:

კლასელებთან:

რეჟისორ ალფრედ ჰიჩკოკთან:

პედაგოგებთან:

დალის საოცარი/არაორდინალური საქციელი:

გრამატიკა

16. ამოწერეთ ტექსტიდან ხაზგასმული ზმნები და გადაანაწილეთ ცხრილში:

უწყვეტელი/ რას შვრებოდა? არ ჩანს მოქმედების დასასრული	წყვეტილი რა ქნა? ჩანს, რომ მოქმედება დასრულდა
მუშაობდა	შეეშალა

17. გამოიყენეთ წინა დავალების ცხრილი და ჩასვით შესაბამისი ზმნა გამოტოვებულ ადგილას:

- გიორგი ადრე პოლიციელად ..... , ახლა კი დაცვის სამსახურში .....
- ანა ქალაქ ქუთაისში დაიბადა და იქვე ..... , შემდეგ მისი ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.
- ის სტუდენტობისას ახალგაზრდულ ჟურნალს ..... .
- დავითს მხატვრობის ეს მიმდინარეობა განსაკუთრებით ..... .
- სკოლის დამთავრების შემდეგ ნინომ სწავლა უნივერსიტეტში ..... ლაშა ახალგაზრდობაში გრძელ თმას ..... .

18. დააკვირდით ორივე ცხრილს და შეასრულეთ დავალება:

- სალვადორ დალი დაიბადა 1904 წლის 11 მაისს.
- 1921 წელს სალვადორი მადრიდში გაემგზავრა.
- 1940 წლიდან 1949 წლამდე იგი ამერიკაში ცხოვრობდა.

იანვარ - ი	იანვარ - ს
მაის - ი	მაის - ს
აგვისტო	აგვისტო - ს

დაასრულეთ სიტყვები წინადადებებში:- ს , - ის , -იდან, - მდე/ამდე

1. სალვადორ დალი გარდაიცვალა 1889 წლ - ... 23 იანვარ - ... .
2. იგი 1914 წლ - ... 1918 წლ - ... მშობლიურ ქალაქში მარისტების აკადემიაში იზრდებოდა.
3. 1942 წელ - ... მან გამოსცა ავტობიოგრაფიული რომანი.
4. ნიკო ფიროსმანი დაიბადა 1862 წლ - ... 5 აპრილ - ... .
5. 1862 წლ- ... 1869 წლ - ... ნიკო ფიროსმანი კახეთის ერთ-ერთ სოფელში, მირზაანში, ცხოვრობდა.
6. ფრანგი მოცეკვავე მარგარიტა საქართველოში ჩამოვიდა 1905 წელ - ... და შეხვდა ნიკო ფიროსმანს.

19. დააკვირდით ცხრილს და შეავსეთ წინადადებები:

• სალვადორის მამა მუშაობდა ნოტარიუსად. იგი ცნობილი ნოტარიუსი იყო. • სალვადორის დედა იყო დიასახლისი. ~~მუშაობდა დიასახლისად~~. • საზოგადოების ნაწილი სალვადორ დალის გენიოსად მიიჩნევდა. / საზოგადოების ნაწილი თვლიდა, რომ სალვადორ დალი გენიოსი იყო.
მუშაობდა მიაჩნდა /მიიჩნევდა .....- ად თვლიდა

1. სალვადორის კლასელები მასთან არ მეგობრობდნენ, რადგან მეტისმეტად (თავდაჯერებული) ..... და (ამაყი) ..... მიაჩნდათ.
2. ნიკო ფიროსმანი 1890-1894 წ.წ (კონდუქტორი) ..... მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე.
3. ნიკო თბილისში ჩამოიყვანეს და ერთ მდიდარ ოჯახში (მოსამსახურე) .... დატოვეს.
4. სალვადორი ალფრედ ჰიჩკოკთან (სცენარისტი) ..... მუშაობდა.
5. იკო ფიროსმანს ხალხი (გენიოსი) ..... მიიჩნევს.
6. გიორგი სკოლაში (დარაჯი) ..... მუშაობდა.
7. ჩემი მეგობრის დედა (მებაჟე) ..... მუშაობს.
8. სტილისტ არმენს ყველა (პროფესიონალი) ..... მიიჩნევს.

20. მოიძიეთ ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის, ბიოგრაფია. შეგიძლიათ ნახოთ მხატვრული ფილმი მის შესახებ. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაცია და ისაუბრეთ მხატვრის შესახებ:





პირადი მონაცემები:

პროფესია: თვითნასწავლი ქართველი მხატვარი
სახელი გვარი: ნიკო ფიროსმანიშვილი
დაბადების თარიღი: 1862 ან 1863 წელი
დაბადების ადგილი: საქართველო, კახეთის მხარე, სოფელი მირზაანი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი
გარდაცვალების თარიღი: 1918 წელი.
დაკრძალვის ადგილი: უცნობია
ოჯახის წევრები: ორი და; ადრე დაობლდა, დედ-მამა ადრე გარდაეცვალა;

ნიკო ფიროსმანის თვისებები:

უყვარდა ხატვა, თეატრი;
კეთილი, თავმოყვარე, ყველაფერი აინტერესებდა, ბევრს კითხულობდა;
ძალიან ამაყი და დამოუკიდებელი:
მეტსახელი „გრაფი“
განათლებული და ნაკითხი
მისი სურათები მოწმობს, თუ რამდენად ნათელი წარმოდგენა ჰქონდა მხატვარს ქართული ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრების შესახებ.

ნიკო ფიროსმანის საოცარი/არაორდინალური საქციელი:

თბილისში ფრანგი მომღერალი ჩამოვიდა. ფიროსმანმა მისი პორტრეტი დახატა და აჩუქა. ნიკო ფიროსმანის ცნობილი სურათი „აკტრისა მარგარიტა“ სწორედ ამ მსახიობის პორტრეტია. ნიკომ გაყიდა თავისი დუქანი და მარგარიტას ყვავილები უყიდა.

ფიროსმანის ურთიერთობები:

ნიკო თბილისში მდიდარ ოჯახში მოსამსახურედ მუშაობდა. ოჯახის წევრებს ის ძალიან უყვარდათ, რადგან ნიკო იყო კეთილი, მგრძნობიარე, თავმოყვარე ბავშვი. ბევრს კითხულობდა. ასე ახასიათებენ მას იმ ოჯახის წევრები, სადაც მუშაობდა.

მედუქნეები მას ირონიით გრაფს ეძახდნენ, რადგან, მშიერი რომ მომკვდარიყო, არავის არაფერს სთხოვდა, არც დამკვეთების კაპრიზებს ასრულებდა.

წერა

21. დააკვირდით ფოტოს და სათაურს, თქვენი აზრით, რის შესახებ იქნება ტექსტი?



ა) როგორ ფიქრობთ, რა პროფესიისაა ნინო სალუქვაძე?

ბ) რა ტიპის ტექსტია? შემოხაზეთ სწორი პასუხი:

ა. მოთხრობა
ბ. მონოლოგი
გ. ინტერვიუ

ნინო სალუქვაძე

მიზანში მსროლელი

- ქალბატონო ნინო, თქვენი პროფესია - მიზანში სროლა - თქვენს ხასიათს თავიდანვე შეესაბამებოდა? თუ თანდათან მოარგეთ ხასიათი იმ საქმეს, რომელმაც დიდი წარმატება მოგიტანათ?
- საერთოდ, ყველა პროფესია ცვლის ხასიათს. იმ პროფესიისთვის საჭირო ხასიათი, რომელსაც ირჩევ, ალბათ, ცოტათი გაქვს - ექიმი ხარ, მწერალი თუ ფილოსოფოსი. მაგრამ, რაღაცას ხანგრძლივად რომ აკეთებ, ხასიათიც უფრო მეტად გიყალიბდება იმ მიმართულებით. მე, მაგალითად, უფრო მომთმენ, თავშეკავებულ, უფრო გაწონასწორებულ ადამიანად მაქცია სპორტის ჩემმა სახეობამ. თუმცა გურული ვარ. კავკასიელები ტემპერამენტიანი ხალხი ვართ და, წესით, სროლა გურულების ხასიათის შესაბამისი არაა. აქ მშვიდი და აუღელვებელი უნდა იყო. ფაქტია, რომ სისტემატურმა მუშაობამ ასეთად ჩამომაყალიბა. თუმცა მებრძოლი ხასიათი თავიდანვე უნდა გქონდეს.
- თქვენ ასეთი ფრაზა გაქვთ ნათქვამი: „წარმატება უნდა იყოს ჩვევა“. მაგრამ ეს ადვილი არ არის. რა უნდა გააკეთოს ადამიანმა იმისთვის, რომ წარმატება ჩვევად ჩამოიყალიბოს?
- პირველ რიგში, შრომისმოყვარეობას ვიტყვი. რასაც აკეთებ, ხატავ, ძერწავ თუ ისვრი, იმდენად ჩვევაში უნდა გქონდეს გადასული, რომ თვალდახუჭულ მდგომარეობაშიც უნდა გამოგდიოდეს. განუწყვეტელ შრომას მოაქვს ეს შედეგი.
- ყველაზე დიდ წარმატებას - ოლიმპიურ ჩემპიონობას - მაშინ მიაღწიეთ, როცა 19 წლის იყავით. მას შემდეგ რა ისწავლეთ?
- არასდროს ერთ ადგილზე არ ვჩერდები. მაგ წარმატების შემდეგ 20-ზე მეტი მსოფლიო რეკორდი მაქვს დამყარებული. ყოველთვის რაღაც ახალს ვსწავლობდი არა მხოლოდ ჩემი პროფესიის წარმომადგენლებისგან. 19 წლის ასაკში უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალი ვიყავი. მამა - ვახტანგ სალუქვაძე - ჩემი მწვრთნელია. მამამ ბევრი რამ მასწავლა, რაც მთავარია, ადამიანებთან ურთიერთობა. ეზოში რომ ყარაულია, მისგანაც ვიღებ რაღაც დადებითს, რასაც ჩემს პროფესიაში გამოვიყენებ. ასე რომ, 19 წლის კი გავხდი ჩემპიონი, მაგრამ იმის შემდეგ ძალიან ბევრი რამ ვისწავლე.
- როგორ ფიქრობთ, რა არის ყველაზე მთავარი, რითიც ასეთ შედეგს მიაღწიეთ? რითიც მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი აღმოჩნდით? - არ ვთვლი, რომ გამორჩეული ვარ.
- ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში მხოლოდ ორი ადამიანი არსებობს,რომლებმაც თქვენნაირი სტაბილური შედეგი აჩვენეს ოლიმპიადების ისტორიაში. თქვენ ეს როგორ შეძელით?
- ისევ და ისევ შრომისმოყვარეობა. ჩემს ხასიათზე გეტყვით, რომ ამ ზამთარს ახალ წელს საავადმყოფოში შევხვდი ვირუსის გამო. ორ იანვარს გამოვედი. ვიცოდი, რომ 21 იანვარს შეჯიბრებაზე მივდიოდი. გადასხმის სისტემა მედგა,

რომელიც 7 იანვარს მომხსნეს. სასროლეთზე მოსვლას ვერ ვახერხებდი, რადგან ძალიან სუსტად ვიყავი, მაგრამ 8 იანვრიდან 21 იანვრამდე სახლში უკვე იარაღით ვიდექი საათობით. იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს, შრომისმოყვარეობა მაქვს და ამან განაპირობა ამდენი წლის განმავლობაში ჩემი სტაბილური შედეგი.

- რატომ ვეღარ შეძელით იმ შედეგის გამეორება, რომელსაც 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე მიაღწიეთ, სადაც ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეთ?
- 1988 წლამდე სრულიად განსხვავებული პირობები მქონდა - სავარჯიშო თუ ცხოვრებისეული. ყველა პირობა მქონდა შექმნილი, რომ წარმატებისთვის მიმეღწია: შეკრებები, შეჯიბრებები, იარაღი, ტყვიაწამალი... 1989 წლიდან საქართველოში იწყება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და ბოლოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. 1991 წელს, მთელი წლის განმავლობაში, სახლში ვისხედით სპორტსმენები. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის სახელით შეჯიბრებაზე არ გამოვიდოდით.
- შვილებს როგორი ურთიერთობა აქვთ თქვენთან ახლა, როცა გაიზარდნენ?
- ორივეს სხვადასხვა დამოკიდებულება აქვს. ნინუცა მეუბნება, მკაცრი ხარ და სულ გვეჩხუბებიო. ცოტნე პირიქით ამბობს. არასდროს არ ვარ მკაცრი, რატომ შეექმნა ეს შთაბეჭდილება, არ ვიცი. გოჩას, ჩემს მეუღლეს, რამე რომ არ მოსწონს ბავშვების, იმ საკითხის მოგვარებას მე მთხოვს. ბოლოს, არ ჩანს გოჩა და ვჩანვარ მე.
- მკაცრი, ფაქტობრივად, თქვენ ხართ ოჯახში?
- არა, გოჩა, ერთმნიშვნელოვნად ის.
- დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. ინტერვიუს დავასრულებთ ინგლისელი მწერლის - ჯორჯ ორუელის ციტატით: „ადამიანი ბედნიერი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირობით, თუკი ბედნიერების მოპოვება მთელი ცხოვრების მიზნად არ დაუსახავს.“ თქვენი კომენტარით.
- კმაყოფილების განცდა თუ არ შეგიძლია, ბედნიერი ვერ იქნები. რა არის ბედნიერება? ზოგიერთისთვის არის მილიარდები, ზოგიერთისთვის - ახლა ჩვენ რომ ვსაუბრობთ, ეს არის ბედნიერება. გააჩნია, ვინ რითი კმაყოფილდება. თუ სულ წუწუნებ და უკმაყოფილო ხარ, ბედნიერი ვერ იქნები. პირადად მე გულწრფელ ადამიანებთან ურთიერთობა მანიჭებს ბედნიერებას.

22. უპასუხეთ კითხვებს და ამოწერეთ ტექსტიდან არგუმენტი:

- ნინო სალუქვაძეს აქვს თუ არა თავისი პროფესიისთვის შესაბამისი ხასიათი?

.....

.....

- ნინო თავიდანვე იყო მომთმენი, თავშეკავებული და გაწონასწორებული ადამიანი?

.....

.....

.....

- ნინოს აზრით, თუ გინდა, რომ წარმატებული იყო, ბევრი უნდა ხატო და ძერწო.

.....

.....

.....

- ნინო სალუქვაძე 19 წლის ასაკში უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყო.

.....

.....

.....

- 1991 წელს ნინო სალუქვაძე საბჭოთა კავშირის სახელით გამოვიდა შეჯიბრებაზე.

.....

.....

.....

- ნინო არის მკაცრი ადამიანი.

.....

.....

.....

23. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

მკაცრი	დინჯი, აუღელვებელი, თავშეკავების უნარი მქონე
პასუხისმგებლობა	საქმიანობაში წინააღმდეგობას არ ნებდება
გულწრფელი	მოკრძალებული, მორიდებული ადამიანი
მშვიდი, მომთმენი	ვისაც შრომა უყვარს, ბეჯითი
მებრძოლი	როდესაც საქმის გამო ვალდებულებას გრძნობ
თავმდაბალი	თვისება ადამიანისა, რომლისაც ყველას ეშინია
შრომისმოყვარე	ვინც თავის გრძნობებს არ მალავს

24. დააკავშირეთ სინონიმები:

თავშეკავებული	ზარმაცი
გულწრფელი	აუღელვებელი
მშვიდი	გულახდილი
უქნარა	გაწონასწორებული

25. დაასრულეთ სიტყვები მოცემულ აბზაცში (-ის, -ს, -ამდე, -იდან):

ამ ზამთარს ახალ წელს საავადმყოფოში შევხვდი ვირუსის გამო. ორ იანვარს გამოვედი. ვიცოდი, რომ 21 იანვარ... შეჯიბრზე მივდიოდი. გადასხმის სისტემა მედგა, რომელიც 7 იანვარ..... მომხსნეს. სასროლეთზე მოსვლას ვერ ვახერხებდი, რადგან ძალიან სუსტად ვიყავი, მაგრამ 8 იანვრ..... 21 იანვრ..... სახლში უკვე იარაღით ვიდექი საათობით. იმიტომ, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს, შრომისმოყვარეობა მაქვს და ამან განაპირობა ამდენი წლ... განმავლობაში ჩემი სტაბილური შედეგი.

26. სიტყვა „წელი“ ჩასვით შესაბამისი / სათანადო ფორმით:

1988 ..... სრულიად განსხვავებული პირობები მქონდა - სავარჯიშო თუ ცხოვრებისეული. ყველა პირობა მქონდა შექმნილი, რომ წარმატებისთვის მიმეღწია: შეკრებები, შეჯიბრებები, იარაღი, ტყვია-წამალი... 1989 ..... საქართველოში იწყება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და ბოლოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. 1991 ....., მთელი წლის განმავლობაში, სახლში ვისხედით სპორტსმენები. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის სახელით შეჯიბრებაზე არ გამოვიდოდით.

27. დაწერეთ ნინო სალუქვაძის დახასიათება გეგმის მიხედვით:

- პირადი მონაცემები
- ხასიათის თვისებები
- რა ასაკში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი?
- ნინო სალუქვაძის მამის როლი მის ცხოვრებაში
- ურთიერთობა შვილებთან, მეუღლესთან
- რა არის მისთვის ბედნიერება და რა აბედნიერებს?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

29. შეარჩიეთ თქვენი ნაცნობებიდან ერთი საინტერესო ადამიანი და დაწერეთ ტექსტი მის შესახებ (ტექსტის ტიპი შესაძლოა იყოს ბიოგრაფიული, ინტერვიუ);

გამოიყენეთ ფრაზები:

ხასიათი შეეცვალა, მტკიცე ხასიათი ჩამოუყალიბდა, გაწონასწორებულ ადამიანად იქცა, მებრძოლი ხასიათი, შრომამ მოუტანა შედეგი, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მსოფლიო რეკორდი დაამყარა, პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, წარმატებას მიღწია.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: პროფესიასა და კარიერასთან დაკავშირებული ლექსიკა.

გრამატიკული საკითხი: კონსტრუქციები მეორე კავშირებითის ზმნებთან; რთული წინადადების აგება; კავშირი რთულ წინადადებაში (რომელიც, რომლის, რადგანაც, რაც, რომლებიც, რომ, რომელმაც, რისთვისაც, როდესაც, სადაც);

ზმნები: აგრძელებს - გააგრძელა, ირჩევს - აირჩია, იზრდება - გაიზარდა, ითვისებს - აითვისა, თავს ართმევს - თავი გაართვა, სჭირდება, აინტერესებს, ეხმარება, აკმაყოფილებს, მუშაობს - უნდა იმუშაოს.

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით ილუსტრაციებს და დაასახელეთ, რომელი პროფესიის ადამიანებს ხედავთ სურათზე:



.....

2. ა) კიდევ რომელი პროფესიები გახსენდებათ?

.....

.....

ბ) თქვენი აზრით, რომელია საქართველოში პრესტიჟული პროფესიები? რატომ ფიქრობთ ასე?

.....

.....

გ) თქვენ ვინ ხართ პროფესიით/ვინ გინდოდათ ყოფილიყავით? მოგწონთ თქვენი პროფესია? რატომ?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

3. შემოხაზეთ, როგორია პროფესიონალი (პასუხი ერთზე მეტია):

ა) ძალიან კარგად უნდა იცოდეს ის საქმე, რომელსაც აკეთებს;
ბ) ძალიან კარგად იცის სახელმწიფო ენა;
გ)) მუდმივად უნდა ეცნობოდეს სიახლეებს თავის პროფესიაში;
დ) უყვარს წიგნების კითხვა;
ე) იცის ორი უცხოური ენა;
ვ) თავის პრაქტიკაში უნდა სცადოს სიახლის შეტანა;
ზ) არის პასუხისმგებლობიანი;
თ) არის კოლეგიალური;
ი) არის გამბედავი;
ლ) უზიარებს კოლეგებს გამოცდილებას.

ლექსიკა

4. დააკვირდით სიტყვების განმარტებებს და ჩასვით წინადადებებში საჭირო ადგილას:

დღითიდღე - ყოველდღიურად, თანდათან მეტი.
მაღალანაზღაურებადი - კარგი ხელფასით
დაუფლება - კარგად სწავლა,
დეველოპერი - მშენებლობის ბიზნესით დაკავებული პირი
შეადგენს - არის
ათვისება - კარგად სწავლა
დაკმაყოფილება - მოთხოვნის, მოთხოვნილების, სურვილის შესრულება

1. საქართველოში ძალიან ბევრი ..... მუშაობს.
2. მიმტანის მოვალეობას ..... სტუმრის მომსახურება მაგიდასთან.
3. საქართველოში ბევრი ბოსტნეული არ მოჰყავთ, ამიტომ ქართული ბოსტნეული ბაზარს ვერ ..... .
4. ჰანსმა იოლად ..... ქართული ენა.
5. სამანტა ..... კარგად საუბრობს ქართულად.
6. რომელია საქართველოში ყველაზე ..... პროფესია?
7. ნილი კარგად ..... კომპიუტერულ პროგრამას, მან კარგად ..... საიტის პროგრამული მხარე.

5. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

6. დაუკავშირეთ ერთმანეთს:

1) (შენ) რას შვრები?	ა) ბევრს სჭირდება
2) სწავლის გაგრძელება	ბ) ხელფასია
3) თავის გართმევა	გ) როგორ ხარ?
4) (პროფესიის) დაუფლება	დ) უფრო მეტი კონკურენტია
5) კონკურენციის გაზრდა	ე) ისევ სწავლობს
6) (ვერ) აკმაყოფილებს ინტერესებს	ვ) პროფესიის სწავლა
7) მოთხოვნის გაზრდა	ზ) გაბედავს
8) არ იქნება ურიგო	თ) არ არის საკმარისი მისი ინტერესებისთვის
9) (პროფესიის) ათვისება	ი) პროფესიის კარგად სწავლა
10) უფლებას მისცემს თავს	კ) კარგად გამოსდის
11) (ანაზღაურება) შეადგენს	ლ) ცუდი არ იქნება

7. ჩასვით შესაბამისი ფრაზები გამოტოვებულ ადგილას:

1. - მარიამ, როგორ ხარ?

   - კარგად, დავით, ...?

2. - როგორ სწავლობს ტომასი ქართულს?

   - ტომასი ქართულის სწავლას .....

3. დეველოპერულ კომპანიებს შორის ..... ცუდი არ არის.

4. მასწავლებლის მინიმალური ..... 500 ლარს.

5. საქართველოში პროფესიონალ მზარეულებზე ..... სარესტორნო ქსელების გაფართოებამ გამოიწვია.

6. 2000 წელს ..... გადავწყვიტე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

7. ბუხართან ჩაის დალევა .....

8. პროფესიას რომ კარგად ....., ბევრი შრომა და სწავლაა საჭირო.

9. ენის კარგად ..... შეიძლება მხოლოდ ამ ენაზე საუბრით.

10. ნანა არასდროს ....., რომ ის საქმე გააკეთოს, რაც კარგად არ იცის.

11. ეს წიგნი ჩემს ....., ამიტომ აღარ წავიკითხავ.

8. მოცემული ფრაზების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

(შენ) რას შვრები?, სწავლის გაგრძელება, თავის გართმევა, (პროფესიის) დაუფლება, კონკურენციის გაზრდა, (ვერ) აკმაყოფილებს ინტერესებს, მოთხოვნის გაზრდა, არ იქნება ურიგო, (პროფესიის) ათვისება, უფლებას მისცემს თავს, (ანაზღაურება) შეადგენს

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

კითხვა

9. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

პროფესია პროგრამისტი

1. - საღამო მშვიდობისა, ნანა, როგორ ხარ?
   - კარგად, შენ რას შვრები, თამუნა, გადაწყვიტე, სად უნდა გააგრძელო სწავლა?
   - ჯერ ვერა და შენი რჩევა მჭირდება. რამდენიმე პროფესია მომწონს და არჩევანის გაკეთება მიჭირს, რადგან პროფესია არის ის საქმიანობა, რომლის დაუფლებასაც დიდი დრო, შრომა და მონდომება სჭირდება, პროფესიის არჩევისას ადამიანი კარგად უნდა დაფიქრდეს საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე,
2. - მართალია, ვიდრე პროფესიას აირჩევდეს ადამიანი, სასურველია, კარგად დაფიქრდეს და ჩამოწეროს, რისი კეთება მოსწონს და აინტერესებს, რას სწავლობდა სკოლაში მარტივად და კარგად და რატომ? ეს დაეხმარება ადამიანს, გაარკვიოს, რომელი საგნებისკენ აქვს მიდრეკილება: ტექნიკურის თუ ჰუმანიტარულისკენ. მე როგორც მახსოვს, შენ ორივე მიმართულებას კარგად არ-თმევდი თავს.
3. - პროგრამისტობაზე რას ფიქრობ?
   - მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც პროგრამისტობა ძალიან მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. იმის მიუხედავად, რომ თანდათან იზრდება კონკურენცია, თითქმის ყველა ქვეყანას აქვს ვებ-პროგრამისტების დეფიციტი, ვინაიდან დღითი დღე იზრდება მოთხოვნა კარგ პროგრამისტებზე.
4. - რამდენად რთულია პროგრამირების შესწავლა?
   - პირველ რიგში, შრომისმოყვარეობა, მოთმინების უნარი, საკუთარი საქმის სიყვარული და მიზანდასახულობა. მცირედი ლოგიკური აზროვნების უნარიც არ იქნება ურიგო. რაც შეეხება მის სირთულეს, დაახლოებით შევადარებდი ახალი ენის შესწავლას, თუმცა სხვაობა ისაა, რომ ვსწავლობთ

კომპიუტერთან ლაპარაკს.

5. - მაღალანაზღაურებადიო? როგორია ანაზღაურება?

   - დამწყები პროგრამისტის ანაზღაურება საშუალოდ 400 ლარიდან იწყება და ადის 800-1000 ლარამდეც. საშუალო გამოცდილების მქონე პროგრამისტების ანაზღაურება საშუალოდ 1200-1500 ლარის ფარგლებშია; გამოცდილი დეველოპერების ანაზღაურება განისაზღვრება მათი კვალიფიკაციის და იმის გათვალისწინებით, პროგრამირების რამდენ ენას ფლობენ, საშუალოდ შეადგენს თითო სამუშაო დღეში 100-175 ლარს.

6. - რომელი უნივერსიტეტი შეიძლება შევარჩიო?

   - თითქმის ყველა დიდ უნივერსიტეტს აქვს საბაკალავრო პროგრამა, უცნაურია, მაგრამ თავადვე შეგიძლია შეისწავლო- უამრავი ონლაინკურსი და სახელმძღვანელო არსებობს, თუმცა ძალიან რთულია.

   - ონლაინკურსები რომ შევარჩიო, რა დრო დამჭირდება შესასწავლად?

   - front-end (საიტის ხილული ნაწილი, დიზაინი) შედარებით მარტივი სასწავლია და დაახლოებით 3 თვე დასჭირდება; მეორე ნაწილის ენები კი- back-end (საიტის პროგრამული მხარე, ფუნქციონალი) -უფრო რთულია და საშუალო დონეზე მას ასე, 4 თვეში აითვისებ.

7. - ასეთი კონკურენციის პირობებში დამწყები პროგრამისტი სად შევძლებ დასაქმებას?

   - როდესაც დაეუფლები ვებპროგრამისტის პროფესიას , შეგეძლება იმუშაო ვებსტუდიებში, არსებული ვებგვერდების ტექნიკურ მომსახურებაზე, დამოუკიდებლად

   - აიღო შეკვეთა, შექმნა შენი პროდუქტი და გაყიდო ისეთ პლატფორმებზე, როგორებიცაა: themeforest.net, templatemonster და სხვა.

8. - რთულია პროგრამისტობა?

   - ვებპროგრამისტობაში რთულია ის, რომ ცხოვრების თითქმის ყოველი დღე (დასვენების დღეების გარდა) უნდა გაატარო კომპიუტერთან, ცხოვრების მჯდომარე წესი ადამიანს აყენებს სტრესულ მდგომარეობაში. არის საშიშროება, ნელ-ნელა დაშორდე გარე სამყაროს, იფიქრო მხოლოდ სამსახურზე, მაგრამ საკუთარ თავს თუ მისცემთ დასვენების და გართობის უფლებას, ხშირად გახვალ გარეთ, ივარჯიშებ ან ისეირნებ, შეძლებ თავი კარგად გაართვა სამსახურის სიძნელეებს.

9. - დიდი მადლობა, ძვირფასო, ამომწურავი ინფორმაციისთვის! ცოტას დავფიქრდები და ისე მივიღებ გადაწყვეტილებას.

   - არაფრის! მიხარია, თუ ჩემი რჩევა გამოგადგება! დაბოლოს, თუ აღმოაჩენ, რომ არჩეული საქმიანობა არ მოგწონს, ვერ აკმაყოფილებს შენს ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, დისკომფორტს განიცდი ან გადაიღალე, პროფესიის შეცვლა გვიანი არასოდეს არ არის, მთავარია, გაბედული გადაწყვეტილების მიღება და მონდომება. გამაგებინე, რას გადაწყვეტ. წარმატებებს გისურვებ!

   - აუცილებლად! ნახვამდის!

   - დროებით!

ა) რას ეხება დიალოგი? (შემოხაზეთ სწორი პასუხი)
პროფესიის არჩევას;
სხვადასხვა პროფესიის გაცნობას;
პროფესიის სირთულეებზე საუბარს.

ბ) წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ სწორი ინფორმაცია:

ინფორმაცია	
1) ადამიანმა პროფესიის არჩევისას უნდა გაითვალისწინოს, რა მოსწონს და აინტერესებს;	
2) პროფესიის არჩევისთვის არ არის მნიშვნელოვანი ბაზრის მოთხოვნა.	
3) კარგ პროგრამისტებზე დიდი მოთხოვნაა.	
4) პროგრამირების შესასწავლად საჭიროა უნივერსიტეტის დასრულება.	
5) პროგრამირების შესწავლა არ არის რთული.	
6) პროგრამისტებს თვითდასაქმებაც შეუძლიათ.	
7) პროგრამისტობას აქვს თავისი სირთულე.	

გ) შეუსაბამეთ ფრაზები აბზაცებს:

ა) სად შეიძლება დაეუფლო პროგრამირებას?
ბ) პროგრამირების შესწავლის სირთულე.
გ) რჩევის თხოვნა პროფესიის არჩევისას.
დ) პროგრამისტის ანაზღაურება.
ე) პროგრამისტობა-მოთხოვნადი პროფესია.
ვ) პროგრამისტის პროფესიის სირთულე.
ზ) პროფესიის არჩევისას გასათვალისწინებელი რჩევები.
თ) პროგრამისტს თვითდასაქმებაც შეუძლია.
ი) პროფესიის შეცვლა ყოველთვის შეიძლება.

1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.

10. ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

- მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც პროგრამისტობა ძალიან მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. იმის მიუხედავად, რომ თანდათან იზრდება კონკურენცია, თითქმის ყველა ქვეყანას აქვს ვებპროგრამისტების დეფიციტი, ვინაიდან დღითი დღე იზრდება მოთხოვნა კარგ პროგრამისტებზე.
- რამდენად რთულია პროგრამირების შესწავლა?
- პირველ რიგში, შრომისმოყვარეობა, მოთმინების უნარი, საკუთარი საქმის სიყვარული და მიზანდასახულობა. მცირედი ლოგიკური აზროვნების უნარიც არ იქნება ურიგო. რაც შეეხება მის სირთულეს, დაახლოებით შევადარებდი ახალი ენის შესწავლას, თუმცა სხვაობა ისაა, რომ ვსწავლობთ კომპიუტერთან ლაპარაკს.
- მაღალანაზღაურებადიო? როგორია ანაზღაურება?
- დამწყები პროგრამისტის ანაზღაურება საშუალოდ 400 ლარიდან იწყება და ადის 800-1000 ლარამდეც. საშუალო გამოცდილების მქონე პროგრამისტების ანაზღაურება საშუალოდ 1200-1500 ლარის ფარგლებშია; გამოცდილი დეველოპერების ანაზღაურება განისაზღვრება მათი კვალიფიკაციის და იმის გათვალისწინებით, პროგრამირების რამდენ ენას ფლობენ. საშუალოდ შეადგენს თითო სამუშაო დღეში 100-175 ლარს.
- რომელი უნივერსიტეტი შეიძლება შევარჩიო?
- თითქმის ყველა დიდ უნივერსიტეტს აქვს საბაკალავრო პროგრამა, უცნაურია, მაგრამ თავადვე შეგიძლია შეისწავლო- უამრავი ონლაინკურსი და სახელმძღვანელო არსებობს, თუმცა ძალიან რთულია.
- ონლაინკურსები რომ შევარჩიო, რა დრო დამჭირდება შესასწავლად?
- front-end (საიტის ხილული ნაწილი, დიზაინი) შედარებით მარტივი სასწავლია და დაახლოებით 3 თვე დასჭირდება; მეორე ნაწილის ენები კი - back-end (საიტის პროგრამული მხარე, ფუნქციონალი) უფრო რთულია და საშუალო დონეზე მას ასე, 4თვეში აითვისებ.
- ასეთი კონკურენციის პირობებში დამწყები პროგრამისტი სად შევძლებ დასაქმებას?
- როდესაც დაეუფლები ვებპროგრამისტის პროფესიას, შეგეძლება იმუშაო ვებსტუდიებში, არსებული ვებგვერდების ტექნიკურ მომსახურებაზე, დამოუკიდებლად აიღო შეკვეთა, შექმნა შენი პროდუქტი და გაყიდო ისეთ პლატფორმებზე, როგორებიცაა:
- themeforest.net, templatemonster და სხვა. რთულია პროგრამისტობა?
- ვებპროგრამისტობაში რთულია ის, რომ ცხოვრების თითქმის ყოველი დღე (დასვენების დღეების გარდა) უნდა გაატარო კომპიუტერთან, ცხოვრების მჯდომარე წესი ადამიანს აყენებს სტრესულ მდგომარეობაში. არის საშიშროება, ნელ-ნელა დაშორდე გარე სამყაროს, იფიქრო მხოლოდ სამსახურზე, მაგრამ, საკუთარ თავს თუ მისცემთ დასვენების და გართობის უფლებას, ხშირად გახვალ გარეთ, ივარჯიშებ ან ისეირნებ, შეძლებ თავი კარგად გაართვა სამსახურის სიძნელეებს.

პროგრამისტის პროფესიის დადებითი მხარე	პროგრამისტის პროფესიის უარყოფითი მხარე

11. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი:

ა) დაასრულეთ ფრაზა:

- ჯერ ვერა და შენი რჩევა მჭირდება. რამდენიმე პროფესია მომწონს და არჩევანის გაკეთება მიჭირს, რადგან პროფესია არის ის საქმიანობა, რომლის დაუფლებასაც დიდი დრო შრომა და მონდომება სჭირდება, პროფესიის არჩევისას ადამიანი კარგად უნდა დაფიქრდეს საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, -მართალია, ვიდრე პროფესიას აირჩევდეს ადამიანი, სასურველია, კარგად დაფიქრდეს და ჩამოწეროს, რისი კეთება მოსწონს და აინტერესებს, რას სწავლობდა სკოლაში მარტივად და კარგად და რატომ? ეს დაეხმარება ადამიანს, გაარკვიოს, რომელი საგნებისკენ აქვს მიდრეკილება: ტექნიკურის თუ ჰუმანიტარულისკენ. მე როგორც მახსოვს, შენ ორივე მიმართულებას კარგად ართმევდი თავს.

პროფესიის არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ: .....

.....

.....

ბ) თქვენი აზრით, კიდევ რა უნდა გავითვალისწინოთ პროფესიის არჩევისას?

.....

.....

.....

12. ტექსტიდან ამოიწერეთ ზმნები და შეუწყვეთ პირები:

თუ ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტეთ, რა პროფესია აირჩიოთ და რჩევა გჭირდებათ, ვფიქრობ, შევძლებ თქვენს დახმარებას რამდენიმე რჩევით:

- კარგად დაფიქრდით, რის კეთება მოგწონთ ან გამოგდით კარგად;
- დაუსვი საკუთარ თავს კითხვები: ა) რა პროფესიის ადამიანები არიან დაკავებული იმ საქმით, რომლის კეთებაც მე მომწონს?
- რის გაკეთება მჭირდება, რომ დავეუფლო ამ პროფესიას?
- სად შეიძლება ვიმუშაო ამ პროფესიით და კომფორტული იქნება თუ არა ჩემთვის იქ მუშაობა?
- რას შევადარებდი ამ პროფესიის ადამიანს?
- ვსწავლობ თუ არა სკოლაში იმ საგნებს, რომლებიც ამ პროფესიისთვის მჭირდება?
- თავს ნუ მისცემთ უფლებას, გულწრფელად არ უპასუხოთ კითხვებს;
- პასუხების მიხედვით შეარჩიე ის პროფესია, რომელიც აკმაყოფილებს შენს სურვილებს და გატაცებებს. მე ამ პროცესს შევადარებდი საკუთარ თავთან დიალოგს.
- თუ სწორად შეარჩევთ პროფესიას, სწავლას დაიწყებთ თუ არა, აღმოაჩენთ, რომ თქვენ მოხვდით თქვენთვის კომფორტულ გარემოში. გისურვებთ წარმატებებს!

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

13. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

გადაწყვიტეთ, გამოგდით, მჭირდება, მოგწონთ, შევძლებ, დაეუფლები, ვიმუშაო, მისცემთ, აღმოაჩენთ, აკმაყოფილებს, ვსწავლობთ, შევადარებდი, დაფიქრდი, დაუსვი, გისურვებთ

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

14. ა) დაუსვით კითხვა ხაზგასმულ სიტყვას:

ნიმუში: *<u>მასთან</u> ვლაპარაკობ. <u>ვისთან</u> ვლაპარაკობ?*

ნარინი <u>იქ</u> ცხოვრობს. .....

გიორგი <u>იმ</u> დავალებას ასრულებს .....

დედა სახლში <u>მაშინ</u> მოდის .....

<u>ის</u> დავინახე. .....

<u>იმ</u> ქალს დაეხმარა .....

ბ) შეაერთეთ ა და ბ დავალებებში მოცემული გახლეჩილი წინადადებები და ისე გადაიწერეთ:

ნიმუში: *ვისთანაც თავს კომფორტულად ვგრძნობ.*
მასთან ვლაპარაკობ, ვისთანაც თავს კომფორტულად ვგრძნობ.

რაც არ მინდოდა.
სადაც ადრე მისი ბებია ცხოვრობდა.
რომელსაც მძიმე ტვირთი მიჰქონდა.
რომელიც გუშინ ვერ დაწერა.
როდესაც ყველა სახლშია.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

გ) დააკვირდით თქვენ მიერ აგებულ წინადადებებს და შეურჩიეთ მისათითებელ სიტყვას კავშირი:

იქ .....

იმ .....

მაშინ .....

ის .....

იმას .....

დ) დაუკავშირეთ ერთმანეთს:

1. მე ვიცი ის,	ა) რომელშიც ნათია სწავლობს.
2. მე ვსწავლობ ისე,	ბ) რომელსაც შეუძლია პოლიციელად მუშაობა?
3. ნიკიც იმ ჯგუფში ჩაირიცხა,	გ) რაც უნდა იცოდეს მასწავლებელმა.
4. იცნობთ იმ ადამიანს,	დ) როგორც ვსწავლობდი სკოლაში.
5. ჩვენ ველოდებით ექიმებს,	ე) რისთვისაც ამდენი წელი ვიშრომე.
6. მე აუცილებლად მივაღწევ იმას,	ვ) რომლებმაც უნდა გასინჯონ პაციენტი.
7. სიტყვა გადასცეს მათ,	ზ) როგორიც უნდა იყოს საქმის პროფესიონალი.
8. ის არის ისეთი,	თ) ვინც შეასრულა პროექტი.

15. ჩასვით გამოტოვებული კავშირი წინადადებაში:

რომელიც, რომლის, რადგანაც, რაც, რომლებიც, რომ, რომელმაც, რისთვისაც, როდესაც, სადაც

ნიმუში: ნინო სწავლობს იმ ფაკულტეტზე, რომელიც მეგობარმა ურჩია.

1. უნდა აირჩიოთ ის პროფესია, ... ყველაზე მეტად მოგწონთ.
2. კარგად არ ვსწავლობ იმ საგნებს, ... არჩეული პროფესიის სწავლაში დამეხმარება.
3. მიჭირს პროფესიის არჩევა, ... არ ვიცი, რის გაკეთება მომწონს.
4. ეს არის ის საქმე, ... კეთებაც ყველაზე მეტად მომწონს.
5. რჩევა მომცა იმ ადამიანმა, ... ბევრს მიაღწია ამ პროფესიაში თავისი შრომით.
6. მინდა ვაკეთო ის, ... მომწონს.

7. პროფესიის შეცვლა შეგიძლია მაშინ, ... მოინდომებ.

8. ადამიანი თავს კომფორტულად გრძნობს იქ, ... მის პროფესიონალიზმს პატივს სცემენ.

9. მე ვიცი ის, ... ეს პროფესია მაღალანაზღაურებადი იქნება მომავალშიც.

10. ნინო თავისი საქმის პროფესიონალია, ... მან ბევრი იშრომა.

16. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: *მაშინ/როდესაც ბებიასთან მაშინ მივდივარ, როდესაც არდადეგები მაქვს.*

1. ის/რომელიც .....

2. იქ/სადაც .....

3. იმ /რომელსაც .....

4. მათ/ვინც .....

5. იმ/რომელმაც .....

6. ის/რაც .....

7. ის/რომლისაც .....

8. იქით/საიდანაც .....

9. იმიტომ/რომ .....

10. იმისთვის/რისთვისაც .....

17. ა) მონიშნეთ მასწავლებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები +/- ნიშნებით:

1. მასწავლებლობა საინტერესო პროფესიაა.
2. მასწავლებელი შრომის შედეგს მაშინვე ხედავს.
3. მასწავლებელს აქვს ბევრი თავისუფალი დრო.
4. მასწავლებლობა შემოქმედებითი პროფესიაა.
5. მასწავლებლობა საპასუხისმგებლო პროფესიაა
6. მასწავლებლობა დიდ შრომას მოითხოვს.
7. მასწავლებლობა დაუფასებელი პროფესიაა.

ბ) დაასრულეთ ფრაზა:

თუ აცნობიერებ ამ პასუხისმგებლობას, რომ შენ გარკვეულწილად განსაზღვრავ ..... , ცხადია, რომ ..... და .... მუდმივად ზრუნავ.

მასწავლებლობა არის ძალიან საინტერესო იმიტომ, რომ ..... შენ თვითონ, როგორ ..... შენი თავი.

ლაპარაკი

18. წაიკითხეთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან ინტერვიუების ნაწყვეტები და დაწერეთ, რომელი პროფესიის ადამიანი საუბრობს:

- რა უნდა ახასიათებდეს .....?
- უნდა ჰქონდეს მაღალი მორალური თვისებები: პატიოსნება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, თავაზიანობა; უნდა შეეძლოს პრობლემაზე სწრაფი და სწორი რეაგირება, უშიშარი უნდა იყოს, რადგან პოლიციელს ზოგჯერ უწევს კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედება და თავისი და სხვების უსაფრთხოების დაცვა; მუდმივი ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე; მოთმინება. შრომისმოყვარეობა.
- ანუ პოლიციელმა უნდა დაიცვას რთულ სიტუაციებში მყოფი ადამიანები საკუთარი ჯანმრთელობის ფასად?
- დიახ!
- და რა აძლევს თავგანწირვის ძალას პოლიციელს?

- თავისი საქმის სიყვარული.

ბ)

- .....
- რატომ უნდა აირჩიონ ახალგაზრდებმა მომავალ პროფესიად მედიცინა?
- მედიცინა საზოგადოებისთვის ერთ.ერთ ყველაზე კეთილშობილურ და აუცილებელ პროფესიად ითვლება, ყველაზე დიდი სტიმული ექიმისთვის სიცოცხლის გადარჩენაა, ამიტომაც მედიცინის მუშაკები დიდი პატივისცემით სარგებლობენ.
- თეთრ ხალათში ადამიანი ძალინ მომხიბვლელია; შრომის ანაზღაურებაც არაა ძალიან დაბალი;
- ძალიან რთულიც არის, ცნობილია, რომ ექიმის პროფესია ერთ.ერთი ყველაზე სახიფათო პროფესიაა;
- გეთანხმებით, მაგრამ ყოველი გამოჯანმრთელებული პაციენტი, ყოველი გადარჩენილი სიცოცხლე სიკვდილზე გამარჯვებაა, რაც მედიკოსს აძლევს სტიმულს, გადალახოს ყველა სირთულე.

გ)

- .....
- რა სირთულე ახლავს ..... პროფესიას?
- დატვირთული სამუშაო გრაფიკი; მუდმივი ზრუნვა თვითგანვითარებაზე; დამკვეთის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება; დიდ შრომას მოითხოვს;მოთმინების უნარი.

19. ნიმუშის მიხედვით მონიშნეთ, რომელ პროფესიებს შეესაბამება მოცემული ინფორმაცია:

ინფორმაცია	პოლიციელი	მედიკოსი	მზარეული	მასწავლებელი	ჟურნალისტი	ჩემი პროფესია
პასუხისმგებლობის გრძნობა	+	+	+	+	+	+
პრობლემაზე სწრაფი და სწორი რეაგირება						
პრესტიჟული პროფესიაა.						
არ არის დაბალანაზღაურებადი პროფესია.						
საჭიროა მუდმივი ზრუნვა პროფესიულ განვითარებაზე.						

მოითხოვს ბევრ შრომას.						
სახიფათო პროფესიაა.						

20. გამოიყენეთ წინა სავარჯიშოებში მოცემული ინფორმაცია, გაეცანით საჭირო ფრაზებს და შეკითხვების დახმარებით მოცემული თემებიდან ისაუბრეთ ერთ-ერთზე:

1. ჩემი პროფესია
2. ჩემი მომავალი პროფესია
3. მინდოდა, ვყოფილიყავი .....

საჭირო ფრაზები:

მინდოდა ვყოფილიყავი ..... (ვინ? მხატვარი, მუსიკოსი, მშენებელი?) ამ პროფესიაზე ვოცნებობდი ..... დან (როდიდან?) იმიტომ, რომ ..... იყო ამ პროფესიას/მომწონდა .....ს პერსონაჟი/ ბევრი რამ ვიცოდი ამ პროფესიის შესახებ. ჩემი პროფესია რთულია/მარტივია/ საინტერესოა/ მომაბეზრებელია/ საპასუხისმგებლოა/ საშიშია/ შრომატევადია. ..... რადგან..... (ვინ? მასწავლებელი/პოლიციელი...) უნდა იყოს..... (როგორი?)..... (ვინ? ექიმმა, მეზღვაურმა, სტილისტმა) სულ უნდა იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე, რათა იყოს კონკურენტუნარიანი.

დამხმარე შეკითხვები:

ჩემი პროფესია	ჩემი მომავალი პროფესია	მინდოდა, ვყოფილიყავი
რა პროფესიის ხართ?	რა პროფესიის არჩევას აპირებთ?	ვინ გინდოდათ, ყოფილიყავით?
რატომ და როდის აირჩიეთ ეს პროფესია?	რატომ და როდის აირჩიეთ ეს პროფესია?	რატომ მოგწონთ ეს პროფესია?
მუშაობთ თქვენი პროფესიით?	რა იცით მომავალი პროფესიის შესახებ?	რა იცით ამ პროფესიის შესახებ?
რამდენი წელია მუშაობთ თქვენი პროფესიით? თუ არ მუშაობთ, რა არის მიზეზი პროფესიის შეცვლის?	ისაუბრეთ, რით არის საინტერესო თქვენთვის ეს პროფესია	ისაუბრეთ, რით არის საინტერესო თქვენთვის ეს პროფესია

რა არის თქვენი პროფესიის დადებითი მხარე?	რა დადებითი მხარეები აქვს და რა სირთულეები ახლავს თქვენს მომავალ პროფესიას?	რა დადებითი მხარეები აქვს და რა სირთულეები ახლავს თქვენს საოცნებო პროფესიას?
რა სირთულეები აქვს თქვენს პროფესიას?	როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას თქვენს პროფესიაში ადამიანმა?	როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას ამ პროფესიაში ადამიანმა?
რა თვისებები უნდა ახასიათებდეს თქვენი პროფესიის ადამიანს?	რა თვისებები უნდა ახასიათებდეს თქვენი პროფესიის ადამიანს?	რა თვისებები უნდა ახასიათებდეს ამ პროფესიის ადამიანს?
როგორ შეიძლება მიაღწიოს წარმატებას თქვენი პროფესიის ადამიანმა საქმიანობაში/ კარიერაში?	რა არის თქვენი სამომავლო გეგმა პროფესიასთან დაკავშირებით?	რამ შეგიშალათ ხელი, დაუფლებოდით სასურველ პროფესიას?

შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანიშვნები (გეგმა) საუბრისთვის.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

21. შეგიძლიათ შექმნათ თემატური პოსტერი და ისაუბროთ იმის მიხედვით.

წერა

22. გადახედეთ მოცემულ თავში შემოთავაზებულ სავარჯიშოებს, ჩაინიშნეთ ის ინფორმაცია, რომელიც დაგჭირდებათ, აირჩიეთ და დაასრულეთ ერთ-ერთი ფრაზა:

მე რომ ..... (ვინ? მზარეული, ექიმი, მედდა) არ ვყოფილიყავი, ვიქნებოდი ..... (ვინ?), რადგან .....

.....

.....

.....

მომავალში ვგეგმავ, ვიყო ..... (ვინ? მევენახე, თარჯიმანი .....), რადგან .....

.....

მინდოდა, ვყოფილიყავი ..... (ვინ? მოცეკვავე, მძღოლი, ...), რადგან .....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: სახლის ინტერიერთან დაკავშირებული ლექსიკა; ფერებთან დაკავშირებული ლექსიკა;

გრამატიკული საკითხი: სახელთა წარმოქმნა: აბსტრაქტული სახელები, ქონა-ყოლის, უყოლობა-უქონლობის სახელები; სასურველი მოქმედების გამოხატვა; თუ კავშირის გამოყენება პირობის გამოსახატავად.

ზმნები: მეცადინეობს, უსმენს; მინდა დაგპატიჟო, გნახო, მოვაწყო, გავარემონტო, შევარჩიო; გაადიდა, გამოიყენა.

თემის გახსნისთვის

1. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

მე ფატიმა ვარ და ეს ჩემი სახლია. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. სახლი ახლა გავარემონტეთ და ძალიან მყუდრო და ლამაზია.

ბინაში არის მისაღები ოთახი. მისი კედლები ღია ნაცრისფერია. საღამოობით ამ ოთახში ვართ მთელი ოჯახი, აქ მოდიან სტუმრები. როცა მარტო ვარ, მიყვარს სტაფილოსფერ სავარძელში ჯდომა და საინტერესო წიგნის კითხვა.

სახლში გვაქვს სასტუმრო ოთახიც, აქ წვეულებებს ვმართავთ, ავეჯიც ბევრი არ დგას, მარტო მაგიდა და სკამებია. კედლები ნაცრისფერია და სიმშვიდე მეტია.

დედა ინჟინერია, მაგრამ ხშირად არის სამზარეულოში. სამზარეულო თეთრი და ყავისფერია, ეს ფერები დედას ძალიან მოსწონს. სააბაზანოც დიდია.

ყველა ოთახი ლამაზია, მაგრამ ყველაზე მეტად მომწონს ჩემი საძინებელი. აქ კედლები ლურჯია, კედელზე ნახატია. ოთახი პატარაა, მაგრამ ნათელია. კაბინეტიც მაქვს, აქ ვმეცადინეობ. აქ არის ჩემი წიგნები, კალმები, ფანქრები და სხვა ნივთები. ჩემი მეგობრები ჩემთან ხშირად მოდიან სტუმრად და ერთად ვკითხულობთ წიგნებს, ვუსმენთ მუსიკას.

ა) უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რამდენი ოთახია ფატიმას ბინაში?
2. ჩამოწერეთ, რომელი ოთახებია.
3. რომელი ოთახები მოსწონს დედას? ფატიმას?

ბ) შეავსეთ ცხრილი:

ოთახის დასახელება	ფერი	დანიშნულება
მისაღები	ღია ნაცრისფერი	იკრიბება ოჯახი, იღებენ სტუმრებს, წიგნებს კითხულობენ

გ) ტექსტის მიხედვით წარწერები გაუკეთეთ სურათებს, რომელ სურათზე რომელი ოთახია:

1	2	3
		
4	**5**	**6**
		

2. დააკვირდით სურათებს, შეადარეთ, რომელი უფრო მოგწონთ? რატომ? (საუბრისას გამოიყენეთ შემოთავაზებული ფრაზები:)

გასარემონტებელი, გარემონტებული, საძინებელი, უფრო, კომფორტულია, შედარებით, ძველი, მისაღები, სასტუმრო, ნათელი, ახალი








ბ) აღნიშნეთ (+), ჩამოთვლილთაგან რომელი ფერებია გამოყენებული ოთახებში:

	1. მწვანე		5.ღია ყავისფერი
	2. ნაცრისფერი		6. იისფერი
	3. ვარდისფერი		7. ღია ნაცრისფერი
	4. ლიმონისფერი		8. მუქი მწვანე

გ) კიდევ რომელი ფერები იცით?

3. ისაუბრეთ, როგორია თქვენი სახლი/ბინა და ოთახები, რა ფერადაა შეღებილი? თქვენ რომელი ოთახი მოგწონთ?

ლექსიკა

4. როგორ ფიქრობთ, რომელი პროფესიის ადამიანის მოვალეობაა ოთახის/ოთახების კომფორტულად მოწყობა? (შემოხაზეთ სწორი პასუხი:)

ა) მასწავლებლის;

ბ) ექიმის;

გ) დიზაინერის;

დ) პოლიციელის;

ე) მუსიკოსის;

ვ) იურისტის.

5. წაიკითხეთ ტექსტი და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდი:

- გივი, გამარჯობა, როგორ ხარ, სად ხარ, რატომ არ დამირეკე?
- გამარჯობა, ალი, რა ვიცი, ბევრი საქმე მაქვს და დრო არ მქონდა.
- მინდა დღესასწაულზე დაგპატიჟო და ტელეფონზე არ მიპასუხე.
- ტელეფონი დავკარგე, არ მაქვს. ახლა რემონტს ვაკეთებ და ბევრი საქმე მაქვს.
- რატომ არ მითხარი, ხომ იცი, ხელოსანი ვარ და დახმარება შემიძლია.
- ჯერ დიზაინერი მინდა ვნახო, რომ სახლის ინტერიერის გეგმა გააკეთოს. თანამედროვე და ლამაზი სახლი მინდა მოვაწყო შვილისათვის, გიორგისთვის. ის ერთი წლის წინ დაოჯახდა და მალე შვილი ეყოლებათ.
- გასაგებია, მაგრამ მითხარი, დიზაინერი ვინ არის? ან ინტერიერი რა არის?
- დიზაინერი სახლის გალამაზების სპეციალისტია, გირჩევს, რომელი ფერი შეარჩიო, როგორი სტილი, როგორ მოაწყო სახლი. ინტერიერი კი სახლის შიდა სივრცეა.
- მაშ, მეც დიზაინერი ვარ? რადგან რემონტისას ფერებსაც მე ვარჩევ და სტილსაც,

- ასეა , ძმაო, საუკეთესო დიზაინერ-ხელოსანი ხარ!
- აბა, დროებით, თუ დახმარება დაგჭირდება, დამირეკე!
- დაგირეკავ, დროებით!

დაიმახსოვრე!

მინდა დაგპატიჟო

დახმარება - რაიმეს კეთებაში მიშველება.
დავკარგე - არ ვიცი სად არის.
ოჯახი > და-ოჯახ-ება=ოჯახი არ ჰყავდა, ახლა ჰყავს

6. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და დაასრულეთ ფრაზა:

ა) დიზაინერი ..... (რას აკეთებს?)

ბ) ინტერიერი არის .....

7. დაოჯახდა ნიშნავს ..... (შემოხაზეთ სწორი პასუხი:)

ა) ოჯახი შექმნა; ბ) ოჯახში მოვიდა; გ) ოჯახს დაემშვიდობა.

8. დააკვირდით სურათს და აღწერეთ:

- რომელი ოთახია?
- როგორია, რა ფერია კედლები, იატაკი, ფანჯრები?



.....

.....

.....

.....

.....

9. ა) დააკვირდით სურათს, როგორ ფიქრობთ, გვერდით მოცემული ფერებიდან რომელია კრემისფერი? (შემოხაზეთ შესაბამისი რიცხვი)





კრემი	1	2	3	4	5

ბ) მოცემული სიტყვებიდან აწარმოეთ ახალი ფერები:

გაითვალისწინეთ,

თუ სიტყვის ფუძეში არის: -ალ, -ან, -ამ, -ის აფიქსის დართვისას ა იკარგება
მაგ., ატამი-ატამისფერი=ატმისფერი

ა და ე იკარგება ხმოვანფუძიან სახელებშიც
ცა+ის=ცისფერი, მზე+ის=მზისფერი

სტაფილო .....

შინდი .....

იასამანი .....

ია .....

ვარდი .....

ნარინჯი .....

ვერცხლი .....

მელანი .....

გ) თქვენ მიერ ნაწარმოები ფორმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

.....

10. შემოთავაზებული ფერებიდან აირჩიეთ და წრეში მოცემულ ფერებს მიუწერეთ დასახელებები:

ყვითელი, მწვანე, შინდისფერი, ლურჯი, მელნისფერი, სტაფილოსფერი, წითელი



ცივი ფერები



თბილი ფერები

11. ა)დაიმახსოვრეთ!

მუქი მწვანე	ღია მწვანე	მუქი ლურჯი	ღია ლურჯი

ბ) გაანაწილეთ ფერები შესაბამის უჯრაში:

მწვანე ყვითელი ნარინჯიფერი იასამნისფერი წითელი მელნისფერი მუქი მწვანე ღია წითელი

ცივი ფერები	თბილი ფერები

დ) რომელი სურათის ინტერიერშია გამოყენებული ცივი ფერები? თბილი ფერები? (მიუწერეთ:)



ცივი ფერები



თბილი ფერები

12. აღწერეთ თქვენი მეგობრის ბინა: (როგორია, რა ნივთები აქვს?)

გამოიყენეთ სიტყვები: მუქი, ღია, ცივი ფერები, თბილი ფერები, დგას, ძველია, ახალია, კიდია.

.....

.....

.....

.....

13. დაიმახსოვრეთ:

სინონიმებია:

მკვეთრი - მკაფიო
ბინძური - ჭუჭყიანი
ბინძურდება - ჭუჭყიანდება

ანტონიმებია:

წესრიგი - უწესრიგობა
ღია - მუქი
გარემონტებული - გაურემონტებელი
თბილი ფერები - ცივი ფერები
ნათელი - ბნელი
ფართო - ვიწრო

ა) წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა შეცვალეთ სინონიმით და წინადადება ისე გადაწერეთ:

1) საკლასო ოთახი ძალიან <u>ბინძური</u> იყო, ყველგან ნაგავი ეყარა.

.....

2) ლეილამ ქაღალდზე ფანქრით <u>მკვეთრი</u> ხაზი გაავლო.

.....

3) ბიჭი <u>ჭუჭყიანი</u> ხელებით ცრემლებს იწმენდდა.

.....

4) კედელზე <u>მკვეთრად</u> ეტყობოდა საღებავის ლაქები .....

ბ) ხაზგასმულ სიტყვებს შეურჩიეთ ანტონიმი:

1. <u>უწესრიგობა</u> იყო ყველგან: ქუჩაში, სახლში, ეზოში.
ა) გარემონტებული; ბ) წესრიგი; გ) ჭუჭყიანი; დ) ბნელი.

2. <u>ღია</u> ყავისფერი თმა ქარისგან უფრიალებდა.
ა) ცივი; ბ) თბილი; გ) მუქი; დ) ოქროსფერი.

3. ჩემი სახლის ფანჯრები დიდი და <u>ნათელია.</u>
ა) ბნელია; ბ) პატარაა, გ) ვიწროა; დ) დახურულია.

გ) შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:

მკვეთრი ჭუჭყიანი ნათელი ბნელი ფართო ვიწრო ღია მუქი

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....
7. .....
8. .....
9. .....
10. .....

14. დააკვირდით და დაიმახსოვრეთ:

სიტყვა-განმარტება	**შესატყვისი წინადადება**
სტილი - ის ნიშნები, რომლებითაც ესა თუ ის შენობა, მწერალი /ნახატი/ სხვისგან განსხვავდება.	თანამედროვე სტილით აშენებულ სახლებს ერთი დიდი უპირატესობა აქვთ.
კლასიკური - ყველა დროისთვის საუკეთესო, სანიმუშო.	თეთრი ფერი კლასიკური ფერია.
პროპორციული - ერთმანეთთან თანაბრად განლაგებული, სწორი.	ოთახები ერთმანეთის პროპორციულადაა განლაგებული.
დამღლელი დღე - დღე, როდესაც ბევრი ვიშრომეთ.	დამღლელი, დატვირთული დღის შემდეგ კარგია დასვენება.

15. მოცემული სიტყვები ჩასვით შესაბამის წინადადებაში:

დამღლელი, კრემისფერი, პროპორციულად, სტილის, პალიტრა, კლასიკური, ბინძური, მკვეთრად, წესრიგი, უწესრიგობა.

1. ოთახის ერთ კუთხეში ..... ტანსაცმელი ეყარა.
2. ანის სპორტული .....ფეხსაცმელი ეცვა.
3. ჩემი სამსახური ..... და მოსაწყენია.
4. ძალიან ლამაზი იყო ბუნებაში გაშლილი ფერების.....
5. შპალერზე ყვავილები .....ად იყო დახატული
6. მთელ სახლში არაჩვეულებრივი ..... იყო.
7. ..... ფერებია შავი და თეთრი.
8. არ მიყვარს .....
9. თუ შეიძლება ის ..... კაბა მომეცით, მომეწონა.
10. ოთახში .....იყო დალაგებული ავეჯი.

16. დააკვირდით წარმოების წესს და დააკავშირეთ მსგავსი სახელები:

დაიმახსოვრეთ!

ქართულში არის სიტყვები, რომელთაც აბსტრაქტულ არსებით სახელებს უწოდებენ.ეს ის სიტყვებია, რომლებსაც კონკრეტული სახე არა აქვს, მაგ., ყვავილი შეიძლება ადვილად დახატო, რადგან მისი დანახვა შეიძლება, მაგრამ სილამაზეს ვერ დახატავ, ყველა ადამიანი მას თავისებურად ხედავს. ასე რომ, სილამაზე აბსტრაქტული სახელია. მსგავსი სახელებია: სითეთრე, სივრცე და ა. შ.

ასეთი სიტყვები მიიღება ძირითად სიტყვაზე სი-ე აფიქსების დამატებით.

მაგ.: მარტივი-სი-მარტივ-ე; ნათელი-სი-ნათლ-ე; ვრცელი-სი-ვრც-ე

მშვიდი		სიგიჟე
კეთილი		სიცოცხლე
ბრძენი		სიმშვიდე
გიჟი		სიბრაზე
ცოცხალი		სიკეთე
ბრაზი		სიცარიელე
ცარიელი		სიბრძნე

17. შეარჩიეთ წინადადებისათვის სწორი ფორმა:

ვრცელი (როგორი?)//სივრცე (რა?)

ა) ოთახის ..... საკმარისია ზეიმის მოსაწყობად.

ბ) ჩვენი სპორტული დარბაზია .....

ნათელი/სინათლე

ა) ფარდა გადაწეული იყო და გარედან ..... შემოდიოდა.

ბ) მისაღებ ოთახს აქვს დიდი და ..... ფანჯრები.

მარტივი/სიმარტივე

ა) .....ა არჩიო ფერი, მაგრამ სხვა ფერთან შეხამებაა ძნელია.

ბ) მიყვარს ..... ინტერიერში.

18. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვების გამოყენებით:

მშვიდი, სიცოცხლე, კეთილი, სიბრაზე, სიკეთე, ბრძენი, სიბრძნე, ცარიელი

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

19. ა) წაიკითხეთ ინფორმაცია:



სურათზე აღნიშნულია ჰორიზონტის მხარეები: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი...

მაგრამ, როცა ობიექტის ადგილს განვსაზღვრავთ, ვამბობთ: არის აღმოსავლეთ-ით/ დასავლეთით/სამხრეთით

მაგ., სურათზე ხე არის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დასავლეთით არის მდინარე.

ბ) დააკვირდით სურათს და ჩაწერეთ, სად მდებარეობს ობიექტები (საწყის წერტილად აიღეთ შადრევანი):



შადრევნის ჩრდილოეთით არის .....

.....

.....

.....

.....

კითხვა

20. წაიკითხეთ ტექსტი:

ლაქა - ჭუჭყის კვალი ტანსაცმელზე ან სხვა რამეზე.

დიზაინერის რჩევები

თანამედროვე სტილის სახლებს აქვს დიდი ფანჯრები, აქედან მეტი სინათლე შემოდის ოთახში.

თუ გინდათ სივრცე გაადიდოთ, შეგიძლიათ შიდა ფანჯრები გამოიყენოთ. ინტერიერში დღეს ყველაზე პოპულარულია თეთრი კედლები, ხის იატაკი, შუა საუკუნეების ავეჯი, მეტი სივრცე და ნაკლები უწესრიგობა.

თეთრი თანამედროვე სახლის ფერია. ეს არის მარტივი, კლასიკური ფერი, მაგრამ, თუ თქვენ არ მოგწონთ ეს ფერი, გირჩევთ, ერთდროულად სხვადასხვა ფერი გამოიყენოთ. მთავარია, თქვენ მოგეწონოთ ის.

სამზარეულოსთვის დიზაინერები გვირჩევენ: ყავისფერს და მის ტონებს: შოკოლადის თუ კრემის ფერებს, ეს სამზარეულოს სითბოს მატებს. ამის გარდა, ყავისფერი ადვილად არ ბინძურდება, მარტივი მოსავლელი და ძალიან პრაქტიკულია. მოსწონთ როგორც ახალგაზრდებს , ისე უფროსი ასაკის ადამიანებს.

დიზაინერები აღნიშნავენ, რომ ინტერიერში მწვანე ფერის გამოყენება სახლს ახალ სიცოცხლეს ანიჭებს და მხიარულებით ავსებს. საძინებელი ოთახის დიზაინში კი უფრო კარგია მუქი მწვანე, აღნიშნული ფერი დაგეხმარება დამღლელი დღის შემდეგ დამშვიდებაში.

მისაღები არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ოთახი ნებისმიერ სახლში ან ბინაში. ეს არის ოჯახის ყველა წევრის დასვენების, ასევე სტუმრების მისაღები ადგილი. თუ გინდათ თქვენმა სტუმარმა თავი კომფორტულად იგრძნოს, ოთახში სწორად გაანაწილეთ ფერები: თუ ოთახში ფანჯრები ჩრდილოეთითაა, კედლები შეღებეთ თბილი ფერებით. თუ სამხრეთითაა - ცივი ფერებით, რადგან ამომავალი მზის სხივებზე ოთახი ზედმეტად ნათდება და სიმშვიდე იკარგება. ოთახში, რომელიც არის აღმოსავლეთით, კედლები შეღებეთ პასტელის ფერებში, მაგალითად, ოქროსფრად, ვარდისფრად, ღია მწვანედ, თუ ფანჯრები დასავლეთითაა, გამოიყენეთ ცივი ტონები: ლურჯი, იისფერი, ნაცრისფერი. გახსოვდეთ, ცივი ფერები ვიზუალურად უფრო აფართოებს სივრცეს, ხოლო მუქი ფერები უფრო პატარას წარმოაჩენს მას.

უპასუხეთ კითხვებს:

- რითია გამორჩეული თანამედროვე სტილით აშენებული სახლები?
- როგორი ავეჯია პოპულარული თანამედროვე სტილის სახლებში?
- რომელი ფერია სამზარეულოსთვის ყველა ასაკზე მორგებული?
- რას ვაქცევთ ყურადღებას მისაღებ ოთახში ფერის შერჩევისას?
- რომელი ფერის გამოყენებას გვირჩევენ დიზაინერები საძინებელში? რატომ?

21. გაიხსენეთ ტექსტი და შემოხაზეთ სწორი პასუხები:

ინტერიერში დღეს პოპულარულია ა) ავეჯის დამატება; ბ) მეტი სივრცე; გ) ფერების დამატება; დ) ბევრი უწესრიგობა.	ბინაში სივრცის გასაზრდელად შეგიძლიათ გამოიყენოთ ა) გარეთ აივანი; ბ) ჩრდილოეთის კედლები; გ) შიდა ფანჯრები; დ) ცივი ფერები.

თუ არ ხართ თეთრი ფერის მოყვარული, შეგიძლიათ გამოიყენოთ ა) სხვადასხვა ფერი; ბ) ყვითელი ფერი; გ) ცისფერი; დ) ცივი ფერები.	რომელი არ არის ყავისფერის უპირატესი თვისება? ა) ადვილად არ ბინძურდება; ბ) მოსავლელად მარტივია; გ) მეტი სითბო შემოაქვს; დ) ყველას მოსწონს.

22. გაიხსენეთ ტექსტი, რომელი ფერების გამოყენებას გვირჩევს დიზაინერი? რატომ?

ოთახი	ფერები
სამზარეულოში	
საძინებელში	
მისაღებში	

23. დააკავშირეთ:

ა) სამხრეთით განლაგებული ფანჯრების შემთხვევაში	კედლები შეღებეთ თბილი ფერებით.
ბ) ოთახში, რომელიც „იყურება” აღმოსავლეთით,	კედლები შეღებეთ პასტელის ფერებში.
გ) თუ ოთახში ფანჯრები ჩრდილოეთითაა,	გამოიყენეთ ცივი ტონები.

24. ა) დააკვირდით:

ქართულში ერთი რიგის სახელებს აქვთ უყოლობა-უქონლობის შინაარსი (როცა არ ჰყავთ/არ აქვთ რამე ან ვინმე) , ასეთი სახელები ყოლა-ქონის სახელების ანტონიმებია. მაგ., ყოლა-ქონის სახელებია: ცოლიანი, ქუდიანი, ხოლო უყოლობა-უქონლობისა-უცოლო, უქუდო, ასე რომ, უყოლობა-უქონლობის სახელებს ვიღებთ ძირითად სიტყვაზე უ-ო აფიქსების დამატებით. ასეთი სახელები მიიღება აგრეთვე უ-ურ(უ-ულ) აფისებით. მაგ.: ყური-უყურო, გული-უგულო, ფერი-უფერული, წესრიგიანი-უწესრიგო, მაგრამ წესრიგი-უწესრიგობა.

ერთი ჯგუფი სახელებისა თავში დაირთავს არა-ს, მაგ.: პრაქტიკული-არაპრაქტიკული. სერიოზული-არასერიოზული.

ბ) მოცემული სიტყვებიდან აწარმოეთ უყოლობა-უქონლობის სახელები:

უ-ო

შვილი .....

ფული .....

სუფთა .....

პური .....

უ-ურ

წიგნი .....

გემო .....

ბედი .....

საქმე .....

უ-ულ

ფერი .....

წვერი .....

გ) ქონა-ყოლის სახელებისგან აწარმოეთ უყოლობა-უქონლობის სახელები:

ქუდიანი უ-ქუდ-ო

1. ბედიანი .....
2. იღბლიანი .....
3. ენიანი .....
4. ფანჯრიანი .....
5. მარილიანი .....
6. სუნიანი .....
7. გულიანი .....
8. გემოვნებიანი .....
9. ჩრდილიანი .....

25. ტექსტიდან ამოიწერეთ ქონა-ყოლის, უყოლობა-უქონლობის სახელები და დააჯგუფეთ ცხრილში:

ჩემს მეზობლად ლამაზი სახლი დგას, აივნიანი. მისი დიასახლისი ძალიან გემოვნებიანია. სახლი საინტერესოდ მოაწყო. მაგალითად, პატარა უფანჯრებო ოთახი ისეთ ფერებში შეღება, გეგონება უნაპირო ზღვაში მიცურავო, ნაკლებად განათებული ოთახი მზის ფერებით მოხატა და უდაბნოს სუნთქვით გაავსო. თავადაც ზრდილობიანი და ღიმილიანია, ამიტომ მასთან სტუმრობისას მანამდე უიმედო და უხალისო იმედიანი და ხალისიანი ხდები.

ქონა-ყოლის სახელები	უყოლობა-უქონლობის სახელები

26. შესწავლილი ფორმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

.....

.....

.....

.....

27. გაეცანით მოცემულ ინფორმაციას:

ქართულში შეიძლება გამოვხატოთ:

აუცილებლობა	უნდა მოვაწყო
მოქმედების სასურველობა	მინდა მოვაწყო
შესაძლებლობა	შეუძლია მოაწყოს
რჩევა	გირჩევ მოაწყო

გაითვალისწინეთ: რჩევა შეიძლება მისცე მეორე ან მესამე პირს
მოვაწყე მე ის (მე, ადამიანმა ,ბინა) -
მინდა მოვაწყ -ო მე ის (მე/ადამიანმა , ბინა)

28. მიუწერეთ, რას გამოხატავს წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა (რჩევას, სურვილს, აუცილებლობას?):

1. თუ თეთრი ფერი არ მოგწონთ, გირჩევთ ფერთა პალიტრა <u>გამოიყენოთ.</u>

.....

2. <u>შეღებეთ</u> კედლები ოქროსფერი საღებავით. .....
3. მინდა ჩემს შვილს საჩუქარი <u>გავუკეთო</u>. .....
4. მეგობარს უთხარით, სივრცე კარგად <u>გაანაწილოს</u>. .....
5. იატაკზე მინდა გრანიტი <u>დავაგო</u>. .....
6. სივრცის გასაზრდელად გირჩევ <u>გაადიდო</u> ფანჯრები. .....
7. მისაღებში ცალკე სივრცეები უნდა <u>მოაწყო</u> ბავშვებისთვის. .....

29. შეცვალეთ ზმნები ნიმუშის მიხედვით:

დაიმახსოვრე!	
გაადიდა მან ის	გამოიყენა მან ის
უნდა გაადიდოს მან ის	უნდა გამოიყენოს მან ის
უნდა გავადიდო მე ის	უნდა გამოვიყენო მე ის

გაადიდა უნდა	გაადიდ-ო-ს
გამოიყენა	.....
გაანაწილა	.....
შეღება	.....
გაანათა	.....
იგრძნო	.....
დაეხმარა	.....

30. გაიხსენეთ ტექსტი და შეავსეთ დიალოგი:

- გამარჯობათ, დიზაინის ბიუროა?
- დიახ, რა გნებავთ?
- დიზაინერის რჩევები მჭირდება.
- გისმენთ, რა გაინტერესებთ?
- რა უნდა გავაკეთო, სივრცის გასაზრდელად?
- .....
- რომელი ფერები გამოვიყენო ოთახების შესაღებად?
- .....
- ამბობენ, მწვანე ფერი კარგიაო, ამიხსენით, რატომ უნდა გამოვიყენო ეს ფერი?

- .....
- რას მირჩევთ, რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ სტუმრებმა თავი კომფორტულად იგრძნონ?
- .....
- როდის უნდა შევღებო ოთახი ოქროსფრად?
- .....
- მადლობა, გავითვალისწინებ, შეიძლება სხვა დროს კიდევ დაგირეკოთ?
- .....

31. მიაქციეთ ყურადღება:

კავშირები წინადადებების ერთმანეთთან დასაკავშირებლად გამოიყენება . პირობის გამოსახატავად გამოიყენება კავშირი **თუ**

მაგ., თუ გინდა შედეგს მიაღწიო, ბევრი უნდა იმუშაო. (მეორე წინადადებაში მოცემულია პირობა, რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რომ პირველ წინადადებაში მითითებულ მიზანს მიაღწიოს.

ა) დააკავშირეთ:

თუ გინდა სახლი ლამაზად მოაწყო	მოაწყვე მათთვის ცალკე კუთხე
თუ სინათლე გიყვარს	დაუკავშირდი დიზაინერს
თუ გსურს ბავშვები გაართო	შეარჩიე მშვიდი ფერები საძინებელში
თუ გინდა კარგად დაიძინო	გაადიდე ფანჯრები

ბ) შეადგინეთ წინადადებები თუ კავშირის გამოყენებით:

.....

.....

.....

.....

32. გაეცანით და დაიმახსოვრეთ:

ა) იატაკის და ჭერის მასალა



1 კვადრატული მეტრი



პარკეტი



ლამინატი



გრანიტი



ემდეეფი



მოზაიკური ფილა



კაფელ-მეტლახი

ბ) საქმიანობები



ღებვა



ლესვა



მოხვეწა



მოჭიმვა



ლამინატის დაგება



მოპირკეთება

33. დააკავშირეთ: (შესაძლოა, ზოგიერთი სიტყვა რამდენჯერმე გამოიყენოთ)

პარკეტის	მოპირკეთება
ლამინატის	მოჭიმვა
გრანიტის	შელესვა
კაფელ-მეტლახით	მოჭიმვა
მოზაიკის	შეღებვა
კედლების	დაგება
იატაკის	

34. შეავსეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით:

დაგება, შეღებვა, პარკეტის, დაგება, მოჭიმვა, მოპირკეთების, სარემონტო, მომსახურებისთვის, ლაქით, შეღებვა

1. კაფელ-მეტლახით ..... ღირებულებაა 15 ლარი.
2. თუ გინდა სახლში ლამინატის ....., გაეცანი მისი გამოყენების წესს.
3. ჩემი სახლის .....მოვიწვიე დიზაინერი.
4. რა დაჯდება კედლების ჩემი საღებავით .....?
5. გრანიტის დაგებამდე საჭიროა იატაკის .....
6. როცა იატაკი მზად იქნება, შეგიძლია .....
7. როგორც თქვენ ამბობთ,სახლის რემონტისთვის ჯერ საჭიროა ..... .

ლაპარაკი

35. წაიკითხეთ მოცემული ფრაზები და შეადგინეთ დიალოგი:

სრული სარემოტო მომსახურება
არქიტექტორ-დიზაინერი.
გირჩევ დაურეკო.
ბინას ვარემონტებ.
სად მირჩევ შევიძინო?
ხომ არ იცნობ?
რა ღირს?
შეგიძლია გამოიყენო.

წერა

36. შეავსეთ დიალოგის ფრაზები:

- გამარჯობათ, ვის ველაპარაკები?
- გამარჯობათ, თქვენ ვინ გნებავთ?
- დიზაინერებთან ვრეკავ, დახმარება მჭირდება.
- .....
- ოთახებისთვის ფერები მინდა შევარჩიო
- .....
- ოთხი ოთახი მაქვს: ორი საძინებელი, მისაღები და კაბინეტი, კიდევ სამზარეულო.
- .....
- დიახ, მისაღები ოთახი დიდია, ორი დიდი ფანჯრით.
- .....
- ფანჯრები სამხრეთით აქვს.
- .....
- კარგია, მიყვარს ეგ ფერი, თვითონ ყვავილიც.
- .....
- მუქი თუ ღია ფერის?

- .....
- კარგი, იყოს ღია, სინათლე მიყვარს, თან ამშვიდებს, ავეჯის შერჩევაშიც ხომ დამეხმარებით?
- .....
- ნამდვილად, ადგილზე ნახვა სჯობს, გელოდებით, დროებით!
- .....

1. რამდენი ოთახი გაქვთ, რომელი?
2. საძინებელი კი მწვანედ უნდა შეღებოთ
3. გისმენთ, რა გნებავთ?
4. ფანჯრები რომელ მხარეს აქვს?
5. რა თქმა უნდა, მაგრამ ადგილზე ნახვა სჯობს.
6. მისაღები ოთახი დიდია?
7. მუქი ფერის
8. დროებით
9. გირჩევთ იასამნისფრად შეღებოთ

37. დაწერეთ შეკითხვები მოცემული პასუხებისთვის:

1. ..... მინდა ლამაზად მოწყობილი ბინა მქონდეს.
2. ..... ვფიქრობ, ხუთი ოთახი საკმარისი იქნება.
3. .....თანამედროვე სტილში მინდა იყოს.
4. .....ავეჯიც თანამედროვე და კლასიკური მომწონს.
5. .....პასტელის ფერები მინდა გამოვიყენო.
6. ..... უფრო თბილი ფერები მომწონს.
7. .....სასადილო ოთახისთვის მინდა ოქროსფერი ტონები.
8. ..... ერთში ვარდისფერი, მერეში, ჩემთვის, ღია მწვანე.
9. ..... სამზარეულოში გრანიტი უნდა გავაკეთო და ფერსაც მას შევუხამებ.
10. ..... არა, მინდა დიზაინერს შევარჩევინო.

38. აღწერეთ, როგორია თქვენი ან თქვენი მეგობრის სახლი:

- რამდენოთახიანია?
- რომელი ფერები გაქვთ გამოყენებული?
- როგორი სტილისაა ინტერიერი?
- როგორი ავეჯი გაქვთ?
- რომელი ოთახია მეტად ნათელი?
- თქვენ რომელი ოთახი უფრო მოგწონთ? რატომ?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

39. ისაუბრეთ თქვენი ოცნების სახლის შესახებ, გამოიყენეთ სურვილის გამომხატველი ფორმები (მინდა ავაშენო/ მოვაწყო...):

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

04 ფესტივალები საქართველოში/თბილისში (წიგნის ფესტივალი, ყველის ფესტივალი...)

ლექსიკა: ფესტივალის გამართვასთან დაკავშირებული ფორმები: გამართვა (გაიმართება), წარმოადგენენ, ფასდაკლება, გამოფენა, გამომცემლობა; ორგანიზებით, მხარდაჭერით; გამომცემელი, გამავრცელებელი, ფესტივალის გახსნა.

გრამატიკული საკითხი: ზმნის წარსული და მომავალი დრო (წყვეტილი და მყოფადი), სუბიექტის ბრუნვა წყვეტილსა და მყოფადში; სიტყვათა წარმოქმნა, ზედსართავი სახელი (მიმღეობა).

ზმნები: გაიხსნა, გაიმართა, გაგრძელდა, ჩატარდა, გამოიფინა, გააერთიანა, შესთავაზა, დაიცვა, მოემზადა, იმსჯელა, დაათვალიერა, გაიყიდა.

თემის გახსნა





1. ა) რომელი /რისი ფესტივალები გაგიგიათ? ჩამოთვალეთ ან შეარჩიეთ ჩამონათვალიდან:

.....

.....

.....

ყვავილების, ფერების, შოკოლადის, წიგნის, ლუდის, ღვინის, ყველის ...

ბ) შემოხაზეთ ყველა სწორი პასუხი:

რა ხდება ფესტივალზე?

- ფესტივალზე ყოველთვის არის ერთი კომპანია.
- ყველა აჩვენებს თავის პროდუქციას.
- ფესტივალზე შეიძლება იყოს პროდუქტის რეკლამა.
- არ შეიძლება პროდუქტის დაგემოვნება (გემოს გასინჯვა).
- სადღესასწაულო გარემოა, არის მუსიკა, ცეკვა, გართობა.

ლექსიკა

პავილიონი - გამოფენაზე აგებული დროებითი ან მუდმივი შენობა /ფართი, რომელშიც ექსპონატებია გამოფენილი

გამომცემლობა - დაწესებულება, სადაც გამოსაცემად ამზადებენ წიგნებს.

ასოციაცია - ადამიანების ან ორგანიზაციების გაერთიანება /კავშირი.

2. ა) დააკვირდით სათაურსა და ილუსტრაციას და დაწერეთ თქვენი ვარაუდი, რის შესახებ იქნება ტექსტი?



.....

.....

.....

ბ) ილუსტრაციის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

რა გაიმართება? .....

სად გაიმართება? .....

როდის გაიმართება? .....

3. წაიკითხეთ ტექსტი და შემოხაზეთ სწორი პასუხები:

1. 16 – 18 დეკემბერს „ექსპო ჯორჯიას“ მე -4 და მე - 5 პავილიონებში გაიმართება:
ა. საქართველოს წიგნის გამომცემელთა ასოციაციის ფესტივალი.
ბ. თბილისის მერიის ფესტივალი.
გ. წიგნის საახალწლო ფესტივალი.

2. ფესტივალი გაიმართება:
ა. ექსპო ჯორჯიას ორგანიზებით.
ბ. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით.
გ. თბილისის მერიის ორგანიზებით.

3. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება წიგნები:
ა. მხოლოდ ბავშვებისთის.
ბ. მხოლოდ უფროსებისთვის.
გ. როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებითვის.

4. 2022 წლის დეკემბერში ჩატარდება:
ა. მხოლოდ წიგნის საახალწლო ფესტივალი.
ბ. მხოლოდ საბავშვო წიგნის ფესტივალი.
გ. გაერთიანებული იქნება წიგნის საახალწლო ფესტივალი და საბავშვო წიგნის ფესტივალი.

4. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

- ვინ მიიღებს მონაწილეობას ფესტივალზე?
- რას შესთავაზებენ სტუმრებს?
- რომელ ღონისძიებებს მოიცავს წიგნის საახალწლო ფესტივალი? /რა ღონისძიებები გაიმართება ფესტივალზე?

.....

.....

.....

.....

.....

.....

5. დააკავშირეთ განმარტებასთან:

ასოციაციის ორგანიზებით	ის, რაც ამჟამად, მოცემულ მომენტში მუშაობს.
მერიის მხარდაჭერით	დაგეგმავს, ფესტივალის ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას მოაგვარებს.
მოქმედი	დაეხმარება იმით, რის შესაძლებლობაც აქვს ან კანონი აძლევს.

6. ჩასვით წინადადებაში გამოტოვებული სიტყვები:

შესთავაზებენ, გაიმართება, წარმოდგენილი, იქნება, მიიღებს

1. 16 – 18 დეკემბერს წიგნის საახალწლო ფესტივალი ..... .
2. ფესტივალზე ..... წიგნები ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც.
3. ფესტივალში მონაწილეობას ..... ყველა გამომცემელი ორგანიზაცია.
4. ფესტივალზე სტუმრებს ფასდაკლებას ..... .

7. მოცემული სიტყვები ჩასვით შესაბამის წინადადებაში:

ასოციაციამ, წარმოდგენილი, გამოფენა-გაყიდვა, პავილიონში, გამომცემლობა

1. ..... „ინტელექტი“ უკვე ოცი წელია გამოსცემს სასკოლო სახელმძღვანელოებს.
2. გამოფენა-გაყიდვა გაიმართება მე-2 ..... .
3. გამარჯვებულები დააჯილდოვა ახალგაზრდა ბიზნესმენთა ..... .
4. რიყის პარკში ხელნაკეთი ნივთების ..... გაიმართა.
5. გამოფენაზე ..... იყო სხვადასხვა მასალისგან დამზადებული აქსესუარები.

8. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით:

გამოფენა - გაყიდვა, გამომცემლობა, ფესტივალი, წარმოდგენილი იყო, 20-25 მარტს

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

9. მოცემულ ილუსტრაციაზე დაყრდნობით ისაუბრეთ ფესტივალის შესახებ. გამოიყენეთ სიტყვები: გაიმართება, ჩატარდება, მხარდაჭერით, ორგანიზებით.



ყველის ფესტივალი





I ცოტა პური, ცოტა ღვინო და ბევრი ყველი, რაც მთავარია ქართული სტუმარმასპინძლობა. რიყეზე მოწყობილი სცენიდან ისმის ქართული მუსიკა. გასულ კვირას თბილისში, ერთ -ერთ ძველ უბანში, რიყეზე ასეთი სადღესასწაულო და მეგობრული გარემო იყო.

II საქართველოში ყველის წარმოების კულტურა ისეთივე უძველესია, როგორიც ღვინისა.

- რიყეზე გამართული ფესტივალი „კავკასიური ყველი 2015“ ქართული ყველის პოპულარიზაციას ემსახურება. ყველის მწარმოებელთა გილდიის ორგანიზებით, საქართველოს დედაქალაქში ყველის ფესტივალი უკვე მესამედ გაიმართა და, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ეს ტრადიციად დამკვიდრდება.

III წელს აქცენტი კავკასიური ყველის საუკეთესო სახეობებზე გაკეთდა. საქართველოს ყველა რეგიონიდან 60-მდე სახეობის ყველი იყო წარმოდგენილი: დამბალ-ხაჭო, მუჩლი, გუდა, ჩეჩილი, ჩლეჩილი, ჩოგი, ტენილი, ნარჩვი, ლაგუჯიში, სულგუნი, ბერქეიზი, შუშველა, თაფლსა და ღვინოში დავარგებული ყველი, ყველის ხვეულა სხვადასხვა გულსართით, შებოლილი ყველი, ბეშუმური, ჭაჭამოდებული, თხის ყველის ნაირსახეობები და სხვა. წლევანდელ ფესტივალში, ქართველი მწარმოებლების გარდა, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

IV ფესტივალის „კავკასიური ყველი 2015“ ფარგლებში გამართულ კონკურსში დარგის სპეციალისტებითა და ყველის ტექნოლოგებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ შვიდ ნომინაციაში სხვადასხვა სახეობის 12 გამარჯვებული ყველი გამოავლინა.

V ყველის ფესტივალზე იმერეთი თავისი ჩვეული სტუმარმასპინძლობით გამოირჩეოდა. ამ კუთხის წარმომადგენლებმა გამოფინეს დეკორატიულად გაფორმებული ყველის ყველა სახეობა, ასევე ყველისგან დამზადებული იმერული ხაჭაპური, აჩმა, სულგუნი ცხელი მჭადებითა და , თქვენ წარმოიდგინეთ, შემწვარი გოჭისა და ქათმის ხორციც კი შესთავაზეს ფესტივალზე მისულ დამთვალიერებლებსა და უცხოელ სტუმრებს. ჩამოსული სტუმრები აგემოვნებდნენ იმერულ კერძებს და ოვაციებსა თუ კომპლიმენტებს არ იშურებდნენ.

10. მონიშნეთ სწორი და არასწორი ინფორმაცია:

		სწორი/+	არასწორი/ -
1	სადღესასწაულო გარემოს ქმნიდა ქართული მუსიკა და სტუმარმასპინძლობა.		
2	საქართველოში ყველის წარმოების კულტურა ახალია.		
3	თბილისში ყველის ფესტივალი პირველად გაიმართა.		
4	ფესტივალზე ყველის მრავალი სახეობა იყო წარმოდგენილი საქართველოს ყველა რეგიონიდან.		
5	გაიმართა ყველის სხვადასხვა სახეობის დაჯილდოება.		
6	იმერეთმა წარმოადგინა მხოლოდ ყველის ერთი სახეობა.		

11. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ცხრილი:

რა ჩატარდა?	სად ჩატარდა?	როდის ჩატარდა?	როგორი პროდუქცია იყო წარმოდგენილი?

12. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

1. სად გაიმართა ყველის ფესტივალი?
2. რას ემსახურება ეს ფესტივალი ?
3. ვისი ორგანზებით გაიმართა ეს ღონისძიება?
4. რამდენი სახეობის ყველი იყო წარმოდგენილი?
5. რით გამოირჩეოდა იმერეთი ფესტივალზე?

.....

.....

.....

.....

.....

13. დააკავშირეთ აბზაცის ნომრები და სათაურები:

I	ყველის სახეობები
II	გარემო
III	იმერეთი ყველის ფესტივალზე
IV	გამარჯვებულთა გამოვლენა
V	ყველის ფესტივალი

14. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

გილდია	დიდი რაოდენობა, სიმრავლე
აღორძინება	კორპორაცია, გაერთიანება რაიმე ნიშნით
ხვავი/სიუხვე	აღდგენა, განახლება

15. შეადგინეთ ფრაზები:

დარგის	დამკვიდრება
სადღესასწაულო	წარმოება
ფესტივალის	გარემო
ყველის	გამართვა
ტრადიციის	სპეციალისტები

16. შეარჩიეთ წინა დავალებაში მოცმული ფრაზები და ჩასვით წინადადებაში:

ნიმუში: ფესტივალზე <u>სადღესასწაულო გარემო</u> იყო.

1. ფესტივალის ჟიური დაკომპლექტებული იყო ..... სპეციალისტებით.
2. ყველის მწარმოებელთა გილდიამ გადაწყვიტა ..... გამართვა.
3. საქართველოში ..... წარმოება უძველესი დროიდან იწყება.
4. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ყველის ფესტივალის ტრადიციის ....

17. მოცემული სიტყვებითა და ფრაზებით შეადგინეთ წინადადებები:

რიყეზე; გასულ კვირას; გამართული; საქართველოს დედაქალაქში; თბილისში; ფესტივალი; გამოფინეს; ყველის ფესტივალი; ყველის ყველა სახეობა; ერთ -ერთ ძველ უბანში; რიყეზე; „კავკასიური ყველი 2015“; უკვე; სადღესასწაულო და მეგობრული; გაიმართა; ქართული; ყველის; იყო; პოპულარიზაციას ემსახურება; გარემო; მესამედ; იმერეთის წარმომადგენლებმა; დეკორატიულად გაფორმებული.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

18. ისაუბრეთ და ტექსტის მიხედვით გადმოეცით ძირითადი ინფორმაცია ყველის ფესტივალის შესახებ:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

19. დააკვირდით ცხრილს და შეარჩიეთ ზმნები ქვემოთ მოცემული ტექსტებისთვის:

წარსული დრო (რას ვაკეთებ?) წყვეტილის მწკრივი	მომავალი დრო (რას გავაკეთებ?) მყოფადის მწკრივი
გაიმართა	გაიმართება
ჩატარდა	ჩატარდება
გამოიფინა	გამოიფინება
გააერთიანა	გააერთიანებს
შესთავაზეს	შესთავაზებენ

18 – 22 მარტს გაიმართება წიგნების გამოფენა-გაყიდვა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში. ფესტივალი ..... საბავშვო წიგნების ფესტივალსა და კონკურსს მხატვრულ კითხვაში. ფესტივალზე ..... ხელნაკეთი ნივთები და აქსესუარები. გამომცემლობები მომხმარებლებს ..... 50 – 70 %-იან ფასდაკლებას. ასევე, ... სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები.

18 – 22 მარტს გაიმართა წიგნების გამოფენა-გაყიდვა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში. ფესტივალმა ..... საბავშვო წიგნების ფესტივალი და კონკურსი მხატვრულ კითხვაში. ფესტივალზე ..... ხელნაკეთი ნივთები და აქსესუარები. გამომცემლობებმა მომხმარებლებს ..... 50 – 70 %-იანი ფასდაკლება. ასევე, ... სხვადასხვა სახის გასართობი ღონისძიებები.

20. დააკვირდით ცხრილს და შეავსეთ გამოტოვებული ფორმები:

წარსული დრო წყვეტილის მწკრივი	ახლანდელი დრო აწმყოს მწკრივი	მომავალი დრო მყოფადის მწკრივი
	იმართება	გა - იმართ - ება
	ათვალიერებს	და - ათვალიერ - ებს
ჩა - ტარდ-ა	ტარდება	
გა - ერთიანდ - ა	ერთიანდება	
შე - სთავაზ - ა	სთავაზობს	შე -სთავაზ-ებს
	ვრცელდება	გა - ვრცელდ - ება
და - იცვ - ა	იცავს	
	იყიდება	გა - იყიდ - ება
მო - ემზად-ა	ემზადება	
	სარგებლობს	ი - სარგებლ - ებს
ი - მსჯელ - ა	მსჯელობს	

21. დააკვირდით ცხრილს და მოცემული ზმნებით შეადგინეთ წინადადებები:

წარსული წყვეტილი	ახლანდელი აწმყო	მომავალი მყოფადი
ჩატარდა / გაიმართა ის (გამოფენა)	ტარდება /იმართება ის (გამოფენა)	ჩატარდება /გაიმართება ის (გამოფენა)
დაათვალიერა მან ის (სტუმარმა გამოფენა)	ათვალიერებს ის მას (სტუმარი გამოფენას)	დაათვალიერებს ის მას (სტუმარი გამოფენას)

გაიყიდა ის (წიგნი)	იყიდება ის (წიგნი)	გაიყიდება ის (წიგნი)
გაყიდა მან ის (გამომცემლობამ წიგნი)	ყიდის ის მას (გამომცემლობა წიგნს)	გაყიდის ის მას (გამომცემლობა წიგნს)
მოემზადა ის (ორგანიზაცია)	ემზადება ის (ორგანიზაცია)	მოემზადება ის (ორგანიზაცია)
იმსჯელა მან (ასოციაციამ)	მსჯელობს ის (ასოციაცია)	იმსჯელებს ის (ასოციაცია)

22. დააკვირდით ცხრილს და ქვემოთ მოცემულ სიტყვებს შეუსაბამეთ საწყისი ფორმები:

მ.... ; მ.....ელ ; მა.....ელ;	იშვიათად - მ.....არ; მ.....ალ;
გა-მა - ვრცელებ - ელ - ი	მ - ხატვ-არ - ი
გამო - მ - ცემ - ელ-ი	მ - წერ - ალ - ი
გამო-მ- გონებ-ელ-ი	
გა - მ -კეთებ-ელ-ი	
გა - მ-ფუჭებ - ელ-ი	
და - მა -არსებ - ელ-ი	
მი - მ - წოდებ - ელ - ი	
გა - მ- ყიდვ- ელ - ი	

მიწოდება, წერა, გაყიდვა, ხატვა, გავრცელება, გამოგონება, გაფუჭება, გამოცემა, გაკეთება, დაარსება

გამავრცელებელი .....

გამომცემელი .....

გამომგონებელი .....

მხატვარი .....

გამკეთებელი .....

გამფუჭებელი .....

მწერალი .....

დამაარსებელი .....

მიმწოდებელი .....

გამყიდველი .....

23. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები წინადადებებში ჩასვით შესაბამისი ფორმით:

ნიმუში: *გამომცემლობა „ელფის“ - <u>დამფუძნებელი</u> - (დაფუძნება) თინათინ დიდებულიძე ჟურნალისტს ესაუბრა.*

1. „ჰარი პოტერის“ ..... (გამოცემა) წიგნის ფესტივალის აქტიური მონაწილეა.
2. მომხმარებელს უფლება აქვს შეარჩიოს ..... (მიწოდება) და მასთან დადოს ხელშეკრულება.
3. ნიკო ფიროსმანი იყო ცნობილი ქართველი ..... (ხატვა).
4. ..... (გაყიდვა) დახლთან იდგა და ხურდას ითვლიდა.
5. სულაკაურის გამომცემლობის ..... (დაარსება) გახლავთ ბაკურ სულაკაური.

6. უილიამ ბულოკი ამერიკელი ..... (გამოგონება) იყო, რომელმაც საბეჭდი მანქანების სრული რევოლუცია მოახდინა.

7. საქმის ..... (გაფუჭება) უფრო მეტია, თუ ..... (გაკეთება) ?!

8. ქართველთა შორის წერა-კითხვის ..... (გავრცელება) საზოგადოება 1879 წელს დაარსდა.

24. შეადგინეთ ფრაზები:

ფესტივალი		უფლებები
გამოფენა		გაიმართება
საავტორო		„ინტელექტი“
საბავშვო		ფასდაკლება
გამომცემლობა		ლიტერატურა
სპეციალური		გაიხსნა

დააკვირდით განმარტებას:

გამოფენა - დასათვალიერებლად ჩვენება, დემონსტრირება.
გამომცემლობა - დაწესებულება, სადაც გამოსაცემად ამზადებენ წიგნებს.

25. შეავსეთ ტექსტი შესაბამისი სიტყვებითა და ფრაზებით, გამოიყენეთ წინა დავალება:

ა. წიგნის 21-ე საერთაშორისო ფესტივალი ..... თბილისში;

ბ. გამოფენა ..... ექსპო-ჯორჯიას მე-3, მე-5, მე-6 და მე-11 პავილიონებში;

გ. კონფერენციაზე ქართველი და საერთაშორისო სტუმრები საავტორო .... შესახებ იმსჯელებენ.

დ. გამომცემლობა „ინტელექტს“ აქვს სპეციალური ..... .

26. დააკვირდით ცხრილს და ტექსტი შეავსეთ შესაბამისი დროის ზმნით:

წარსული წყვეტილი	ახლანდელი აწმყო	მომავალი მყოფადი
გაიხსნა	იხსნება	გაიხსნება
გაიმართა	იმართება	გაიმართება
გაგრძელდა	გრძელდება	გაგრძელდება
გააერთიანა	აერთიანებს	გააერთიანებს
იმსჯელეს	მსჯელობენ	იმსჯელებენ
იყვნენ	არიან	იქნებიან
მოემზადა	ემზადება	მოემზადება

თბილისის საერთაშორისო წიგნის ფესტივალი 4 დღის განმავლობაში ..... და 70-მდე მონაწილესა და 100-ზე მეტ ღონისძიებას ..... ექ-სპო-ჯორჯიას მე-3 პავილიონში გამომცემელთა საერთაშორისო კონფერენცია ....., სადაც სფეროს წარმომადგენლები საავტორო უფლებების შესახებ ..... ამ ფესტივალის სპეციალური სტუმრები ..... ფინელი მწერლები. გამომცემლობა „ინტელექტი“ ამ ფესტივალისთვის განსაკუთრებუ-ლად .....

27. სწორად დანომრეთ არეული დიალოგები და გაითამაშეთ / წაიკითხეთ როლებში:

დიალოგი 1

	- კი, ვიცი. ჯორჯ ორუელის „1984“-ის ყიდვა მინდა, თან დავათვალიერებ, სხვა წიგნიც მაინტერესებს.
	- გამარჯობა, ნინო! კარგად, შენ როგორ ხარ? ახალი რა არის?
	- ნათია, წიგნის ფესტივალზე მინდა წასვლა, კარგ ფასდაკლებას გვთავაზობენ გამომცემლობები, არ წამოხვალ?
	- სხვა რა ღონისძიებებია წელს წიგნის ფესტივალზე დაგეგმილი?
	- კი, წამოვალ. უკვე იცი რა უნდა იყიდო? თუ დაათვალიერებ და მერე შეარჩევ?
1	- გამარჯობა, ნათია! როგორ ხარ?
	- კიდევ დაგეგმილია საბავშვო ღონისძიებები, ასევე ხელნაკეთი ნივთებისა და აქსესუარების გამოფენა-ყიდვა.
	- ძალიან კარგი! აუცილებლად წავიდეთ.
	- ხვალ 10:00 საათზე მეტრო-სადგურ „დელისთან“ გელოდებით, ნახვამდის!
	- კარგი, წამოვალ. ხელნაკეთი აქსესუარის ყიდვა მინდა საჩუქრად.
	- კარგად იყავი!

დიალოგი 2

1	- ნათია, რა კარგია, რომ მოხვედი.
	- აქაა გამომცემლობა პალიტრა L. აუ, რამდენი ხალხია. შენ რომ გინდა, იმ სტენდთან, მგონი, ვერ მივალთ.
	- კი, ნინო, ცოტა ხნის წინ მოვედი. ახლა წავიდეთ, აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა მოვძებნოთ.
	- მე ჩაი მირჩევნია!
	- კარგი ვიყიდოთ და მერე პალიტრა L-ის გამომცემლობასთან გადავიდეთ. აგათა კრისტის „მრუდე სახლი“ მინდა ვიყიდო.

	- კარგი, ცოტა ხანს სადმე დავსხდეთ, დავისვენოთ და მერე გავაგრძელოთ დათვალიერება.
	- ჯერ წიგნები ვიყიდოთ, ფასდაკლებაა და შეიძლება გაიყიდოს ყველა ეგზემპლარი.
	- ყავაც დავლიოთ, რა!

28. მოცემული სიტყვები ჩასვით დიალოგში შესაბამის ადგილას:

პავილიონშია, იაფია, ფასდაკლება, ღირს, ფასი, გამომცემლობის

- უკაცრავად, რა ..... ეს წიგნი?
- ეს 18 ლარი ღირს და 50 %-იანი ..... გვაქვს, ამიტომ 9 ლარია ამისი ..... . თან საჩუქრად ეს კალენდარი მოჰყვება.
- მართლა? უი, რა ..... ! მომეცით, ამ წიგნს ავიღებ. აიღეთ თანხა!
- ინებეთ წიგნი და ხურდა. ასევე, კალენდარი საჩუქრად.
- მადლობა! უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით „პალიტრა L -ის“ ..... სტენდი რომელ მხარესაა?
- კი, მე-4 ..... .
- მადლობას გიხდით დახმარებისთვის!
- არაფრის! ნახვამდის!

29. გამოიყენეთ მოცემული ფრაზები, შეადგინეთ მსგავსი დიალოგი და გაითამაშეთ როლებში:

უკაცრავად, ბოდიში, ინებეთ, აიღეთ, არაფრის, ნახვამდის, მადლობა რა ღირს?, საჩუქრად მოჰყვება, ფასდაკლება გვაქვს, 70%-იანი, სხვა გამომცემლობა

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

წერა

30. გამოიყენეთ მოცემული ილუსტრაცია და დაწერეთ საინფორმაციო - სარეკლამო ტექსტი; სამიზნე აუდიტორიას მიაწოდეთ ინფორმაცია თბილისის წიგნის ფესტივალის შესახებ; დაიხმარეთ გეგმა:



- რა ტარდება?
- სად ტარდება?
- როდის ტარდება (რომელ დღეებში)?
- ვინაა ორგანიზატორი (ორგანიზაცია ან სხვა)?
- ვინაა მხარდამჭერი (ორგანიზაცია, ბიზნესმენი, კერძო, არასამთავრობო ან სამთავრობო სექტორი)?
- წიგნის ფესტივალის გარდა კიდევ რა ღონისძიებები გაიმართება?

გაითვალისწინეთ: ინფორმაცია, რომელიც არაა ილუსტრაციაზე, შეგიძლიათ თავად მოიფიქროთ და დაამატოთ.

გამოიყენეთ შემდეგი ზმნები, ლექსიკა და ფრაზები:

გაიმართება, ჩატარდება, გამოიფინება, გაერთიანდება, შესთავაზებენ, დამფუძნებელი, გამავრცელებელი, გამომცემელი, დამკვეთი, დამთვალიერებელი, მკითხველი, წარმოდგენილი, იქნება, მონაწილეობას, მიიღებს, ორგანიზებას, გაუწევს, მხარს, დაუჭერს, შემოთავაზებული, იქნება, სპეციალური, ფასდაკლება

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

31. მისწერეთ წერილი მეგობარს, აღწერეთ ფესტივალი და დაპატიჟეთ ფესტივალზე:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: სპორტის სახეობები და მასთან დაკავშირებული ლექსიკა: ჰოკეი, კალათბურთი, ჭადრაკი, ცურვა, ბეისბოლი, რაგბი, გოლფი, ფეხბურთი, კრივი, ჯომარდობა, წყალში, ხტომა, ფრენბურთი, სათხილამურო სპორტი. მსაჯი, მეკარე, კომენტატორი, ფეხბურთი, მოედანი, კარი, გუნდი, თასი, ანგარიში, გულშემატკივარი.

გრამატიკული საკითხი: სახელთა წარმოქმნა -ოსან, მე - ე, -ისტ, -ელ აფიქსიანი სახელები. თანდებულები: შორის, გარდა, მიმართ, გამო, შესახებ.

ზმნები: მოიგო მან, წააგო მან, დამარცხდა ის, გაიმარჯვა მან, აჯარიმებს ის მას, დააჯარიმოს მან ის, გოლი გაიტანა მან, გულშემატკივრობს ის მას, უჩვენებს ის მას მას.

თემის გახსნისთვის

1. შეავსეთ ასოციოგრამა:



2. სპორტის რომელი სახეობის დასახელება შეგიძლიათ ქართულად?

ფეხბურთი .....

.....

.....

.....

.....

3. რა სარგებლობა მოაქვს სპორტს? შემოხაზეთ სწორი პასუხები და შემდეგ ისაუბრეთ მათზე დაყრდნობით:

ა. ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას.
ბ. ააქტიურებს ტვინისა და გულის მუშაობას.
გ. ადამიანს მატებს ზედმეტ წონას.
დ. აძლიერებს იმუნიტეტს.
ე. აძლიერებს ჭამის მადას.
ვ. აძლიერებს ორგანიზმს.
ზ. ზრდის პოპულარობას და მატერიალურ შემოსავალს.
თ. ავითარებს მოზარდს ფსიქიკურად და ფიზიკურად.
ი. ადამიანი ხდება ინერტული.

4. შემოხაზეთ და დაასახელეთ სპორტის სახეობები, რომლებიც, თქვენი აზრით, პოპულარულია საქართველოში:

ა. ჰოკეი
ბ. რაგბი
გ. კალათბურთი
დ. გოლფი
ე. ჭადრაკი
ვ. ფეხბურთი
ზ. ცურვა
თ. კრივი
ი. ბეისბოლი
კ. ჯომარდობა
ლ. წყალში ხტომა
მ. სათხილამურო სპორტი
ნ. ფრენბურთი

5. უპასუხეთ კითხვებს ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: *სპორტის რომელი სახეობა მოგწონს? .....ფრენბურთი.... .*

ა. შენი ოჯახის წევრებს სპორტის რომელი სახეობა უყვართ?

.....

ბ. როდის უყურებთ სპორტულ რეპორტაჟებს?

.....

გ. თქვენს ქალაქში/სოფელში რა ტიპის სპორტული მოედანი ან ცენტრი არის?

.....

დ. რას თამაშობენ თქვენს ქალაქში/სოფელში ახალგაზრდები უფრო ხშირად?

.....

ლექსიკა

6. სპორტის სახეობებს მიუწერეთ ქვემოთ მოცემული ფოტოების ნომრები ნიმუშის მიხედვით:

სპორტის სახეობა	ფოტოს N
ჩოგბურთი	
ბეისბოლი	
ფრენბურთი	
ჰოკეი	
სათხილამურო სპორტი	18
კრიკეტი	
კალათბურთი	
კრივი	12
ცურვა	
ფეხბურთი	
ჭადრაკი	

წყალში ხტომა	
რაგბი	
გოლფი	
მაგიდის ჩოგბურთი	
ჯუდო	
მძლეოსნობა	
მშვილდოსნობა	17



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18

7. დააკვირდით მე-5 დავალების ილუსტრაციებს და სპორტის სახეობები გაანაწილეთ ცხრილში ნიმუშის მიხედვით (შესაძლებელია ერთი სახეობა რამდენიმე გრაფაში):

გუნდური სპორტი	სამაგიდო თამაშები	წყლის სახეობები	ზამთრის სახეობები
კალათბურთი			

8. ა) დააკვირდით ქვემოთ მოცემულ სურათს: რა არის მასზე გამოსახული? შემოხაზეთ სწორი პასუხი:

ა. მოთამაშეების რაოდენობა
ბ. გუნდების რაოდენობა
გ. თამაშის ანგარიში

ბ) დააკვირდით ილუსტრაციის მარჯვნივ განთავსებულ ინფორმაციას საქართველო-ჩეხეთის მატჩის შესახებ და მისი გამოყენებით აღწერეთ სურათი:



საქართველო - ჩეხეთი

ანგარიში 4:1

4:1 = ოთხით ერთი

საქართველომ მოიგო = საქართველომ გაიმარჯვა.

ჩეხეთმა წააგო = ჩეხეთი დამარცხდა.

საქართველოს გუნდმა ოთხი გოლი გაიტანა.

ჩეხეთის გუნდმა ერთი გოლი გაიტანა.

9. დააკვირდით ილუსტრაციას, წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

ა. რა ანგარიშით დასრულდა ფეხბურთის თამაში? .....

ბ. რომელი გუნდები თამაშობდნენ? .....

გ. ვინ გაიტანა გოლი? .....

დ. რომელმა გუნდმა მოიგო? .....

ე. რომელმა გუნდმა წააგო? .....

საქართველო - პორტუგალია 2:0
27 ივნისი 2024 | 02:22



ევრო 2024-ის F ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა პორტუგალია 2:0 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფში პირველად ითამაშებს. გოლები კვარაცხელიამ და მიქაუტაძემ გაიტანეს.

10. დაასათაურეთ ილუსტრაციები:

მსაჯი, მეკარე, კომენტატორი, ფეხბურთი მოედანი, კარი, გუნდი, თასი, ანგარიში, ფიფას ემბლემა, გულშემატკივარი



1



2



3



4



5



6



7



8



9

10

11. ჩასვით წინადადებებში მოცემული სიტყვები:

მსაჯი, მეკარე, კომენტატორი, ფეხბურთი, მოედანზე, კარი, გუნდი, თასი, ანგარიში, გულშემატკივარი.

ფეხბურთელების გარდა, მოედანზე არიან.....მსაჯი.... და .....მეკარე.....

1. ..... არის გუნდური თამაში.
2. ვინც ფეხბურთს აკომენტარებს, არის .....
3. ფეხბურთის მოედნის თავსა და ბოლოში არის ორი .....

4. მოედანზე ერთმანეთს ორი ..... ეთამაშება.

5. გამარჯვებულ გუნდს ოქროს .... გადაეცემა.

6. მე საქართველოს გუნდის ..... ვარ.

7. დინამომ გოლი გაიტანა და ანგარიში ..... ორით ორი გახდა.

12. დააკავშირეთ სიტყვა და განმარტება:

გულშემატკივარი	თამაშის შედეგი
ანგარიში	დასჯა
დაჯარიმება	მომხრე, მხარდამჭერი, ქომაგი, ფანი
აღმართული	თამაში გუნდებს შორის
შეჯიბრება	მაღლა აწეული

13. დააკავშირეთ ნიმუშის მიხედვით და გადაწერეთ:

არასპორტული	დარღვევა
წესების	გატანა
გოლის	საქციელი
ანგარიშის	მიერ
მოწინააღმდეგის	ხმა
გულშემატკივრების	გახსნა
გუნდური	თასი
ფიფას	სპორტი

არასპორტული საქციელი

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

14. დააკვირდით თანდებულებს, წინადადების ნაწილები დააკავშირეთ ერთმანეთთან და წაიკითხეთ ყურადღებით:

1. გუნდებს **შორის**	ა. გატანილი გოლით ანგარიში გაიხსნა.
2. მოწინააღმდეგის **მიერ**	ბ. დაიწყო შეჯიბრება.
3. მეკარის **გარდა**	გ. ამ კვირაში ორი მატჩი უნდა გაიმართოს.
4. გეგმის **მიხედვით**	დ. კარში არავინ უნდა იდგეს.
5. არასპორტული საქციელის **გამო**	ე. ლიდერობს საქართველოს ეროვნული ნაკრები.
6. სპორტსმენის ავადმყოფობის **შესახებ**	ვ. სპორტსმენი დაჯარიმდა.
7. ახალგაზრდულ ნაკრებებს **შორის**	ზ. თბილისელი გულშემატკივარი დიდ ინტერესს იჩენს.
8. რაგბის **მიმართ**	თ. ინფორმაცია რადიო თავისუფლებამ გაავრცელა.

ნიმუში: *1 - გ. .....გუნდებს შორის დაიწყო შეჯიბრება.....*

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

კითხვა

15. რა იცით ფეხბურთის შესახებ? უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელი ქვეყანაა ფეხბურთის სამშობლო? .....

2. რამდენი ადამიანი თამაშობს ფეხბურთის გუნდში? .....

3. სად თამაშობენ ფეხბურთს? .....

4. ვინ დგას კარში? .....

5. რამდენ წუთს გრძელდება ფეხბურთის თამაში? .....

6. რა ჰქვიათ იმ ადამიანებს, რომლებსაც ფეხბურთი უყვართ? .....

16. გადახედეთ ტექსტს და გადაამოწმეთ თქვენი პასუხები:

ფეხბურთი

1. ფეხბურთი გუნდური სპორტის სახეობაა, რომელშიც თერთმეტი ფეხბურთელისაგან შემდგარი ორი გუნდი ეთამაშება ერთმანეთს. ორივე გუნდს ჰყავს კაპიტანი და მეკარე.
2. გუნდებს შორის თამაში 90 წუთი მიმდინარეობს მინდორზე, რომლის ორივე ბოლოში საგოლე კარია.
3. კარში დგას მეკარე. ის იცავს კარს მოწინააღმდეგის მიერ გოლის გატანისგან. თამაშის დროს, მეკარის გარდა, ხელის გამოყენების უფლება არავის აქვს.
4. ფეხბურთის თამაშის მიზანი გუნდის წევრებს შორის შეჯიბრება და მოწინააღმდეგის კარში გოლის გატანაა. პირველი გოლის გატანას ანგარიშის გახსნა ჰქვია. გამარჯვებული ის გუნდია, რომელმაც უფრო მეტი გოლი გაიტანა თამაშის ბოლომდე.

5. ფეხბურთს ჰყავს სპორტული კომენტატორი, რომელიც მასმედიის საშუალებით აკომენტარებს მიმდინარე მატჩს.
6. ფეხბურთის გუნდებს ჰყავთ გულშემატკივრები. გულშემატკივრების, ანუ ქომაგების, ძირითადი მიზანია მატჩის განმავლობაში საკუთარი გუნდის მხარდაჭერა და წახალისება. გულშემატკივრების ხმა და შეძახილები გუნდს სტიმულს აძლევს.
7. ფეხბურთში არის ერთი მთავარი და ოთხი დამხმარე მსაჯი. მთავარ მსაჯს აქვს უფლება დააჯარიმოს გუნდი არასპორტული საქციელის და წესების დარღვევის გამო. მსაჯს შეუძლია ფეხბურთელს უჩვენოს ყვითელი ან წითელი ბარათი. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უხეშად ითამაშა ფეხბურთელმა. თუ მსაჯს მოთამაშის გაფრთხილება სურს, ის მას ყვითელ ბარათს უჩვენებს.
8. ზედმეტად უხეში თამაშის გამო კი ფეხბურთელს წითელ ბარათს უჩვენებენ.
9. ფეხბურთის თამაში თანამედროვე სახით ჩამოყალიბდა ინგლისში, ფეხბურთის საერთაშორისო მმართველი ორგანიზაციაა ფიფა.
10. ჩემპიონატში გამარჯვებულ გუნდს ფიფას თასი გადაეცემა. ფიფას მსოფლიო თასი პირველად 1974 წელს გერმანიას გადასცეს. თასი იტალიელი მოქანდაკის, სილვიო გაცანიას, ესკიზის მიხედვით დამზადდა. თასი ოქროსგანაა ჩამოსხმული, თასის კომპოზიციაში გამოსახულია ორი ადამიანი, რომლებსაც დედამიწა აქვთ აღმართული.

17. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რა არის ფეხბურთის თამაშის მიზანი? .....
2. რას აკეთებს ორი გუნდი ფეხბურთის დროს? .....
3. რისი უფლება აქვს მეკარეს ფეხბურთელებისაგან განსხვავებით? .....
4. რა განაპირობებს გუნდის გამარჯვებას? .....
5. ვინ ამხნევებს ფავორიტ გუნდს? .....
6. რისი უფლება აქვს მთავარ მსაჯს? .....
7. რა შემთხვევაში ჯარიმდება ფეხბურთელი? .....
8. რას აღნიშნავს ყვითელი ბარათი? .....
9. რა ფუნქცია აქვს წითელ ბარათს? .....
10. რომელმა ქვეყანამ მოიგო პირველად ფიფას თასი? .....

18. ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

ფეხბურთელი	მეკარე	მსაჯი	გულშემატკივარი	ფიფა	სპორტული კომენტატორი
				გადასცემს ოქროს თასს გამარჯვებულ გუნდს.	

19. ტექსტის შინაარსზე დაყრდნობით შეაერთეთ წინადადებების ნაწილები და გადაწერეთ ქვემოთ:

1. ფეხბურთის თამაში თანამედროვე სახით	ა. რომელშიც თერთმეტი ფეხბურთელისაგან შემდგარი ორი გუნდი ეთამაშება ერთმანეთს.
2. კარში დგას მეკარე,	ბ. ჩამოყალიბდა ინგლისში.
	გ. რომლის ბოლოებში ორი საგოლე კარია.
3. ფეხბურთი გუნდური სპორტია,	დ. რომელიც იცავს კარს მოწინააღმდეგის გოლისგან
4. თამაშის პერიოდში, მეკარის გარდა,	ე. თუ რამდენად უხეშად ითამაშა ფეხბურთელმა.
5. ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო შეჯიბრებაა ფიფა-ს მსოფლიო ჩემპიონატი,	ვ. ხელის გამოყენების უფლება არავის აქვს.
6. გულშემატკივრების,ანუ ქომაგების, ძირითადი მიზანია	ზ. არასპორტული საქციელის გამო,
7. მთავარ მსაჯს აქვს უფლება დააჯარიმოს გუნდი	თ. რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს მსოფლიოში.
8. გუნდებს შორის თამაში მიმდინარეობს მინდორზე,	ი. და მოწინააღმდეგის კარში გოლის გასატანაა.

9. პირველი გოლის გატანას	კ. მატჩის განმავლობაში საკუთარი გუნდის მხარდაჭერა და წახალისება.
10. ყვითელი ან წითელი ბარათის ჩვენება იმაზეა დამოკიდებული,	ლ. ანგარიშის გახსნა ჰქვია.

1. .....

.....

2. .....

.....

3. .....

.....

4. .....

.....

5. .....

.....

6. .....

.....

7. .....

.....

8. .....

.....

9. .....

.....

10. .....

.....

20. მიუწერეთ ტექსტის აბზაცის ნომრები წინადადებებს:

ნიმუში: *განმარტებულია ფეხბურთის არსი/რაობა -1.*

ა. აღწერილია მეკარის ფუნქცია. .....

ბ. დასახელებულია, თუ რომელი პროფესიის წარმომადგენელი უძღვება ფეხბურთის რეპორტაჟს. .....

გ. აღწერილია ფეხბურთის თამაშის მიზანი. .....

დ. აღწერილია თამაშის ადგილი. .....

ე. საუბარია მათზე, ვინც აკონტროლებს მოედანზე თამაშის წესების დაცვას. .....

ვ. საუბარია ფეხბურთის საერთაშორისო მმართველზე. .....

ზ. საუბარია გუნდის გულშემატკივრებზე. .....

თ. საუბარია ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდების ჯილდოზე და მის ატრიბუტებზე. .....

გრამატიკა

21. დააკვირდით ცხრილში მოცემულ სპორტის სახეობებს და მიუწერეთ შესაბამისი სპორტსმენი ნიმუშის მიხედვით. ყურადღება მიაქციეთ მაწარმოებლებს:

-ოსან	მო - -ე	-ისტ	-ელ
მძლეოსნობა -მძლეოსანი	რაგბი - მორაგბე	ძიუდო -ძიუდოისტი	ჩოგბურთი - ჩოგბურთელი
მშვილდოსნობა -	ჭადრაკი -	კარატე -	ფეხბურთი -
ცხენოსნობა -	კრივი -	ალპინიზმი-	ფრენბურთი -

22. დააკვირდით ზმნის ფორმებს და შეასრულეთ დავალებები:

საწყისი	ახლანდელი დრო (აწმყო)	მომავალი მყოფადი	წარსული (წყვეტილი)	მომავალი (მეორე კავშირებითი)
მოგება	იგებს ის მას	მოიგებს ის მას	მოიგო მან ის	(უნდა/ შეიძლება) მოიგოს მან ის
დაჯარიმება	აჯარიმებს ის მას	დააჯარიმებს ის მას	დააჯარიმა მან ის	(უნდა/შეიძლება) დააჯარიმოს მან ის
წაგება	აგებს ის მას	წააგებს ის მას	წააგო მან ის	(შეიძლება) წააგოს მან ის
გულშემატკივრობა	გულშემატკივრობს ის მას	უგულშემატკივრებს ის მას	უგულშემატკივრა მან მას	(უნდა/შეიძლება) უგულშემატკივროს მან მას
ჩვენება	უჩვენებს ის მას მას	უჩვენებს ის მას მას	უჩვენა მან მას ის	(უნდა/შეიძლება) უჩვენოს მან მას ის
გამარჯვება	იმარჯვებს ის	გაიმარჯვებს ის	გაიმარჯვა მან	(უნდა/შეიძლება) გაიმარჯვოს მან
გატანა (გოლის)	გააქვს მას ის	გაიტანს ის მას	გაიტანა მან ის	(უნდა) გაიტანოს მან ის

23. ცხრილის დახმარებით შეავსეთ გამოტოვებული ადგილები წინადადებებში:

ნიმუში: მოჭადრაკემ თამაში მოიგო.

1. ქართველი კალათბურთელების გუნდმა ეს თამაშიც ..... და გაიმარჯვა.

2. მსაჯმა ფეხბურთელს ყვითელი ბარათი ..... .

3. სამწუხაროდ, გუნდი ამ თამაშს ..... .

4. თუ ფეხბურთელი წესებს არღვევს, მსაჯმა ის აუცილებლად უნდა .....
..... .

5. საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა დიდი ანგარიშით ..... .

6. თორნიკე ახლა ბრაზილიის გუნდს ..... .

7. ნონა გაფრინდაშვილმა ჭადრაკის მსოფლიო ტურნირზე ექვსჯერ .....
..... და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

8. ხვიჩა კვარაცხელიამ გოლი თამაშის დაწყებიდან 3 წუთში ..... .

ლაპარაკი

24. ჩამოწერეთ სპორტის 10 სახეობა, რომლებიც, თქვენი აზრით, მსოფლიოში ყველაზე პოპულარულია.

1. .....

2. .....

3. .....

4. .....

5. .....

6. .....

7. .....

8. .....

9. .....

10. .....

25. წაიკითხეთ ტექსტი და შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი შესაბამისი ინფორმაციით:

საყვარელი სპორტის სახეობა - ვის რა მოსწონს და რატომ?

დემეტრე კვიჟინაძე – ვფიქრობ, სპორტი აუცილებელია ადამიანისთვის. ის აჯანსაღებს ორგანიზმს. მე ფეხბურთი მიყვარს და დავდივარ კიდეც ფეხბურთზე. ჩემი საყვარელი ფეხბურთელია ნეიმარი, საყვარელი გუნდი კი – „ბარსელონა“. წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ჯერ არგენტინას ვგულშემატკივრობდი, მაგრამ, რომ წააგო, მერე ბრაზილიას ვგულშემატკივრობდი, მერე პორტუგალიას და ბოლოს – ხორვატიას.

სანდრო ფარღალავა – სპორტი მიყვარს. განსაკუთრებით ალპინიზმი მომწონს, მინდა, ალპინისტი გავხდე და ევერესტი დავიპყრო. სიმაღლის არ მეშინია და სპეციალური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უკვე მაქვს.

იოანე კვიჟინაძე – სპორტი მიყვარს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ფეხბურთი. სკოლაში ფეხბურთს ვთამაშობდით და ძალიან შემიყვარდა. ახლა დავდივარ კიდეც ფეხბურთზე. აქტიური სპორტია და ცოტა უხეშიც. ჩემპიონატში მესამე ადგილი დავიკავეთ. ბრაზილიის გულშემატკივარი ვარ. ჩემი საყვარელი ფეხბურთელია ნეიმარი. მინდა მასავით ძლიერი, მაგარი და ტექნიკური ფეხბურთელი გამოვიდე. ბურთსაც კარგად ვფლობ. საკუთარ თავს ათბალიანი სისტემით 7 ან 8 ქულით შევაფასებდი.

ლუკა ბებია – სპორტიდან ყველაზე მეტად მომწონს ჭადრაკი და ცურვა. ჭადრაკი იმიტომ მიყვარს, რომ ინტელექტუალური თამაშია. დავდივარ ჭადრაკზე და კარგადაც ვთამაშობ. მინდა ნონა გაფრინდაშვილივით ძლიერი მოჭადრაკე გამოვიდე. მაია ჩიბურდანიძეც მაგარია, მან ერთხელ ფინალში მოუგო ნონა გაფრინდაშვილს, მაგრამ მე მაინც მინდა, ნონა გაფრინდაშვილს დავემსგავსო ჭადრაკის თამაშში.

	რესპონდენტი	**მოსწონს**	**რატომ?**	**საყვარელი სპორტსმენი**
1	**დემეტრე კვიჟინაძე**	ფეხბურთი	უნდა ნეიმარივით მაგარი ფეხბურთელი გამოვიდეს	
2	**იოანე კვიჟინაძე**			

4	**ლუკა ბებია**			**ნონა გაფრინდაშვილი**
5	**სანდრო ფარღალავა**			

26. გამოიყენეთ ზემოთ მოცემული ტექსტი, აირჩიეთ თემა და მეწყვილესთან ერთად გამართეთ დიალოგი:

ა. პოპულარული სპორტული თამაშები
ბ. ჩემი საყვარელი სპორტის სახეობა და სპორტსმენი
გ. მე ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ

საორიენტაციო კითხვები:

1. რა სარგებლობა მოაქვს სპორტს ადამიანის ჯანმრთელობისთვის?
2. სპორტის რომელი სახეობები იცით?
3. სპორტის რომელი სახეობა მოგწონთ? რატომ?
4. რომელია სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობები? რომელ სპორტულ თამაშს თამაშობენ ფეხით? ხელით? როგორ ცხოვრობთ, პასიურად თუ აქტიურად?
5. დაკავებული ხართ თუ არა სპორტით და კონკრეტულად რომელი სახეობით?
6. უყურებთ თუ არა სპორტულ გადაცემებს?
7. რომელია თქვენი საყვარელი სპორტსმენი?
8. რომელ გუნდს გულშემატკივრობთ?

27. გამოიყენეთ ნასწავლი ლექსიკა, აირჩიეთ და დაწერეთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი თემა:

ა. პოპულარული სპორტული თამაშები
ბ. ჩემი საყვარელი სპორტის სახეობა
გ. მე ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებული ლექსიკა.

გრამატიკა: კავშირი რთულ წინადადებაში; უარყოფის ფორმები ქართულში; მომავალში შესაძლებელი მოქმედების გამოხატვა; შემიძლია + საწყისი/II კავშირებითი; ზმნათა მწკრივების გამეორება.

ზმნები: სარგებლობს, ეჩვევა, ეგუება, უზიარებს, წევრიანდება/რეგისტრირდება, ჯავშნის, რიცხავს, უკავშირდება.

თემის გახსნისთვის

1. ვისაუბროთ:

- რა ადგილი უჭირავს ინტერნეტს ჩვენს ცხოვრებაში?
- თქვენ რა დროს ატარებთ ინტერნეტში?
- რას აკეთებთ ინტერნეტის საშუალებით?
- როგორ ფიქრობთ, ინტერნეტის შემოსვლის შემდეგ ჩვენი ცხოვრება და ურთიერთობები უკეთესი გახდა თუ პირიქით?
- რატომ ფიქრობთ ასე?

2. დააკავშირეთ:

ონლაინ	ყიდვა
თიმსის	გავლა
ვებგვერდის	გაკვეთილი
დისტანციურად	ლაპარაკი
რეგისტრაციის	გასვლა
ჩათში	მისამართი
სისტემიდან	სწავლა
ინტერნეტით	ელფოსტა

3. მიღებული ფრაზების გამოყენებით დაასრულეთ წინადადებები:

ნიმუში: *ბევრ ადამიანს მოსწონს დისტანციურად სწავლა.*

1. თიმსის მოხმარებისთვის საჭიროა .....
2. ახალგაზრდებს ძალიან უყვართ .....
3. ამ საღამოს ინგლისური ენის ..... მაქვს 8 საათზე.
4. თუ შეიძლება, მითხარით თქვენი კლინიკის .....
5. ახლა უკვე შეიძლება ნებისმიერი ნივთის .....
6. ეს არის ჩემი .....
7. დააჭირეთ ღილაკს ..... და თქვენ უკვე აღარ იქნებით სისტემაში.

ლექსიკა

ვებგვერდი - სივრცე, ადგილი ინტერნეტში, რომელსაც აქვს მისამართი.

სოციალური ქსელი - ინტერნეტსივრცე, სადაც ადამიანები ვირტუალურად ურთიერთობენ (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტვიტერი და ა.შ.).

ვიკიპედია - ინტერნეტენციკლოპედია.

პოსტი - ტექსტი, რომელსაც ადამიანი წერს სოციალურ ქსელში.

საჯარო - ის, რაც ყველას სანახავადაა დაწერილი ან გაკეთებული.

პირადი შეტყობინება - იგივე მესიჯი, პირადად მინაწერი.

გაწევრიანება/დარეგისტრირება - რაიმეს წევრად გახდომა, აქ: რეგისტრაციის გავლა.

განთავსება (განთავსებული) – ადგილის მიცემა.

ფაქტობრივად - ფაქტების მიხედვით.

ჩათი - პირადი მიმოწერა ორ ან რამდენიმე ადამიანს შორის ონლაინ.

საგანმანათლებლო რესურსები - რესურსები, რომლებიც სწავლაში გვეხმარება.

დისტანციური სწავლა/ სწავლება - ინტერნეტით სწავლა/სწავლება.

მონაცემთა ბაზა - სხვადასხვა მონაცემი ერთად, მონაცემების ერთობლიობა.

საძიებო ველი - ადგილი ინტერნეტში, სადაც ვწერთ ჩვენთვის საინტერესო სიტყვას და ვეძებთ.

დაბლოკვა (დაბლოკილია) - არ მუშაობს, საგანგებოდ არის გამორთული.

გაზიარება - სხვებისთვის გაცნობა.

გავლენას ახდენს - მოქმედებს, ცვლის, აქვს რაიმე შედეგი.

4. ჩასვით მოცემული სიტყვები:

ვებგვერდზე; ინტერნეტსივრცეში; განთავსება; გაზიარება; სოციალური ქსელი; პირადი შეტყობინება; დაბლოკილია; საგანმანათლებლო რესურსები; საძიებო ველში; გაწევრიანება; პოსტი; დისტანციურ სწავლებას.

ა) გუშინ საინტერესო ..... ვნახე, რომელიც ..... ეხებოდა.

ბ) ჩვენი პროდუქტის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ამ .....

გ) ისეთი კარგი სიმღერა მოვისმინე ამ დილით, მომინდა ყველასთვის .....

დ) როდესაც მინდა გავიგო ამა თუ იმ უცხო სიტყვის მნიშვნელობა, მას ვწერ გუგლის ..... და ვნახულობ განმარტებას.

ე) ჩვენ შეგვიძლია ..... ნებისმიერ სოციალურ ქსელში.

ვ) ..... ადამიანებს შორის ურთიერთობას ძალიან აიოლებს.

ზ) ამ ვებგვერდზე დევს ....., რომლებიც მათემატიკის ყველა მასწავლებელს გამოადგება.

თ) ვიკიპედიაში სტატიის ..... ყველა ადამიანს შეუძლია.

ი) ეს ვებგვერდი რატომღაც არ მუშაობს, მგონი .....!

კ) ..... ყველაფერს შეიძლება შეხვდე.

ლ) მესიჯი არის იგივე .....

კითხვა

5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

ინტერნეტი ჩვენს ცხოვრებაში

რა შეგვიძლია ინტერნეტის საშუალებით?

XX საუკუნის 80-იან წლებში ინტერნეტის შექმნით სამყაროში ახალი ეპოქა დაიწყო. ჩვენ მას ისე სწრაფად შევეჩვიეთ, თითქოს მუდამ ასე იყო და კარგად ვერც კი ვხვდებით, თუ რამხელა გავლენას ახდენს იგი მთელ სამყაროზე. დღეისათვის ინტერნეტს დედამიწის მოსახლეობის 1/3-ზე მეტი იყენებს.

საქართველოში არსებობს რამდენიმე კომპანია, ინტერნეტ-პროვაიდერები, რომ-

ლებიც ინტერნეტს გვაწოდებენ.

მაშასადამე, თქვენ გაქვთ კომპიუტერი, გადაიხადეთ გარკვეული თანხა ინტერნეტით სარგებლობისთვის და თვალის დახამხამებაში აღმოჩნდით ინტერნეტის ოკეანეში. აქ, ფაქტობრივად, ყველაფერი შეგიძლიათ გააკეთოთ. მაგალითად:

იყიდოთ სხვადასხვა ნივთი თუ კვების პროდუქტი, რომლებსაც სახლში მოგიტანენ.

ისარგებლოთ სხვადასხვა სერვისით, როგორებიცაა, მაგალითად: ქონების დაქირავება ან გაქირავება, ექიმთან მიღებაზე ჩაწერა, ფულის გადარიცხვა მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ წერტილში, თეატრის ბილეთის ან სასტუმროს დაჯავშნა.

უყუროთ კინოფილმებს და მოუსმინოთ მუსიკას უფასოდ.

შეიტყოთ უახლესი ამბები უფრო ადრე, ვიდრე ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზია მოგაწოდებთ.

მოძებნოთ სამსახური და ზოგიერთ სფეროში იმუშაოთ კიდეც და მიიღოთ ანაზღაურება ინტერნეტის მეშვეობით.

გახსნათ ვირტუალური მაღაზია.

მომსახურება ინტერნეტში შეიძლება იყოს ფასიანიც და უფასოც. ელექტრონული ფოსტა, სკაიპი, ფილმების ყურება, მუსიკის მოსმენა და მრავალი სხვა რამ უფასოა. ზოგი რამ ფასიანია, თუმცა - მაინც კომფორტული.

გარდა ამისა, ინტერნეტს კიდევ ორი რამ გამოარჩევს: განათლების მიღებისა და ადამიანებს შორის კომუნიკაციის თითქმის შეუზღუდავი შესაძლებლობა.



დისტანციური სწავლება

დისტანციური სწავლება სულ უფრო პოპულარული ხდება. მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, მაგრამ, ვფიქრობთ, დადებითი უფრო მეტია და ეს მნიშვნელოვანია.

ელექტრონულ კურსებზე სწავლებისას ისევე, როგორც ჩვეულებრივი სწავლისას, სტუდენტს ურთიერთობა აქვს ლექტორთან და მუშაობს სხვადასხვა მასალაზე.

განსხვავება ისაა, რომ ლექტორთან ურთიერთობა ხდება დისტანციურად, შესასწავლი მასალა კი მსმენელს მიეწოდება ელექტრონულად. ასევე ელექტრონულია ქვიზებისა და გამოცდების ჩაბარება.

ამგვარი სწავლა იმითაა მოხერხებული, რომ მსმენელი სწავლობს სახლში ან მისთვის კომფორტულ ადგილას. ბევრი ოჯახისთვის მატერიალურად ეს უფრო მისაღებია, ვინაიდან სტუდენტს სჭირდება მხოლოდ კომპიუტერი და ინტერნეტი.

მიუხედავად იმისა, რომ დისტანციურ სწავლებას უამრავი კარგი უნივერსიტეტი გვთავაზობს, ზოგი მაინც ფიქრობს, რომ ჩვეულებრივი გზით მიღებული დიპლომი უკეთესია. გარდა ამისა, სტუდენტობა ახალი მეგობრები და მათთან ურთიერთობაა. დისტანციური სწავლების დროს კი, რა თქმა უნდა, უფრო ძნელია მეგობრების შეძენა.

ვიკიპედია

ყველამ იცის ვიკიპედიის არსებობის შესახებ. ეს მართლაც საოცარი, 290-ენოვანი რესურსი, უფასოა. მისი სტატიები შექმნეს ენთუზიასტებმა და მუდმივად აუმჯობესებენ სხვა ავტორები. ვიკიპედიაში სტატის განთავსება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თუმცა ენციკლოპედიის მონაცემებს ვერავინ წაშლის. ყველა სტატიას მუდმივად აკვირდებიან რედაქტორები, რომლებიც საკუთარი ნებით, ანაზღაურების გარეშე მუშაობენ. სტატიებს, რომლებიც არ შეესაბამება ენციკლოპედიის კრიტერიუმებს, მოდერატორები შლიან მონაცემთა ბაზიდან.
ძალიან კარგ სტატიებთან ერთად ვიკიპედიაში შეიძლება შეგხვდეთ ბევრი არასწორი ინფორმაციაც . ყველაზე სანდო და ძლიერი, უდავოდ, არის ვიკიპედიის ინგლისურენოვანი ნაწილი. რუსულენოვანი ვიკიპედიაც კარგად განვითარებულია, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ქართულზე. ამიტომ ვიკიპედიით სარგებლობისას რჩევა ასეთია – გადაამოწმეთ ინფორმაცია სხვადასხვა ენაზე. რაც უფრო მეტი ენა იცით, მით უფრო მეტია შანსი, მიიღოთ სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია.



სოციალური ქსელები

ადამიანს სჭირდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. ამის გამო ინტერნეტში გაჩნდა სოციალური ქსელები, რომელთა საშუალებითაც ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებიან. სოციალური ქსელები მრავალგვარია: Facebook, Twitter, google, youtube და ასე შემდეგ. ყოველი მათგანი განუზომლად პოპულარულია.

საქართველოში განსაკუთრებით ხშირად იყენებენ Facebook-ს. თითქმის ყველა პოლიტიკოსს, ორგანიზაციას, სატელევიზიო არხს, კომპანიას თუ რიგით ადამიანს აქვს ფეისბუქის ანგარიში, სადაც შესაძლებელია საკუთარი აზრების გამოთქმა, კამათი, საინტერესო ამბების განხილვა და ა.შ.

თუმცა სოციალურ ქსელში გაწევრიანებას სარგებლობის გარდა ზიანის მოტა-

ნაც შეუძლია. მაგალითად, ადამიანის პირადი ინფორმაცია ბევრად დაუცველი ხდება მას შემდეგ, რაც მას იგი განათავსებს სოციალურ ქსელში. ეს არის ინფორმაცია ოჯახის, მეგობრების, ცხოვრების წესის, შეხედულებების შესახებ.

გარდა ამისა, ურთიერთობას სოციალურ ქსელებში ძალიან ბევრი დრო მიაქვს და, როცა ადამიანი ამას ეჩვევა, იგი უაზროდ ხარჯავს დროს. ამიტომაც ზოგიერთ სერიოზულ ორგანიზაციაში (მაგ., ევროპის საბჭოს შტაბბინაში) სოციალური ქსელები დაბლოკილია. მუშაობს მხოლოდ ელექტრონული ფოსტა და შიდა დაკავშირების ელექტრონული სისტემა.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ვიტყვით, რომ ინტერნეტი ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იჭერს, თუმცა ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყველა საქმეში კარგია ზომიერება. ნუ გახდებით ინტერნეტის მონები. გონივრულად გამოიყენეთ მისი ფანტასტიკური შესაძლებლობები.

მომზადებული და ადაპტირებულია ინტერნეტსტატიების მიხედვით

1. დედამიწის მოსახლეობის რა ნაწილი იყენებს დღეს ინტერნეტს?
2. ვინ გვაწოდებს ინტერნეტს?
3. რა შეგვიძლია ინტერნეტის საშუალებით?
4. გარდა ყოველდღიური ცხოვრებისა, კიდევ რა ორ მნიშვნელოვან სფეროში გვეხმარება ინტერნეტი?
5. რა არის დისტანციური სწავლება?
6. რა არის დისტანციური სწავლების უარყოფითი მხარე?
7. რატომ არის ბევრი სტუდენტის ოჯახისთვის მისაღები დისტანციური სწავლება?
8. ვის შეუძლია ვიკიპედიისთვის სტატიების დაწერა?
9. რომელი სოციალური ქსელია საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული?

6. დაუბრუნდით ტექსტის იმ ადგილს, სადაც ჩამოთვლილია, რა შეგვიძლია ინტერნეტის საშუალებით და დაასრულეთ წინადადებები:

ნიმუში: *ინტერნეტის საშუალებით მე შემიძლია ვიყიდო საქონელი და კვების პროდუქტი.*

ინტერნეტის საშუალებით

მე შემიძლია .....

მე შემიძლია .....

მე შემიძლია .....

მე შემიძლია .....

მე შემიძლია .....

7. მონიშნეთ სწორი და არასწორი ინფორმაცია:

ინფორმაცია	სწორია +	არასწორია -
ა. დისტანციური სწავლება არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი სწავლებისგან.		
ბ. ჯგუფური მუშაობა დისტანციური სწავლების დროს შეუძლებელია.		
გ. დისტანციური სწავლების დროს სტუდენტს შეუძლია სახლში იყოს.		
დ. დისტანციური სწავლების შემდეგ დიპლომებს ვერ იღებენ.		
ე. დისტანციურ სწავლებას ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს, მაგალითად, ასეთი სწავლის დროს თითქმის ვერ იძენ მეგობრებს.		

8. დააკვირდით: ტექსტში გვხვდება ორი ფორმა - თითქმის და თითქოს.

თითქოს მუდამ ასე იყო;

შეგიძლიათ ფულის გადარიცხვა მსოფლიოს **თითქმის** ნებისმიერ წერტილში.

ეს სიტყვები რომ ერთმანეთში არ აგერიოს, დააკვირდით განმარტებებს და შემდეგ შეასრულეთ დავალება:

თითქოს - არის ნაწილაკი, რომელიც მიუთითებს ისეთ საგანზე, მოქმედებასა და მისთ., რომელიც მთქმელს ვარაუდით ჰგონია, მაგრამ დარწმუნებული არ არის.

მაგ.: თითქოს უკვე ყველაფერი დამთავრდა; თითქოს გარეთ წვიმს.

თითქმის - ზმნიზედაა, რომელიც გვიჩვენებს, რომ რაღაცას ცოტაღა აკლია.

მაგ.: თითქმის სკოლამდე მივედი; თითქმის დავამთავრე ჩემი სამუშაო.

თითქმის; თითქოს

ა) ასე მგონია, ... ჩემ ირგვლივ ყველაფერი ლამაზია.

ბ) დღეს ..... მეტროში დაგინახე. შემეშალა?

გ) ..... მთელი კვირა წვიმდა და გარეთ გასვლა მეზარებოდა.

დ) გარეთ ისეთი მზე ანათებდა, ... წეღან კოკისპირული წვიმა არ ყოფილიყო.

ე) ძალიან მუქი ფერის იყო ის კაბა, ... შავი.

ვ) ..... მთელ დღეებს ინტერნეტში ატარებენ ახალგაზრდები.

ზ) სოციალური ქსელით ..... უფრო იოლია ყველაფრის თქმა.

თ) ..... ხუთი თვე გაატარა მამამ საზღვარგარეთ.

9. დააკვირდით ფრაზებს, რომლებიც ხშირად გვხვდება რთულ წინადადებაში. ბევრი მათგანი ჩვენს ტექსტშიც შეგვხვდა. დააზუსტეთ მათი მნიშვნელობები ლექსიკონის დახმარებით და შემდეგ ჩასვით სათანადო ადგილას:

- განსხვავება ისაა, რომ..
- მიუხედავად იმისა, რომ..
- უნდა ითქვას, რომ ..
- რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით... -ზე
- დადებითი გავლენა იქონია -ზე
- უარყოფითი გავლენა იქონია -ზე

ა) ინტერნეტს დღეს უამრავი მომხმარებელი ჰყავს, რასაც, ***სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით წიგნებზე***.

ბ) ....., ძალიან გამაბრაზე, მაინც მინდა, რომ დღეს ერთად წავიდეთ კინოში.

გ) ამ ფილმის ორივე ვერსია ძალიან საინტერესოა ..... ახალ ვერსიაში ფინალი შეცვლილია.

დ) ..... სოციალური ქსელები ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

ე) ..... ბავშვები განსაკუთრებით სწრაფად ითვისებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს.

ვ) ..... უკვე შემოდგომაა, ჯერ კიდევ თბილი ამინდებია.

ზ) ეს ეზო ძალიან მყუდროა, ... მეორე სახლის ეზოზე.

თ) პანდემიამ ..... ცხოვრების ყველა სფეროზე.

ი) ამ ორ სასტუმროს შორის ....., რომ ერთი აეროპორტთან ახლოსაა, მეორე კი - არა.

კ) ..... ქართულის შესწავლას ბოლო წლებში ბევრი უცხოელი ცდილობს.

ლ) ამ ადამიანმა ..... თავის უცნაურ მეზობლებზე.

10. ჩასვით სიტყვები და ფრაზები შესაფერის ადგილას:

სხვადასხვა ენაზე, დაჯავშნო, ფულის გადარიცხვა, გავლენას ახდენს, ზიანის მოტანაც

ა) ინტერნეტი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე უზარმაზარ .....

ბ) ინტერნეტით შეგიძლია ..... ნებისმიერი სასტუმრო.

გ) ..... მართლაც წამებშია შესაძლებელი ინტერნეტით.

დ) სოციალურ ქსელებს სარგებლობის გარდა ..... შეუძლია.

ე) ვიკიპედიაში სტატიების ნახვა შეიძლება .....

გრამატიკა

კავშირები რთულ წინადადებაში

რთულია წინადადება, რომელიც ორი ან ორზე მეტი წინადადებისგან შედგება.

მაგალითად: ბლოგი არის იგივე ვებგვერდი, სადაც ადამიანები ათავსებენ სხვადასხვა შინაარსის პოსტებს.
ეს წინადადება შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ორი წინადადებისგან:

1. ბლოგი არის იგივე ვებგვერდი.
2. ბლოგზე ადამიანები ათავსებენ სხვადასხვა შინაარსის პოსტებს.

რთულ წინადადებაში სხვადასხვა წინადადების დასაკავშირებლად გამოიყენება **კავშირები**. ქართულში კავშირი ბევრია. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი ტექსტის მაგალითებითურთ:

კავშირი	მაგალითი
როცა	როცა ადამიანი ამას ეჩვევა, იგი უაზროდ ხარჯავს დროს.
სადაც	ბლოგი არის იგივე ვებგვერდი, სადაც ადამიანები ათავსებენ სხვადასხვა შინაარსის პოსტებს.
ვინც	ის, ვინც ეჩვევა დისტანციურ სწავლებას, შემდგომში ძნელად ეგუება ტრადიციული სწავლების მეთოდებს.
რომელიც	შეგიძლია მოუსმინო იმ მუსიკას, რომელიც გაინტერესებს.
როგორც.... ისე	დისტანციურ სწავლებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.
ისევე, როგორც	ელექტრონულ კურსებზე სწავლებისას ისევე, როგორც ჩვეულებრივი სწავლისას, სტუდენტს ურთიერთობა აქვს ლექტორთან და მუშაობს სხვადასხვა მასალაზე.
ვინაიდან	ბევრი ოჯახისთვის მატერიალურად ეს უფრო მისაღებია, ვინაიდან სტუდენტს სჭირდება მხოლოდ კომპიუტერი და ინტერნეტი.
ისეთი(ვე), როგორიც	დისტანციური სწავლების პროგრამები ისეთივეა ან უფრო რთული, როგორიც ტრადიციული სწავლების პროგრამები.
რაც უფრო.....მით უფრო	რაც უფრო მეტი ენა იცით, მით უფრო მეტია შესაძლებლობა, მიიღოთ სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია.

11. შეარჩიეთ და გახაზეთ სათანადო კავშირი:

ა) ყოველთვის, <u>როცა</u>/*მაშინ* გარეთ გავდივარ, კარს გასაღებით ვკეტავ.

ბ) ის, **რომელიც/ვინც** ბევრს შრომობს, წარმატებას აუცილებლად მიაღწევს.

გ) ტყეში, **რაზეც/სადაც** სულ გრილა, ზაფხულის დღის გატარება სასიამოვნოა.

დ) აი, იქ არის სალარო, **სადაც/რაზეც** თქვენ შეიძენთ ბილეთებს.

ე) **ვინაიდან/რატომაც** თვითმფრინავი იგვიანებდა, ჩვენ გადავწყვიტეთ, გვესადილა.

ვ) **სადაც/როცა** მეტყვი, იქ მოვალ.

ზ) ყველაზე მეტად მინდა, **რომ/ამიტომ** მოგზაურობის დრო და ფული მქონდეს.

თ) ხელში მეჭირა წიგნი, **რომელიც/რაც** ახლახან შევიძინე წიგნის ფესტივალზე.

ი) ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა კაცი, **ვინც/რომელიც** პროფესიით მუსიკოსი იყო.

12. შეარჩიეთ ცხრილში მოცემული კავშირები და ჩასვით:

ა) საჩუქარს ის მიიღებს, ... ყველაზე მეტ მოწონებას დააგროვებს.

ბ) ..... დღეს კვირაა, თავისუფალი ვარ და შემიძლია გავისეირნო.

გ) ეს არის ვებგვერდი, ... შეხვალ და ნახავ ისტორიულ ფილმებს.

დ) ..... რაიმე ახალს შევიტყობ ამ საკითხზე, შენც დაგირეკავ.

13. მოცემული კავშირები ჩასვით სათანადო ადგილას:

როგორც...ისე; რაც უფრო; მით უფრო; ისევე როგორც; ისეთივე.... როგორიც

ა) ..... ციოდა გარეთ, ... იბუზებოდნენ ჩიტები.

ბ) სოფელში ..... ქალაქში, საშინლად დაცხა.

გ) ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ ..... ქართველები, ... სხვა ეროვნების ადამიანები.

დ) ..... დილით, ... საღამოთიც, ბევრი ხალხი იყო ტრანსპორტში.

ე) ვახშამიც ..... გემრიელი იყო, ... საუზმე და სადილი.

ვ) ..... ვეცნობოდი ახალ მეგობრებს, ... მომწონდა თითოეული მათგანი.

ზ) ..... ძველ სამსახურში, ახალ სამსახურშიც ცოტა თანამშრომელი გვყავდა.

თ) ეს პატარა ბიჭიც ..... ჭკვიანი ჩანდა, ... მისი უფროსი და.

14. მოიფიქრეთ წინადადებები შემდეგი კავშირების გამოყენებით:

ა) (ვინც) - ვინც სწორად შეასრულებს დავალებას, კარგ ქულას მიიღებს.

ბ) (სადაც).....

გ) (ვინაიდან) .....

დ) (რომელიც) .....

ე) (როცა) .....

15. დააკვირდით უარყოფის ფორმებს და შეავსეთ წინადადებები:

ვერ-ვერც; არ-არც
არ-ვერ> არასდროს-ვერასდროს
არ - კატეგორიული უარყოფა, როცა რაიმეს გაკეთება არ მინდა
ვერ - რაიმეს შეუძლებლობა, როცა რაიმეს გაკეთება არ შეგიძლია

ა) წინა საუკუნეში ინტერნეტი საერთოდ ..... არსებობდა.

ბ) ..... ვიცი, როგორ უნდა დავწერო ეს ტექსტი

გ) პირველი დავალება ძალიან ძნელი იყო, ... დავწერე.

დ) ..... გავიგე, რას ნიშნავს ეს სიტყვა.

ე) მე ..... ვფიქრობ, რომ ჩვენი მასწავლებელი მკაცრია.

ვ) რასაც ..... გაიგებ, აუცილებლად მკითხე!

ზ) ..... ადგე საწოლიდან, შენ ჯერ კიდევ ავად ხარ!

თ) გუშინ თავი ისე მტკიოდა, საწოლიდან ..... ავდექი.

ი) ჩემმა მეგობარმა ისე გამაბრაზა, დღეს მის ზარს ..... ვუპასუხე.

16. შეავსეთ ცხრილები ზმნების ფორმებით:

ა)

ზმნა	აწმყო	უწყვეტელი	მყოფადი	წყვეტილი
დაჯავშნა	მე ვჯავშნი მას		მე დავჯავშნი	
				შენ დაჯავშნე ის
		ის ჯავშნიდა მას	ის დაჯავშნის მას	
გადარიცხვა				მე გადავრიცხე ის
	შენ რიცხავ მას		შენ გადარიცხავ მას	
		ის რიცხავდა მას		მან გადარიცხა ის

ბ)

ზმნა	აწმყო	უწყვეტელი	მყოფადი	წყვეტილი
გამოყენება		მე ვიყენებდი მას		
	შენ ვიყენებ მას			შენ გამოიყენე ის
			ის გამოიყენებს მას	
გადამოწმება	ვამოწმებ მე მას			მე გადავამოწმე ის
		შენ ამოწმებდი მას	შენ გადაამოწმებ მას	
	ამოწმებს ის მას			მათ გადაამოწმეს ის

გ)შეარჩიეთ შევსებული ცხრილებიდან ზმნის 7 ფორმა და შეადგინეთ მათი გამოყენებით წინადადებები:

ნიმუში: გადაამოწმე ეს ინფორმაცია სხვა ვებგვერდებზეც!

ა).....

ბ).....

გ).....

დ).....

ე).....

ვ).....

ზ).....

17. შეარჩიეთ ზმნის სწორი ფორმა:

ა) გუშინ თეატრის ორი ბილეთი ..... (დავჯავშნე/ დაჯავშნე). ხომ წამოხვალ?

ბ) შენ რომელ სასტუმროს ..... (ჯავშნი/ჯავშნის)?

გ) ტურისტები ადგილზე ჩასვლამდე ..... (ჯავშნიან/დაჯავშნეს) სასტუმროს.

დ) ჩემს ინტერნეტბანკს რაღაც სჭირს და ფულს ვერ ..... (ვრიცხავ/ გადავრიცხე), სასწრაფოდ ბანკში უნდა დავრეკო.

ე) თანხას ინტერნეტბანკით ..... (გადარიცხავთ/გადარიცხეთ) თუ ხელზე გექნებათ?

ვ) თუ დედაც მოიფიქრებს წამოსვლას, მაშინ მისთვისაც ..... (დაჯავშნის/დავჯავშნი) ნომერს, კარგი?

ზ) ოპერაცია მარტივია: ..... (რიცხავენ/რიცხავ) საჭირო თანხას, ... (დაჯავშნე/ჯავშნი) სასურველ ნომერს და იცი, რომ სასტუმროში ნებისმიერ დროს შეგიძლია მისვლა.

თ) ის მუდმივად დროულად ..... (გადარიცხა/რიცხავდა) სესხის თანხას ბანკში.

ი) ვერ ..... (გადარიცხავ/გადავრიცხე) თანხა ჩემს ანგარიშზე. ხომ ვერ დამეხმარებით?

18. დააკვირდით მოცემულ ინფორმაციას და სავარჯიშო N5-ის წინადადებებში ზმნური ფორმები შეცვალე საწყისებით:

მომავალში ან ზოგადად განსახორციელებელი/შესაძლებელი მოქმედების გამოხატვა ჩვენ ორგვარად შეგვიძლია:

შემიძლია+ სახელი ნათ, ბრ.-ში + საწყისი

შემიძლია+ ზმნის II კავშირებითი

მაგალითები: მე შემიძლია ჩანთის ყიდვა ან მე შემიძლია ჩანთა ვიყიდო მე შემიძლია სასტუმროს დაჯავშნა ან მე შემიძლია სასტუმრო დავჯავშნო

ნიმუში:

მე შემიძლია ვუყურო კინოფილმებს და მოვუსმინო მუსიკას უფასოდ.

მე შემიძლია კინოფილმების ყურება და მუსიკის მოსმენა უფასოდ.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

19. მოიფიქრეთ ხუთ-ხუთი წინადადება ორივე ვარიანტისთვის:

ა) შემიძლია + საწყისი

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ბ) შემიძლია + II კავშირებითი

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

20. ზემოთ დაწერილი წინადადებები გადაიყვანეთ მესამე პირში:

ა) მას შეუძლია...

.....

.....

.....

.....

.....

ბ)

.....

.....

.....

.....

.....

21. დაუსვით შეკითხვები მეწყვილეს და ჩაიწერეთ მისი პასუხები:

- რომელ სოციალურ ქსელში ხარ რეგისტრირებული? ერთში თუ რამდენიმეში?
- .....
- რომელ მათგანს იყენებ ყველაზე ხშირად?
- .....
- დაახლოებით რამდენ დროს ატარებ სოციალურ ქსელში?
- .....
- რა მოგწონს ამ სივრცეში და რა - არა?
- .....
- როგორ ფიქრობ, რა შეცვალა სოციალურმა ქსელებმა ჩვენს ცხოვრებაში?
- .....

22. ისაუბრეთ თქვენი მეწყვილისა და სოციალური ქსელების ურთიერთობის შესახებ:

ნიმუში: *ნანა/ჩემი მეწყვილე რეგისტრირებულია....*

23. ისაუბრეთ საკუთარ გამოცდილებაზე დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით:

ა) დასწრებიხართ ონლაინგაკვეთილს ან ჩაგიტარებიათ ონლაინგაკვეთილი?
ბ) რამდენად კომფორტულია ან არაკომფორტულია ეს პროცესი? რა არის ამის მიზეზი?
გ) როგორ ფიქრობთ, რა დადებითი მხარე აქვს ონლაინგაკვეთილს?
დ) რა უარყოფითი მხარე აქვს?
ე) როგორ ფიქრობთ, რომელი საგნების/ საკითხების სწავლა ან სწავლებაა უფრო იოლი დისტანციურად? რომელია ძნელი?რატომ?

23. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

(შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ფრაზები ან თქვენი შეხედულებით შეავსოთ)

დავესწრები, მოვალ, გვიან, აუცილებლად, გელოდებით, შემიძლია, რა თქმა უნდა

16.58: ნათია: მოგესალმებით, მეგობრებო. როგორც შევთანხმდით, დღეს 8 საათზე ვიკრიბებით. ჯგუფის წევრებიდან ყველა შეძლებს ონლიანშეხვედრაზე დასწრებას?

16.58 ირმა: კი, მე .....

16.59 ლალი: დიახ, ...

17.00 ბექა: ..... გვიან ..... სახლში. მერე .....

17.10 ირინა: მაპატიეთ, ... ვნახე შეტყობინება. ..... დავესწრები.

17.25 ნათია: მგონი, მხოლოდ აიდა გვაკლია. დაწერს .....

17. 20 აიდა: მეც აქ ვარ. მეც .....

17. 22. კარგი, მაშინ .....

24. წარმოიდგინეთ, რომ მეგობრებთან ერთად გეგმავთ ერთ-ერთი სოფლის სკოლისთვის ბიბლიოთეკის მოწყობას. მოიფიქრეთ და შექმენით მიმოწერა თემაზე: რა შეგვიძლია გავაკეთოთ? (გამოიყენეთ შეგვიძლია + II კავშირებითი/ საწყისი).

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

07

ბანკში მივდივართ

ლექსიკა: ბანკის მომსახურებასთან დაკავშირებული ლექსიკა.

გრამატიკული საკითხი: ქონების სახელები -იან; უქონლობის სახელები - უ - ო; დანიშნულების სახელები - სა - ე, სა - ო.

ზმნები: შეიტანა - შეიტანს, აიღო - აიღებს, გადაიხადა - გადაიხდის, ჩარიცხა - ჩარიცხავს, გადარიცხა - გადარიცხავს, დაერიცხა (თანხა, ჯარიმა) - დაერიცხება (თანხა, ჯარიმა), გადაცვალა - გადაცვლის, დაფარა (სესხი) - დაფარავს (სესხს), გახსნა (ანგარიში) - გახსნის (ანგარიშს), ჩამოიჭრა (თანხა) - ჩამოიჭრება (თანხა).

თემის გახსნისთვის

1. დააკვირდით ფოტოებს და გამოთქვით ვარაუდი, რას ეხება თემა:






ა) ქეთი თავის სტუდენტ ძმას ფულს უგზავნის. - ფოტო №
ბ) გოგონა ბანკომატით იხდის ინტერნეტის გადასახადს.
გ) დავითს განვადებით კომპიუტერის ყიდვა უნდა.
დ) ბანკის თანამშრომელი ახალი სერვისის შესახებ გვიყვება.

ლექსიკა

გაეცანით სიტყვების განმარტებებს და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები:

სიტყვა	განმარტება
ხელფასი	სამუშაოს შესრულებისთვის აღებული ფული
ჯარიმა	თანხა, რომელსაც ვიხდით რაიმე კანონის დარღვევისთვის, ფულადი სასჯელი
განვადება	ნივთის ყიდვა და ნაწილ-ნაწილ გადახდა
დაზღვევა	ფინანსური დაცვა
ხელშეკრულება	საბანკო დოკუმენტი, რომელზეც ორივე მხარე (ბანკი, კლიენტი) აწერს ხელს
სესხი	ბანკიდან ფულის აღება გარკვეული დროით
თანამსესხებელი/თავდები	ადამიანი, რომელიც კლიენტთან ერთად არის პასუხისმგებელი სესხზე
შემოსავალი	ხელფასი, სხვადასხვა საქმიანობიდან აღებული ფული...
ანაბარი	კლიენტის მიერ ბანკში შენახული თანხა
თანხის შეტანა	ფულის გადახდა ბანკში
თანხის გატანა	ფულის გატანა ბანკიდან ან ბანკომატიდან
სესხის დაფარვა	ბანკის ვალის უკან დაბრუნება
მომხმარებელი	ბანკის კლიენტი
მომსახურება	საქმე, რომელსაც ბანკი ასრულებს კლიენტისთვის
სამომხმარებლო სესხი	სესხი რაიმეს მოხმარებისთვის
დანაზოგი	ადამიანის მიერ შენახული თანხა

2. ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩასვით შესაფერისი სიტყვა:

1. არ მინდა ..... აღება, მაგრამ სხვაგვარად ახალ სახლს ვერ ვიყიდი.
2. კერძო კომპანიის თანამშრომელს არ ჰქონდა დიდი .....და ბანკმა არ მისცა სესხი.
3. შარშან გამოვიტანე სამომხმარებლო ..... ბინის რემონტისთვის.
4. გაიანეს დამ შეავსო ონლაინ ..... და იყიდა ძალიან ლამაზი ჭურჭელი.
5. გუშინ ვერ შევიტანე ბანკში სესხის თანხა და დღეს დამემატა 25 ლარი .....
6. ოპერატორმა კლიენტს გადასცა საბანკო ..... და სთხოვა ხელის მოწერა.
7. დავითს მცირედი ..... ჰქონდა, სესხიც გამოიტანა და ბინისთვის ახალი ავეჯი შეიძინა.

3. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

სახელფასე ანგარიში	საუბარი კლიენტსა და ბანკის თანამშრომელს შორის
კრედიტოფიცერთან გასაუბრება	კლიენტისა და ბანკის ორმხრივი საბუთი
მოლარე-ოპერატორი	ბანკის თანამშრომელი
მსესხებელი	თანხის გადახდის საბუთი
საანაბრე ანგარიში	ადამიანი,რომელიც იღებს სესხს ბანკიდან
ფიქსირებული	ბანკიდან ფულის გამოტანა
ხელშეკრულება	ანგარიში თანხის შესანახად
ქვითარი	ანგარიში, რომელზეც ხელფასი ირიცხება
განაღდება	მუდმივი

4. შეავსეთ მოცემული ფრაზებით ტექსტში გამოტოვებული ადგილები:

ბანკში



ანგარიშის გახსნა, დაგეხმაროთ, საანაბრე, როგორი ანგარიში, შევიტან, პასპორტი, აგიხსნათ

- გამარჯობა, რით შემიძლია 1. .....?
- გამარჯობა, 2..... ..... მინდა, შესაძლებელია ?
- თუ გაქვთ პირადობის მოწმობა ან 3. ....., არ იქნება პრობლემა.
- დიახ, მაქვს. აი, ინებეთ. ანგარიშის გახსნა ფასიანია?
- 4. .... გნებავთ ? მიმდინარე (ჩვეულებრივი), სახელფასე თუ საანაბრე?
- 5. ..... ანგარიში მინდა, სადაც 2 წლის განმავლობაში 6. ..... თანხას. მაინტერესებს პირობებიც.
- ახლავე ყველაფერს 7. .....

5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

ბანკის შესახებ

ბანკში შეგვიძლია მივიღოთ სხვადასხვა ტიპის მომსახურება: გავხსნათ ანგარიში ან ანაბარი, ავიღოთ სესხი, გავყიდოთ ან ვიყიდოთ ვალუტა, ან ძვირფასი ნივთები, გავაგზავნოთ თანხა, გამოვიტანოთ თანხა ჩვენი ანგარიშიდან ან, პირიქით, შევიტანოთ თანხა ანგარიშზე, გადავიხადოთ ნებისმიერი გადასახადი და სხვა.

ბანკის ოპერატორები ეხმარებიან კლიენტებს სხვადასხვა ოპერაციის შესრულებაში. ესენია: კომუნალური მომსახურების (გაზი, დენი, წყალი...) გადახდა, ინტერნეტის საფასურის ან ჯარიმების გადახდა. თანხის გადარიცხვა შეიძლება რამდენიმე ფორმით: მობილურის ნომრით, ანგარიშის ნომრით ან პირადი ნომრით. გადახდის შემდეგ ბანკის ოპერატორები კლიენტს აძლევენ ქვითარს. ქვითრის შენახვა აუცილებელია, განსაკუთრებით ჯარიმის გადახდის შემდეგ.

ზოგიერთი მომსახურების დროს (სესხი, განვადება, ანაბარი...) ბანკსა და კლიენტს შორის იდება ხელშეკრულება, ორივე მხარემ უნდა დაიცვას თავისი უფლება და მოვალეობა.

საქართველოში არის რამდენიმე ბანკი: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ვითიბი ბანკი, კრედო ბანკი და სხვა.

ბანკებს ჰყავთ დირექტორები და თანამშრომლები, აქვთ კომფორტული ოფისები, სადაც კლიენტი მიდის, იღებს რიგის ნომერს და ელოდება თავის რიგს, შემდეგ კი ბანკის თანამშრომელს ესაუბრება.

ბანკებს, ასევე, აქვთ ონლაინმომსახურება, ინტერნეტბანკი. ეს ძალიან კომფორტულია იმიტომ, რომ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას მარტივად შეიძლება საჭირო ოპერაციის შესრულება. ბანკები მუშაობენ ყოველდღე (გარდა უქმე დღეებისა), კვირას ისვენებენ.

1. რა მომსახურების მიღება შეგვიძლია ბანკში?
2. ვინ ეხმარება ბანკის კლიენტებს სხვადასხვა ოპერაციის შესრულებაში?
3. რა დოკუმენტს აძლევენ კლიენტს თანხის გადახდის შემდეგ?
4. რა ჰქვია დოკუმენტს, რომელშიც წერია კლიენტის უფლებები და მოვალეობები?
5. როგორი მომსახურებაა ინტერნეტბანკი და რატომ?
6. როგორია ბანკების სამუშაო გრაფიკი?

6. წაიკითხეთ დიალოგები და შემდეგ დააკავშირეთ კითხვა და პასუხი:

ა)

- რა მომსახურება გნებავთ?
- 1500 დოლარი მაქვს და ლარის ყიდვა მინდა.
- ახლავე ვნახავ დღევანდელ კურსს და შეგიცვლით ფულს.
- კარგი, მადლობა. აი, ინებეთ ჩემი პირადობის მოწმობა.

ბ)

- მე მომწონს ეს მომსახურება, ხშირად ვსარგებლობ ბანკომატით. აქ არ არის რიგები, თავისუფლად შემიძლია ფულის შეტანა/ გატანა, კომუნალურების გადახდა და სესხის დაფარვა. მიხარია, რომ უკვე შეიძლება სხვა ქვეყნის ვალუტის აღებაც და ჩარიცხვაც, ეს საუკეთესო სიახლეა!

გ)

- თქვენ გაქვთ კარგი საბანკო ისტორია და ხელფასი. რამდენი გნებავთ სესხი/ კრედიტი?
- 25 000 ლარი, სახლის რემონტისთვის მჭირდება, ორ წელში გადავიხდი.
- კარგი, სამომხმარებლო სესხს გაგიფორმებთ 12 % -ად.

კითხვა	პასუხი
1. რა დოკუმენტია საჭირო ბანკში, ფული რომ შევცვალოთ?	ა) სესხის ასაღებად საჭიროა ხელფასი და კარგი საბანკო ისტორია
2. რის მიხედვით ხდება ფულის შეცვლა ბანში?	ბ) ბანკში ფულის შეცვლა ხდება კურსის მიხედვით.
3. რა ოპერაციები შეიძლება შესრულდეს ბანკომატით?	გ) ბანკში ფული რომ შევცვალოთ, საჭიროა პირადობის მოწმობა.
4. რა სიახლე არის საბანკო აპარატებში?	დ) ბანკომატით შეიძლება შესრულდეს ფულის შეტანა/გატანა, კომუნალურების გადახდა, სესხის დაფარვა.
5. რა არის საჭირო სესხის ასაღებად?	ე) სიახლე საბანკო აპარატებში არის ის, რომ შეიძლება სხვა ქვეყნის ვალუტის აღებაც და ჩარიცხვაც.
6. რამდენ პროცენტში არის სამომხმარებლო სესხი?	ვ) სამომხმარებლო სესხი არის 12%-ად

7. წაიკითხეთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზებები და შეავსეთ ცხრილი:

საქართველოს ბანკი

საქართველოს ბანკში სესხის აღების პროცესი ძალიან გამარტივდა!

თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ ბანკის ონლაინსაიტზე - www.bankofgeorgia.ge-ზე, მობაილბანკში ან ინტერნეტბანკში – პირდაპირ მოითხოვოთ სამომხმარებლო სესხი, რომლის თანხაც თქვენ მიერ არჩეულ ბარათზე ძალიან მალე ჩაირიცხება. იქვე ნახავთ სპეციალურად თქვენთვის შეთავაზებულ სხვა საკრედიტო პროდუქტების ლიმიტებსაც, რომლებიც ბანკმა უკვე დაგიმტკიცათ, მაგალითად, სხვადასხვა ტიპის სესხს, საკრედიტო ბარათს თუ განვადებას. ასე თქვენ ცხოვრებას უფრო გაიმარტივებთ, რადგან გეცოდინებათ, რომ, როცა დაგჭირდებათ, სასურველი სესხის აღებას სწრაფად შეძლებთ.

და კიდევ, შედით მობაილბანკში და, თუ ჯერ კიდევ არ ჩაგირთავთ, ჩართეთ საკრედიტო პროდუქტების ფუნქცია იმისათვის, რომ მაშინვე ან მომავალში ნახოთ ბანკის მიერ თქვენთვის შექმნილი სხვადასხვა საკრედიტო შეთავაზება.

თიბისი ბანკი

შეინახე შენი თანხა თიბისი ბანკში და მიიღე სარგებელი!

ანაბარი - შენს თანხას, რომელსაც შეიტან თიბისი ბანკში, დაერიცხება ყველაზე მაღალი პროცენტი. ანაბარზე თანხის შეტანა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს. საპროცენტო სარგებელი დაგერიცხებათ ანგარიშზე ყოველი დღის ბოლოს. გატანა და გამოყენება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს! საპროცენტო განაკვეთის ტიპი: არ არის ფიქსირებული.

დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ნომერზე: (+995 32) 227 27 27

კრედო ბანკი

სამომხმარებლო განვადება საუკეთესო პირობებით!
კრედო ბანკის საშუალებით, საუკეთესო პირობებით, უამრავ მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ ტექნიკა, ავეჯი და სხვადასხვა ნივთი.

განვადების გამოყენება შეგიძლიათ ნებისმიერი სახის შემოსავლის:
ხელფასის, სოფლის მეურნეობიდან თუ ტურისტული საქმიანობით- მიღებული თანხების შემთხვევაში.

თუ დაგჭირდათ დახმარება, დარეკეთ ამ ნომერზე: + (99532) 242 42 42

ინფორმაცია	საქართველოს ბანკი	კრედო ბანკი	თიბისი ბანკი	ყველა
1. გვთავაზობს სამომხმარებლო სესხის აღებას ონლაინ.				
2. გვთავაზობს ანაბრის გახსნას სხვადასხვა დანიშნულებისთვის.				
3. გვთავაზობს განვადებით საოჯახო ნივთების შეძენას.				
4. დამატებითი ინფორმაციისთვის უთითებს ელფოსტას.				
5. დამატებითი ინფორმაციისთვის უთითებს ტელეფონის ნომერს.				
6. აქვს სარეკლამო ფრაზა.				

გრამატიკა

8. დააჯგუფეთ საწყისი და ზმნური ფორმები:

დარიცხვა, გამოყენება, შემოწმება, შეასრულებენ (ისინი, მას), შეამოწმებენ (ისინი მას), გეცოდინებათ (თქვენ ის), ცოდნა, გატანა, შესრულება, გადახდა, გა-იტანთ (თქვენ მას), შემოგთავაზებენ (ისინი თქვენ მას), დაგეხმარებიან (ისინი თქვენ), გადაიხდით (თქვენ მას), დაგერიცხებათ (თქვენ ის), გამოიყენებთ (თქვენ მას), შემოთავაზება

საწყისები	ზმნური ფორმები
დარიცხვა	დაგერიცხებათ (თქვენ ის)

9. ცხრილში მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: აი, თქვენი სახელფასო ბარათი. უკვე შეგიძლიათ თანხის გატანა.

1. .....
2. .....
3. .....
4. .....
5. .....
6. .....
7. .....

10. შეავსეთ ცხრილი აწმყოს, მყოფადისა და წყვეტილის მწკრივებისთვის:

აწმყო:

ვხსნი მე ანგარიშს		შემაქვს/გამაქვს მე თანხა
	იხდი შენ გადასახადებს	
		შეაქვს/გააქვს მას თანხა
	ვიხდით ჩვენ გადასახადებს	
ხსნით თქვენ ანგარიშს		
	იხდიან ისინი გადასახადებს	შეგვაქვს/გაგვაქვს ჩვენ თანხა

მყოფადი:

		შევიტან /გავიტან მე თანხას
	გადაიხდი შენ გადასახადებს	
გახსნის ის ანგარიშს		შეიტანს/გაიტანს ის თნხას
	გადაიხდით თქვენ გადასახადებს	
გახსნიან ისინი ანგარიშს		შეიტანენ/გაიტანენ ისინი თანხას

წყვეტილი:

	გადავიხადე მე გადასახადები	
გახსნა მან ანგარიში		შეიტანა/გაიტანა მან თანხა

		შეიტანეთ/ გაიტანეთ თქვენ თანხა
	გადაიხადეს მათ გადასახადები	

11. ცხრილში მოცემული ზმნებით შეადგინეთ წინადადებები:

ა) ნიმუში: ხვალ აუცილებლად გავხსნი ახალ ანგარიშს.

ბ) .....

გ) .....

დ) .....

ე) .....

ვ) .....

ზ) .....

თ) .....

12. ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ქონებისა და უქონლობის სახელები:

	ქონების (-იან)	უქონლობის (უ-ო)
ვადა	ვადიანი	უვადო
ფასი		
ხარისხი		
საბუთი		
ხელფასი		
პროცენტი		

13. წინა დავალების მიხედვით ჩასვით შესაბამისი ფორმა:

ა) „საქართველოს ბანკში“ ვალერიმ 2021 წელს გახსნა ..... ანაბარი და 2022 წელს გამოიტანა.

ბ) საერთაშორისო ბაზარზე ავტომობილების ..... ძალიან გაიზარდა.

გ) ..... პროდუქტების მიღება ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

დ) ..... მოქალაქე ბანკში გზავნილს ვერ მიიღებს.

ე) ყოველი თვის ბოლო დღეს ირიცხება ჩემი .....

ვ) „კრედო ბანკის“ განვადების ..... რუსუდანისთვის მისაღები არ არის.

ზ) ბევრ ბანკში უკვე შესაძლებელია ..... მომსახურების მიღება.

თ) ბანკში ბევრი მომსახურება არის სრულიად .....

14. გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას და დააკავშირეთ სიტყვები:

დანიშნულება - მიზანი, რომლისთვისაც არის რაიმე განკუთვნილი, ფუნქცია.
დანიშნულების სახელები - საწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსი: სა- ე ; სა - ო.

სა - ე	სა-ანაბრ-ე, სა-ლომბარდ-ე, სა-ბარათ-ე.
სა - ო	სა-ხელფას-ო; სა-ბანკ-ო, სა-კომისი-ო, სა-კრედიტ- ო, სა-მომხმარებლ-ო, საპროცენტ-ო; სა-სურსათ-ო, სა-ვაჭრ-ო.

სახელფასო	სესხი
საბარათე	პირობები
სამომხმარებლო	ოპერაცია
საბანკო	ბარათი
საკრედიტო	ისტორია
საანაბრე	ლიმიტი

15. ჩასვით მიღებული ფრაზები სწორად:

ა) მობრძანდით, თქვენი .... უკვე დამზადებულია.

ბ) თქვენ ძალიან კარგი .... გაქვთ, სესხის აღება არ იქნება პრობლემა.

გ) თქვენი ...., სამწუხაროდ, მხოლოდ 3000 ლარია.

დ) აი, აქ წერია .... გაეცანით და , თუ თანახმა ხართ, ანაბარს გაგიხსნით.

ე) ბანკომატზე დაეწერა: .... დასრულებულია, გთხოვთ, აიღოთ ბარათი.

ვ) რომელი გნებავთ, ... თუ იპოთეკური სესხი?

16. ჩასვით მოცემული ზმნები:

გაიხსენეთ მეორე კავშირებითი!

კითხვა: რა ვქნა? რა გავაკეთო? - უნდა დავხატო, უნდა წავიდე, უნდა ვუთხრა...

დაელოდო; გადაუღო; შეიყვანო; გაეცნო; მოათავსო; აირჩიო; შეხვიდე; ჩაწერო; დააყენო; დაადასტურო;

როგორ უნდა გახსნა ბანკის ანგარიში მობაილბანკით?

თავიდან უნდა 1. ..... მობაილბანკში, დააჭირო რეგისტრაციას და 2. ..... პირადი ნომერი, უნდა 3.....მობილურის ნომერი და გადახვიდე შემდეგზე.

მერე უნდა 4. ..... ინფორმაციას, გადახედო პირობებს და დაეთანხმო. შემდეგ უნდა 5. ..... ვიდეო საკუთარ თავს, 6. ..... სახე ჩარჩოში და 7. ..... დადასტურებას. უნდა 8 ..... საბუთის

ტიპი, გადაამოწმო მობილურის ნომერი, შეიყვანო ერთჯერადი კოდი. ბოლოს 9..... პაროლი და 10. ..... ამ ნაბიჯების შემდეგ შენ გექნება მობაილბანკი, საიდანაც შეძლებ კომუნალურების გადახდას, ანგარიშების მართვას, ვალუტის კურსის შემოწმებას და სხვა.

ლაპარაკი

17. მოცემულ პასუხებს დაუსვით შეკითხვები:

ა) ჩემს სოფელში არ არის ბანკი.
კითხვა: შენს სოფელში ბანკი არის?

ბ) მე და ჩემი ოჯახის წევრები ხშირად არ დავდივართ ბანკში.

კითხვა: .....

გ) ბანკში ისინი იხდიან კომუნალურ გადასახადებს.

კითხვა: .....

დ) ჩემს მეზობლებს მოსწონთ ,,ლიბერთი ბანკის „ მომსახურება.

კითხვა: .....

ე) ინტერნეტბანკი ძალიან კომფორტული საბანკო სერვისია.

კითხვა: .....

ვ) ელენეს მოსწონს ბანკომატის მომსახურება იმიტომ, რომ არის სწრაფი და მარტივი.

კითხვა: .....

ზ) ბანკის მომსახურებაში არ მომწონს ჯარიმის დარიცხვა.

კითხვა: .....

18. დაუსვით ერთმანეთს კითხვები და ისაუბრეთ:

ა) რომელი ბანკი/ბანკებია თქვენს ქალაქში/სოფელში?
ბ) ხშირად დადიხართ ბანკში?
გ) ძირითადად რა საქმეს ასრულებთ ბანკში?
დ) რომელი ბანკის მომსახურება მოგწონთ? რატომ?
ე) გაქვთ ინტერნეტბანკი? თუ გაქვთ, რისთვის იყენებთ?
ვ) გაქვთ პირადი ანგარიში ბანკში? თუ გაქვთ, რომელ ვალუტაში?
ზ) რამდენპროცენტიან სესხებს გასცემენ ბანკები?
თ) გაქვთ/გქონიათ სესხი ბანკში? რა ტიპის?
ი) ბანკომატის მომსახურებას იყენებთ ხშირად თუ ოპერატორის? რატომ?
კ) რას შეცვლიდით ბანკების მომსახურებაში?

19. წაიკითხეთ ინტერვიუ და გაითამაშეთ თითოეული დიალოგი:

ინტერვიუ ქუჩაში

ჟურნალისტი - კითხვები:

1. რომელია თქვენი ოჯახის ბანკი და რატომ ?
2. რომელი საბანკო მომსახურება მოგწონთ/არ მოგწონთ და რატომ?

სტუდენტი:

1. ჩვენი ოჯახის ბანკი არის „საქართველოს ბანკი“ იმიტომ, რომ ჩვენს სახლთან ახლოს არის და ხშირად იქ მივდივართ.
2. მე მომწონს ონლაინ რიგის დაჯავშნა იმიტომ, რომ დიდხანს არ ვდგები რიგში. არ მომწონს მოკლევადიანი სესხები იმიტომ, რომ ზოგჯერ ვერ ვიხდით ამ სესხს და ჯარიმა გვერიცხება.

მასწავლებელი:

1. ჩვენი ოჯახის ბანკი არის „თიბისი ბანკი“ იმიტომ, რომ ოჯახის წევრებს ხელფასი იქ ერიცხებათ.
2. მე მომწონს მობილბანკით ოპერაციების შესრულება იმიტომ, რომ ბევრი დრო არ მაქვს და ხშირად ვერ მივდივარ ბანკში. არ მომწონს პროგრამული შეცდომები იმიტომ, რომ მიწევს რიგში დიდხანს დგომა.

დიასახლისი:

1. ჩვენი ოჯახის ბანკი არის „კრედო ბანკი“ იმიტომ, რომ მე არ მაქვს სტაბილური შემოსავალი და „კრედო ბანკი“ ამტკიცებს უხელფასო კლიენტებზე გავადებას, გასცემს სესხებს.
2. მე მომწონს ოპერატორების თავაზიანი მომსახურება. არ მომწონს მაღალპროცენტიანი სესხების პირობები.

20. მოემზადეთ და ისაუბრეთ:

ჩემი ოჯახის ბანკი

სურვილის მიხედვით შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ფრაზები:

პირადობის მოწმობა;
ანგარიში ლარში/დოლარში;
იპოთეკური სესხი;
ხშირად დავდივართ;
ხელფასს ვიღებთ;
სახელფასე ანგარიში;
კომუნალურებს ვიხდით;
თავაზიანი ოპერატორები;
შედარებით დაბალი;
რამდენიმე სალარო;
ნაკლები რიგი;
მომწონს/არ მომწონს;
გამართული ბანკომატები;
ათწლიანი კრედიტი;
განვადების პირობები;
კომფორტული გარემო;
დისტანციური მომსახურება;
რიგის ნომერი;
უფასო გატანა;

წერა

21. იპოვეთ სიტყვების განმარტებები ინტერნეტლექსიკონში და შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი:

სასურველი - .....

სესხის გრაფიკი - .....

ვადაგადაცილება - .....

მიკრობიზნესი - .....

საწარმო - .....

დანაზოგი - .....

იპოთეკური - .....

ცირა და გია

ცირა და გია ცხოვრობდნენ ახალქალაქში. ახალქალაქი მდებარეობს ჯავახეთის რეგიონში. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ჰქონდა სტაბილური ხელფასი, უნდოდათ ახალი ბინის შეძენა.

ერთ-ერთმა ბანკმა შესთავაზა სასურველი იპოთეკური სესხი, პირობების გაცნობის შემდეგ გაფორმდა სესხის ხელშეკრულება , რომელზეც ორივე მხარემ მოაწერა ხელი, მსესხებელმაც და ბანკმაც. მათ შეიძინეს ბინა, გაარემონტეს და გადავიდნენ ახალ ბინაში საცხოვრებლად.

სესხი იყო 10-წლიანი და გადახდის გრაფიკიც მათზე მორგებული. 3 წლის განმავლობაში ცირა და გია დროულად იხდიდნენ სესხს, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა და ცირა დარჩა სამსახურის გარეშე.

გია თავიდან ახერხებდა დავალიანების დაფარვას, რადგან ჰქონდათ მცირე დანაზოგიც. რამდენიმე თვის შემდეგ კი შეიცვალა მდგომარეობა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს დაურეკეს ბანკიდან და აცნობეს ჯარიმის შესახებ. ჯარიმა ერიცხებოდათ სესხის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ისინი წავიდნენ ბანკში, შეხვდნენ კრედიტოფიცერს და ისაუბრეს პრობლემაზე. ბანკმა მათ შესთავაზა ახალი გრაფიკი, რომელშიც ყოველთვიური გადასახადი შემცირდა. თუმცა მშვიდად მაინც ვერ იყვნენ, ცირამ დაიწყო ფიქრი მცირე ბიზნესზე. დაწერა პროექტი საკუთარი წარმოების შესახებ და გაგზავნა მიკრობიზნესის დაფინანსების კომპანიებში. ერთმა ცნობილმა კომპანიამ განიხილა მისი პროექტი და დააფინანსა კიდეც.

ახალგაზრდა ოჯახს გაუჩნდა იმედი, პროექტის მიხედვით განახორციელეს ყველაფერი და რამდენიმე თვეში წარმატებასაც მიაღწიეს.

მათ შექმნეს საკუთარი საწარმო, სადაც აწარმოებდნენ სხვადასხვა ტიპის ხარისხიან პროდუქტს. შემდეგ კი რამდენიმე მარკეტში აბარებდნენ. ბიზნესი იყო გონივრულად დაგეგმილი და შემოსავალიც ნორმალური.

ცირამ და გიამ სესხის პარალელურად გახსნეს ანაბარი, სადაც აგროვებდნენ თანხას მანქანის საყიდლად.

ხუთ წელში მათ სესხიც გადაიხადეს და მანქანაც შეიძინეს.

22. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და დაწერეთ შინაარსი ხუთი წინადადებით:

ა) .....

ბ) .....

გ) .....

დ) .....

ე) .....

23. ტექსტის „ცირა და გია“ შინაარსის მიხედვით შეადგინეთ დიალოგი:

ნიმუში: *ლომბარდის ოპერატორთან*
(სატელეფონო დიალოგი)

- გამარჯობა!
- გამარჯობა, ვინ გნებავთ?
- მე ბანკიდან გირეკავთ, ლომბარდის ოპერატორი ვარ, არმინე თქვენ ხართ?
- დიახ, გისმენთ!
- თქვენ 25 იანვარს გქონდათ ლომბარდის თანხა შემოსატანი ბანკში, მოგწერეთ 22-23 იანვარს, დღეს არის 27 იანვარი და დაგემატათ ჯარიმა, გთხოვთ გადაიხადოთ.
- დიახ, ვიცი, რომ შესატანი მაქვს, სმს არ მინახავს, სამწუხაროდ, გადახდა კი დამავიწყდა.
- ყოველი დღის ჯარიმა 20 ლარია, ეს ძალიან ცუდია თქვენთვის, გთხოვთ აღარ დაგავიწყდეთ.
- მადლობა, რომ დამირეკეთ, დღეს მოვალ და შემოვიტან თანხას . სულ რამდენია ?
- 85 ლარი გქონდათ შემოსატანი, დაემატა 40 ლარი, სულ 125 ლარი გაქვთ დღეს შემოსატანი.
- კარგით, ახლა ვმუშაობ, 2 საათზე შესვენება მაქვს და მოვალ აუცილებლად.
- გელოდებით, დროებით.
- მადლობა.

დიალოგი: სატელეფონო საუბარი
(გია და ოპერატორი)

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ლექსიკა: ოფიციალურ დოკუმენტაციაში გამოყენებული ფორმები.

გრამატიკული საკითხი: ინიანი ვნებითის ფორმები (იწერება, იკითხება, იწყება); სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა ზმნებთან (ვნებითი და მოქმედებითი გვარის ზმნები).

ზმნები: იწერება, იგზავნება, იკითხება, იწყება; გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ; გთხოვთ, გვაცნობოთ, მოვითხოვთ, სასურველი იქნებოდა.

თემის გახსნისთვის

1. დაუკავშირეთ ერთმანეთს:

ა) ოფიციალური წერილი ბ) ავტობიოგრაფია (CV), განცხადება
გ) სამოტივაციო წერილი დ) განცხადება



ქუთაისი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართალი_____ფაკულტეტის
სამართალი_____სპეციალობის
პირველი__ კურსი
სტუდენტის (ასული და კვარი)__ დავით თამლიანი
პირადი ნომერი __ 62802009172
ტელ: __ 598886997
ჯგუფის N __ 4
E-mail __ tamliani.davit@atsu.edu.ge

განცხადება

გამარჯობა, გთხოვთ თუ შეგიძლიათ გამაკეთებინოთ ჩემი ქულები დროულად, რომელიც მჭირდება დამფინანსებელთან წარსადგენად.

1



რეზიუმე (CV)

სახელი, გვარი:
დაბადების თარიღი:
პირადი ნომერი:
მისამართი:
ტელეფონი:
ელ-ფოსტა:

1. განათლება:

№	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	ხარისხი	სპეციალობა
1.				
2.				
3.				
4.				
5.				

2. სამუშაო გამოცდილება:

№	წლები	თანამდებობა	დასაქმებული / განყოფილება	ორგანიზაცია
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				

2



სამოტივაციო წერილი

მე ვარ ონისე თირქია, კავკასიის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი. ვსწავლობ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის ფაკულტეტზე და ჩემი მიზანია გავხდე მაღალი დონის ჟურნალისტი საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. ჩემი კარიერული ცხოვრების პირველი ნაბიჯების გადადგმას სწორედ ახლა ვიწყებ და მჭირდება საწყისი წერტილი იმისთვის რომ შევუდგე პროფესიული განვითარების პროცესს. დისციპლინის არ ქონა, უპასუხისმგებლობა, სიზარმაცე, ყოველივე ეს იმ თვისებათაგანია რომელიც მე არანაირად არ მესადაგება. როდესაც ვხედავ, რომ ჩემი სამუშაო გარემო მაძლევს საშუალებას მივაღწიო ჩემს მიერ დასახულ ყველა მიზანს და ამასთანავე დავიკმაყოფილო ამბიციები, შემიძლია იქ ვიყო უკანასკნელი ადამიანი რომელიც თავს დაზოგავს. მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემა თუ როგორ შემიძლია სხვებზე მეტი შევძინო თქვენს კომპანიას, ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს. თქვენ მთავაზობთ ვაკეთო ის რაც სიამოვნებას მანიჭებს, აქედან გამომდინარე გასაკეთებელი საქმე არ იქნება ჩემთვის მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობა. იმ შემთხვევაში თუ ჩემზე მცირე იმედს მაინც დაამყარებთ, შემიძლია დაგარწმუნოთ რომ მოლოდინები ყოველთვის გაგიმართლდებათ. ველი თქვენს პასუხს.

პატივისცემით, ონისე თირქია.

3 4

1	2	3	4
....	....	....	....

2. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ კითხვებს:

- ალო, გისმენთ!
- გამარჯობა! კომპანია „თეთრი სუფრაა?“
- დიახ, კადრების განყოფილებაა. რით შემიძლია დაგეხმაროთ?
- თქვენთან ვაკანსიებია, როგორც ვიცი.
- როგორ მოგმართოთ?
- მარიამი მქვია.
- სასიამოვნოა! ქალბატონო მარიამ, დიახ, ჩვენს კომპანიას აქვს მზარეულის, მიმტანის, მენეჯერის, მძღოლის, დასუფთავებისა და დაცვის თანამშრომელთა ვაკანსიები, ასევე ჩვენთან მუშაობს საბავშვო გასართობი ცენტრიც, სადაც გვჭირდება ანიმატორი. თქვენ რომელი ვაკანსია გაინტერესებთ?
- მიმტანის. იცით, სტუდენტი ვარ და მინდა დღის პირველ ნახევარში ვიმუშაო, სამი საათიდან ლექციები მაქვს; ისე, თავისუფალ დროს ანიმატორობასაც შევითავსებდი.
- ძალიან კარგი. ძალიან გვჭირდება მიმტანი დილიდან შუადღემდე.
- როგორ დავრეგისტრირდე?
- თქვენი CV უნდა მოგვაწოდოთ. გნებავთ, ინტერნეტით გამოგზავნეთ, გნებავთ, ჩვენთან მობრძანდით და აქ შეავსეთ. თუ შეგარჩევენ, შემდეგ განცხადებაც უნდა დაწეროთ.

- ინტერნეტით სჯობს.
- როგორც გენებოთ. შებრძანდით ვებგვერდზე: www. Tetri-sufra.ge CV-ის ფორმა იქ არის, მარტივია, ანკეტასავით. უნდა დაწეროთ თქვენი სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი, განათლება, სამუშაო გამოცდილება.
- სამოტივაციო წერილიც საჭიროა?
- არა, არ არის საჭირო. ქალბატონო მარიამ, გასაუბრებაზე ისაუბრებთ თქვენი უნარებისა და ჰობის შესახებ.
- გმადლობთ. გამოვგზავნი CV-ს
- ნახვამდის, წარმატებები.

უპასუხეთ კითხვებს:

1. რა პროფესიის ადამიანები სჭირდება კომპანიას?
2. თქვენი აზრით, რა დაწესებულებაა „თეთრი სუფრა“?
3. კიდევ რომელი პროფესიები იცით?
4. რა უნდა გააკეთოს მარიამმა ვაკანსიაზე დასარეგისტრირებლად?
5. კიდევ რა უნდა გააკეთოს მარიამმა CV-ის გაგზავნის შემდეგ?
6. თქვენი აზრით, რა არის გასაუბრება?
7. კიდევ რომელი საქმიანი ქაღალდებია დიალოგში ნახსენები?

ა) წერილი, ბ) განცხადება, გ) მიმართვა, დ) სამოტივაციო წერილი.

8. როდის და რატომ უნდა დაწეროს განცხადება მარიამმა?
9. CV-ს ჰგავს: ა) განცხადება ბ) ოფიციალური წერილი გ) ანკეტა.

3. წაიკითხეთ დიალოგი და მონიშნეთ სწორი ინფორმაცია

- გამარჯობა!
- მოგესალმებით! რით შემიძლია დაგეხმაროთ?
- ჩემი შვილის გადმოყვანა მინდა ამ სკოლაში და რა უნდა გავაკეთო?
- პირველ რიგში, განცხადება უნდა დაწეროთ სკოლის დირექტორის სახელზე, რომ გინდათ, თქვენმა შვილმა აქ გააგრძელოს სწავლა.
- უკაცრავად, განცხადების დაწერაში რომ დამეხმაროთ, შეგიძლიათ?
- დიახ, რა თქმა უნდა. ამ ფურცელზე მარჯვენა მხარეს დაწერეთ სკოლის სრული სახელი და დირექტორის სახელი და გვარი (-ს დაბოლოებით), შემდეგ თქვენი სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მისამართი და ტელეფონი. შემდეგი სტრიქონის შუაში დაწერეთ სიტყვა განცხადება. ახალი სტრიქონიდან დაწერეთ, რომ თქვენი შვილის გადმოყვანა გინდათ ამ სკოლის მეშვიდე კლასში. მარცხენა მხარეს დაწერეთ განმცხადებელი, მარჯვნივ – თქვენი სახელის ინიციალი და გვარი სრულად გარკვევით, შუაში მოაწერეთ ხელი, მარჯვენა მხარეს დაწერეთ თარიღი.

- დიდი მადლობა.
- ახლა ამ განცხადებას გავუგზავნი დირექტორს. ის გაგზავნის მოთხოვნას და, რომ გამოგზავნიან დასტურს, დირექტორი დაწერს ბრძანებას თქვენი შვილის მეშვიდე კლასში ჩარიცხვის შესახებ და მოსწავლეს უკვე შეუძლია სკოლაში სიარული. მოსწავლის პირადი საქმე იმ სკოლიდან, სადაც სწავლობდა, უნდა მოიტანოთ სკოლაში.
- დიდი მადლობა! კარგად ბრძანდებოდეთ!
- არაფრის! ნახვამდის!

ა) მონიშნეთ სწორი ინფორმაცია:

ინფორმაცია	+
1) განცხადების ტექსტი იწერება ფურცლის შუაში.	
2) მარჯვენა მხარეს განმცხადებლის სახელი და გვარი.	
3) თარიღი იწერება ფურცლის მარჯვნივ.	
4) მარჯვნივ იწერება დაწესებულების სრული სახელი და დირექტორის სახელი და გვარი.	
5) სკოლაში მოსწავლის პირადი საქმის მიტანა არ არის აუცილებელი.	
6) განცხადებაში უნდა მიეთითოს განმცხადებლის სახელი, გვარი და პოზიცია.	
7) სიტყვა განცხადება იწერება ფურცლის მარჯვნივ.	

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

რისთვის წერს მოქალაქე განცხადებას მოცემულ დიალოგში?

.....

კიდევ როდის სჭირდება ადამიანს განცხადების დაწერა?

.....

რას მოიცავს განცხადება? (რა ნაწილებისაგან შედგება ის)?

.....

თქვენ თუ გჭირდებათ ხოლმე განცხადების დაწერა?

.....

ამოიწერეთ თავაზიანი ფორმები.

.....

ლექსიკა

4. დაუკავშირეთ ერთმანეთს:

პირადი ინფორმაცია	**როდის, სად და რას სწავლობდით**
სამუშაო გამოცდილება	ა) როდის, სად და რომელ ტრენინგებში, კურსებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მიიღეთ მონაწილეობა ?
განათლება	ბ) სად სწავლობდით; რა განათლება მიიღეთ?
პროფესიული განვითარება	გ) ქართული/ინგლისური/რუსული
უნარები	დ) როდის, სად, რაზე მუშაობდით?
ენები	ე) ტელეფონი/ელფოსტა
კომპიუტერული პროგრამები	ვ) კომუნიკაბელური/პუნქტუალური/მოწესრიგებული
საკონტაქტო ინფორმაცია	ზ) Word / Exsel /Power Point
მოქალაქეობა	თ) მისამართი, რომელიც მითითებულია პირადობის მოწმობაში/პასპორტში
ფაქტობრივი მისამართი	ი) რომელი ქვეყნის მოქალაქე ხართ?
იურიდიული მისამართი	კ) მისამართი, სადაც ნამდვილად ცხოვრობთ.

5. დააკავშირეთ ჩვეულებრივი/ნეიტრალური ფორმები ოფიციალურ დოკუმენტაციაში გამოყენებულ ფორმებთან:

1. მოგახსენებთ, რომ	ა) ჩვენ გვჭირდება
2. ჩვენ დაინტერესებული ვართ	ბ) კარგი იქნებოდა
3. გვაქვს ინფორმაცია, რომ	გ) გეტყვით
4. ჩვენ გვესაჭიროება	დ) გაწვდით ინფორმაციას
5. გაცნობებთ, რომ	ე) ჩვენ გვინდა
6. სასურველი იქნებოდა	ვ) ვიცით

6. აირჩიეთ და ჩაწერეთ შესიტყვება სათანადო ადგილას:

ა) მოგახსენებთ, რომ ... ბ) ჩვენ დაინტერესებული ვართ .....

გ) გვაქვს ინფორმაცია, რომ.. დ) ჩვენ გვესაჭიროება .....

ე) გაცნობებთ, რომ ..... .

1. ..... ხელი შევუწყოთ ჩვენს მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში.
2. ..... თქვენი ორგანიზაცია ახორციელებს სხვადასხვა პროექტს მოსწავლეებისთვის.
3. ..... ჩვენი ორგანიზაციის მისამართი შეიცვალა.
4. ..... ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, როდის შეძლებთ დაწყებული სამუშაოების დასრულებას.
5. ..... გვსურს ვითანამშრომლოთ თქვენს ორგანიზაციასთან.

7. გამოიყენეთ მოცემული ფრაზები და შეადგინეთ წინადადებები:

მოგახსენებთ, რომ ... ჩვენ დაინტერესებული ვართ .....

გვაქვს ინფორმაცია, რომ... ჩვენ გვჭირდება, ... გაცნობებთ, რომ .....

8. დააკვირდით სიტყვების განმარტებებს და ჩასვით საჭირო ადგილას:

სიტყვა/ფრაზა	განმარტება
გადაინაცვლა	გადავიდა; ადგილი შეიცვალა
ფორმალური	ოფიციალური
არაფორმალური	არაოფიციალური
ვინაიდან	რადგან
გთავაზობთ	გაძლევთ არჩევანს/წინადადებას
გვიშუამდგომლოთ	დაგვეხმაროთ (ვინმესთან)
თან ერთვის	ახლავს; მასთან ერთად არის
აგება	აწყობა, დალაგება, შექმნა, აშენება

1. ხვალ წვეულებაზე ვერ მოვალ, ... ძალიან დაკავებული ვარ.
2. როცა ..... წერილის ტექსტს ამზადებთ, უნდა დაიცვათ წერილის სტრუქტურა.
3. ჩვენი მაღაზია ..... ჯანსაღი პროდუქტის დიდ ასორტიმენტს.
4. ლექსიკონს ..... მცირე წინასიტყვაობა.
5. შეხვედრამ ეზოში .....
6. ..... გარემოში შეხვედრა მოსწავლეებს სოციალურ უნარებს უვითარებს.
7. გთხოვთ, ... მშობელთან, რომ კონკურსში მონაწილეობის ნება დართოს შვილს.
8. ესეს ..... უნდა ისწავლებოდეს სკოლაში.

9. წაიკითხეთ ტექსტი: „რა არის ოფიციალური წერილი“ და მოცემული ოფიციალური წერილის აბზაცები გაანაწილეთ ცხრილში:

რა არის ოფიციალური წერილი?

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად წერილის წერის კულტურამ ქაღალდის ფურცლებიდან ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა. ელექტრონული ფოსტა ერთ-ერთი მარტივი და გამოცდილი გზაა ადამიანებთან ფორმალური თუ არაფორმალური კომუნიკაციისთვის. გთავაზობთ ფორმალური წერილის აგების ყველაზე გავრცელებულ და საჭირო ფორმას, რომელიც დაგეხმარებათ განივითაროთ და გაიუმჯობესოთ თქვენი წერითი უნარ-ჩვევები.

საქმიანი წერილი ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც იწერება დადგენილი ფორმით.

არაა რეკომენდებული 1-2 გვერდზე მეტი მოცულობის წერილის გაგზავნა, ვინაიდან ის ძნელად იკითხება. საქმიან წერილს აქვს შემდეგი ელემენტები (რეკვიზიტები):

- მიმღების დასახელება (ადრესატი)
- წერილის რეგისტრაციის ნომერი
- მიმართვის ფორმა
- ტექსტი
- დასკვნითი ფრაზა (კომპლიმენტი)
- დანართი
- ხელმოწერა
- რეზოლუცია (ვიზა)
- ავტორი
- თარიღი

ა) 15. 03. 2022 წელი.

ბ) სსიპ. ..... მუნიციპალიტეტის სოფელ ..... საჯარო სკოლის მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმების მსურველთა საპრეტენზიო კომისიას
გ) ქალბატონო/ბატონო .....

დ) მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 4 მარტს გავიარე გასაუბრება სსიპ. ..... მუნიციპალიტეტის სოფელ ..... საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

202.. წლის .... მარტს მოგმართეთ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების, საკონკურსო კომისიის ოქმის გადმოგზავნისა და გადაწყვეტილების კანონიერების განმარტების თხოვნით.

თქვენ მიერ 202. წლის ..... მარტის წერილის თანახმად, საკონკურსო კომისია შედგებოდა ოთხი წევრისაგან; 202.. წლის ..... მარტს ჩატარებულ გასაუბრებას ესწრებოდა 4 წევრზე მეტი.

ე) გთხოვთ, შეისწავლოთ:
1) ვინ ესწრებოდა გასაუბრებას და რა უფლებით?
2) გადმომიგზავნოთ გასაუბრების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ფასდებოდა აპლიკანტი.

ვ) პატივისცემით, **ზ)** ..... **თ**) / სახელი გვარი/

ა) მონიშნეთ წერილის ნაწილები:

1) მიმღების დასახელება (ადრესატი)	ბ
2) წერილის რეგისტრაციის ნომერი	
3) მიმართვის ფორმა	
4) ტექსტი	
5) დასკვნითი ფრაზა (კომპლიმენტი)	
6) დანართი	
7) ხელმოწერა	
8) მოთხოვნა	
9) ავტორი	
10) თარიღი	

როგორ დავწეროთ ოფიციალური წერილი

ორგანიზაციის სახელწოდება (ან კერძო პირის სახელი და გვარი) და მისამართი იწერება წერილის ბლანკის მარჯვენა მხარეს სახელობით ან მიცემით ბრუნვაში.

სსიპ.ქალაქ ..... N საჯარო სკოლის .....ს
ბატონ/ქალბატონ ..... (სახელი, გვარი)
ბატონო/ქალბატონო
<u>თარიღი</u>

თარიღი იწერება ბლანკის ზედა მარცხენა მხარეს.

თუ ვპასუხობთ შემოსულ წერილს, შემდეგ სტრიქონში იწერება შემოსული დოკუმენტის თარიღი და წერილის ნომერი. თარიღი იწერება შემოკლებული ფო-

რმით არაბული ციფრებით: ა) ინგლისური წესით (01.12.96), ამერიკული წესით (დეკემბერი 1, 1996), ან საერთაშორისო სტანდარტით (96.12.01). თარიღის ბოლოს წერტილი არ იწერება.

მიმართვის ფორმა

ქართულ ენაზე მიღებულია როგორც სრული, ისე შემოკლებული მიმართვის ფორმები, როგორებიცაა: „პატივცემულო“, „ღრმად პატივცემულო“, „ბატონო“, „პატ.“, „ბ-ნ“ და სხვ. შემდეგ კი მიეთითება სახელი.

თავაზიანი მიმართვის ფორმები იწერება ტექსტის სათაურის ქვეშ, ბლანკის მარცხენა მხარეს.

1. დაწერეთ წერილის მთავარი აზრი. მოჰყევით, რისი თქმაც გსურთ. გაგზავნის მიზეზები უნდა გაირკვეს შესავალში.

წერილის შინაარსიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, ტექსტი დაიწყოთ შემდეგი ფრაზებით:

მოგახსენებთ, რომ .....
ჩვენ დაინტერესებული ვართ .....
ჩვენ გვჭირდება, ...
გაცნობებთ, რომ .....

2. **მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რის შესახებ წერთ წერილს (აქვე გთავაზობთ საჭირო ფრაზებს):**

ა) გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ .....
ბ) გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ .....
გ) გთხოვთ გვაცნობოთ .....
დ) კატეგორიულად მოვითხოვთ .....
ე) სასურველი იქნებოდა .....

მოკლე წერილში მიღებულია ტექსტის შებრუნებული წყობა (ჯერ დასკვნა, შემდგომ, მოკლე დასაბუთება).

წერილი იწერება ბლანკის მხოლოდ ერთ მხარეზე, ამასთან ისე, რომ შემდეგ გვერდზე მხოლოდ ხელმოწერა (ტექსტის გარეშე) არ იყოს. ყოველი ახალი აზრი იწყება აბზაცით.

დასკვნითი ფრაზა (კომპლიმენტი)

ტექსტის შემდეგ, ცალკე სტრიქონზე, მარჯვენა მხარეს იწერება წერილის დასკვნითი ფრაზები (თავაზიანი ფორმები):
„პატივისცემით“,
„ღრმა პატივისცემით“, „გულწრფელად თქვენი“ და ა.შ.

ამ ფრაზების შემდეგ მძიმე არ იწერება.

დანართი

თუ წერილს თან ერთვის დამატებითი დოკუმენტები (რომლებიც არაა აკინძული ბროშურად), წერილის ხელმოწერამდე იწერება (ფურცლების და ეგზემპლარების რაოდენობის მითითებით). თუ დანართი აკინძულია, გვერდების რაოდენობა არ მიეთითება.

ხელმოწერა

ხელმოწერა სრულდება თანამდებობის დასახელებისა და შესაბამისი პირის გვარის გაშიფვრას შორის.

ბ) დაუკავშირეთ ერთმანეთს:

1) მიმღების დასახელება (ადრესატი)	ა) პატივისცემით,
2) წერილის რეგისტრაციის ნომერი	ბ) ბატონო/ქალბატონო
3) მიმართვის ფორმა	გ) მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 15 ნოემბერს იგეგმება პროექტის „წიგნის ქომაგი“ დასკვნითი ღონისძიება, რომელშიც ჩართული არიან მეზობელი სოფლის სკოლის მოსწავლეებიც
4) თარიღი	დ) ..... /სახელი გვარი/
5) ტექსტი	ე) სსიპ.ქალაქ .....N .. სკოლის .....ს ქალბატონ/ბატონ ....ს (სახელი გვარი)
6) დასკვნითი ფრაზა (კომპლიმენტი)	ვ) გთხოვთ, დაგვრთოთ ნება მოვაწყოთ დასკვნითი ღონისძიება სკოლის სააქტო დარბაზში 15 ნოემბერს 15 საათიდან 17 საათამდე იხ. დანართი 2 ფურცლად
7) თხოვნა	ზ) 10.11.2022
8) ხელმოწერა	თ) ქალაქი ....., ქუჩა ..... N....
9) მისამართი	ი) წერილს თან ერთვის დასკვნითი ღონისძიების პროგრამა.
10) ავტორი	კ) ქართული ენის კლუბის ფასილიტატორი: .....

გ) მოცემული წერილის ნაწილები დაალაგეთ თანმიმდევრობით:

(ტექსტის სტრუქტურის დასაცავად ისარგებლეთ ზემოთ მოცემული ტექსტით)

ა) მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 15 ნოემბერს იგეგმება პროექტის „წიგნის ქომაგი“ დასკვნითი ღონისძიება, რომელშიც ჩართული არიან მეზობელი სოფლის სკოლის მოსწავლეებიც
ბ) ..... /სახელი გვარი/
გ) სსიპ.ქალაქ .....N .. სკოლის .....ს ქალბატონ/ბატონ ....ს (სახელი გვარი)
დ) გთხოვთ, დაგვრთოთ ნება მოვაწყოთ დასკვნითი ღონისძიება სკოლის საქტო დარბაზში 15 ნოემბერს 15 საათიდან 17 საათამდე იხ. დანართი 2 ფურცლად
ე) 10.11.2022
ვ) ქალაქი ....., ქუჩა ..... N....
ზ) წერილს თან ერთვის დასკვნითი ღონისძიების პროგრამა.
თ) პატივისცემით, ქართული ენის კლუბის ფასილიტატორი: .....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

10. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

როგორ დავწეროთ კარგი სამოტივაციო წერილი

გვერწმუნეთ, რომ სამოტივაციო წერილი გაგიწევთ იდეალურ დამატებით სარეკლამო სამსახურს.სამოტივაციო წერილი, გარდა იმისა, რომ დამსაქმებელს აცნობებს, თუ რომელ ვაკანსიაზე ხართ პრეტენდენტი, დაეხმარება მას, გაიგოს - როგორი ხართ თქვენ, როგორც მუშაკი და პიროვნება, რა შეგიძლიათ შემატოთ მომავალ სამსახურს. რა უნდა ჩაწეროთ სამოტივაციო წერილში.

ა) უნდა დაასახელოთ კომპანია და მიმართოთ პასუხისმგებელ პირს.
ბ) პირველ რიგში, უნდა მიუთითოთ, საიდან გაიგეთ ვაკანსიის შესახებ.
გ) დაასახელოთ ვაკანსია, რომელზეც გინდათ მუშაობა.
დ) დაწეროთ, რატომ და რით არის საინტერესო აღნიშნული ვაკანსია თქვენთვის.
ე) მოკლედ ჩამოთვალოთ თქვენი მიღწევები წინა სამუშაო ადგილებზე/თანამდებობებზე და აღნიშნოთ მათი კავშირი ვაკანტურ ადგილთან, რომლითაც ხართ დაინტერესებული და რაზე გაამახვილებთ ყურადღებას მუშაობის პროცესში.
ვ) მოკლეთ და დამაჯერებლად განმარტეთ: იმ შემთხვევაში, თუ მიგიღებენ სამსახურში - თქვენი საქმიანობით რას შემატებთ კომპანიას.
ზ) აუცილებლად უშეცდომოდ მიუთითეთ თქვენი საკონტაქტო ტელეფონი და e-mail დაიმახსოვრეთ, რომ წერილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ერთ გვერდზე (მაქსიმუმ - ორზე). ეცადეთ მოკლედ და კონკრეტულად გამოხატოთ აზრი და მოერიდოთ ზოგად ფრაზებს. არ გაიმეოროთ CV-ში უკვე მითითებული ინფორმაცია.
თ) ტექსტი დაყავით რამდენიმე (3-4) აბზაცად.
თუ ვაკანსიის თაობაზე ინფორმაციის მიღების ოფიციალურ წყაროდ ან საკონტაქტო პირად მიუთითებთ კონკრეტულ კომპეტენტურ ადამიანს, ზუსტად აღნიშნეთ მისი სტატუსი და სამსახურებრივი მონაცემები, რათა გამორიცხოთ არასასურველი გაუგებრობა.

რჩევა: გაითვალისწინეთ, ნაბეჭდი უნდა იყოს კარგი ხარისხის, სამოტივაციო წერილი და CV უნდა იყოს შეცდომების გარეშე.

გისურვებთ წარმატებას.

ა) მონიშნეთ სწორი ინფორმაცია:

სამოტივაციო წერილში შეიძლება	დიახ	არა
1) დავწეროთ ჩვენს სამსახურებრივ მიღწევებზე.		
2) დავწეროთ ჩვენი ბიოგრაფიის შესახებ.		
3) დავწეროთ პროფესიული განვითარების გეგმებზე.		
4) დავწეროთ ჩვენი ჰობის შესახებ.		
5) დავწეროთ ჩვეულებრივი სასაუბრო ენით.		
6) დავწეროთ რატომ დავინტერესდით ან ვაკანსიით.		
7) დავწეროთ, რატომ უნდა შეგვარჩიონ ჩვენ.		

ბ) გადახაზეთ ზედმეტი ინფორმაცია სამოტივაციო წერილში:

1. კომპანიის სახელწოდება, ადრესატის თანამდებობა, სახელი და გვარი (ანუ ვის მიმართავთ)

პატივცემულო .....

2. მე გახლავართ (სახელი გვარი)

3. მე დამაინტერესა თქვენი კომპანიის მიერ ..... თანამდებობაზე გამოცხადებულმა ვაკანსიამ, რომელიც გამოქვეყნებული იყო ..... (მიუთითეთ სად, მაგალითად, საიტზე www .....).

4. აღნიშნული ვაკანსია ჩემთვის მიმზიდველია ....(არგუმენტირებულად, დამაჯერებლად დაასაბუთეთ რით).

5. დღეისათვის მე მაქვს..... (აქ დააფიქსირეთ - რა სახის, მაგალითად, ადმინისტრატიული თუ სხვა) მუშაობის (მაგალითად - 3 წლის) (დააზუსტეთ - მდიდარი, მნიშვნელოვანი თუ საკმარისი) პრაქტიკული გამოცდილება. უფრო დეტალურად ჩემი პირადი მონაცემები მითითებული მაქვს თქვენთან წარდგენილ CV-ში.

6. მე დავიბადე 1957 წლის ..... სოფელ ..... საშუალო სკოლა დავამთავრე ამავე სოფელში .....წელს და სწავლა გავაგრძელე ..... შემდეგ ვმუშაობდი .....

7. მიუხედავად იმისა, რომ არ გამაჩნია გამოცხადებული თანამდებობის .... (აქ მიუთითეთ თანამდებობრივი ფუნქცია, საქმიანობის მიმართულება ან საკითხები) შესრულების დიდი გამოცდილება, ... (აქ აღნიშნეთ, მაგალითად, ფუნქციებისა თუ საქმიანობის საკითხების დაზუსტებისა და შესწავლის შედეგად ან დაასახელეთ სხვა არგუმენტი). დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება ვიყო შესაფერისი კანდიდატი ..... (მიუთითეთ სახელწოდება) თანამდებობაზე.

შემდგომში წარმატებით გავართმევ თავს სამსახურებრივი ..... (დაასახელეთ) მოვალეობების შესრულებას, ვინაიდან ..... (აქ დაასაბუთეთ დამაჯერებელი არგუმენტით კარიერის რომელიმე ეტაპიდან, ან იმით, რომ უკვე გაიარეთ, ან უკვე ასრულებთ სპეციალური ტრენინგისა თუ სტაჟირების გავლას, მოიყვანეთ სხვა დამაჯერებელი არგუმენტი).

8. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

9. ვფიქრობ, რომ ..... (აქ მიუთითეთ პროფესიის/სპეციალობის) თეორიული ცოდნა, აგრეთვე..... (მიუთითეთ რაში) შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საკმარის არგუმენტად. .....

(მიუთითეთ სახელწოდება) ვაკანტურ თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურის განხილვისთვის.

დადებითი პასუხის იმედით,

10. / თქვენი სახელი და გვარი..... ...../

11. / თქვენი საკონტაქტო მონაცემები...../

დაიმახსოვრეთ, ზმნები, რომლებიც იწყება ი-ზე და მთავრდება ება-ზე, ყოელთვის ერთპირიანია და მოქმედი პირი, ანუ სუბიექტი დგას სახელობით ბრუნვაში, ანუ სუბიექტი მთავრდება ა, ე, ი, ო, უ-ზე

მაგალითად: იკერება ის (კაბა) / შეიკერება ის (კაბა)

11. დააკვირდით ზმნებს და შეარჩიეთ სწორი ფორმა:

იწერება ის (წერილი)	წერს ის მას (ბიჭი წერილს)
იკითხება ის (ტექსტი)	კითხულობს ის მას (გოგონა ტექსტს)
იწყება ის (თამაში)	იწყებს ის მას (ბავშვი თამაშს)
იყურება ის (ბებია)	უყურებს ის მას (ბებია ბავშვებს)
იფარება ის (მიწა)	ფარავს ის მას (თოვლი მიწას)
ინთება ის (ნათურა)	ანთებს ის მას (დედა ნათურას)
იჭრება ის (ტორტი)	ჭრის ის მას (დედა ტორტს)
იღებება ის (კედელი)	ღებავს ის მას (ხელოსანი კედელს)

1. ჩვენს სკოლაში გაკვეთილი/გაკვეთილს იწყება ცხრა საათზე.
2. მასწავლებელი/მასწავლებელს გაკვეთილი/გაკვეთილს იწყებს 9 საათზე.
3. ეს ხაჭაპური/ხაჭაპურს იჭრება ექვს ნაჭრად.
4. დედა/დედას ხაჭაპური/ხაჭაპურს ჭრის.
5. ეს ტექსტი/ტექსტს საინტერესოდ იკითხება
6. ბავშვი/ბავშვს კითხულობს ტექსტი/ტექსტს.
7. ოფიციალური წერილი/წერილს ასე არ იწერება.
8. ნინო/ნინოს წერს წერილი/წერილს.

12. შეარჩიეთ და ჩაწერეთ საჭირო ზმნა:

ნიმუში: *ბებია მარტოა და ფანჯრიდან იყურება. (იყურება/უყურებს)*

1. დაბადების დღის ტორტი ..... დღის ბოლოს. (იჭრება/ჭრის)
2. ჩემი მეგობარი საინტერესო სტატიას ..... . (იკითხება/კითხულობს)
3. არაფორმალური წერილი ..... სპეციალური ფორმით. (იწერება/წერს)
4. მიმტანი სამზარეულოში ..... ტორტს და მოაქვს სუფრასთან. (იჭრება/ჭრის)
5. ხვალ 10 საათზე ..... ლექცია. (დაიწყება/დაიწყებს)
6. ნინო სახლში ყოველთვის ..... ნათურას ღამით. (ინთება/ანთებს)
7. ის ყოველ დღე ..... წერილს, მაგრამ არავის აკითხებს. (იწერება/წერს)
8. ეს მოთხრობა საინტერესოა და კარგად ..... (იკითხება/კითხულობს)
9. ექვსნაჭრიანი ხაჭაპური რვა ნაჭრადაც ..... (იჭრება/ჭრის)
10. ნინო ახალი წიგნის წერას მალე ..... . (დაიწყება/დაიწყებს)
11. ეს ნათურა აღარ ..... (ინთება/ანთებს)

13. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნების გამოყენებით:

იწერება,იკითხება, იწყება, იქნება, ითვლება, ინთება,იყურება,ირთვება

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

14. დაუკავშირეთ ერთმანეთს (გაითვალისწინეთ, ერთი სიტყვა შეიძლება უკავშირდებოდეს რამდენიმე სიტყვას):

გირჩევთ	გვაცნობოთ
გთხოვთ	გვიშუამდგომლოთ
საჭიროა	გამოგვიგზავნოთ
მოვითხოვთ	მოგვწეროთ
აუცილებელია	განივითაროთ
უნდა	გაიუმჯობესოთ

15. გაანაწილეთ მოცემული ზმნები ნიმუშის მიხედვით:

გვაცნობოთ, გვიშუამდგომლოთ, გამოგვიგზავნოთ, მოგვწეროთ, განივითაროთ, გაიუმჯობესოთ

ნიმუში: *აუცილებელია, მოგვწეროთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია.*

1. გთხოვთ, ..., ხვალ იქნება თუ არა ღონისძიება.
2. გთხოვთ, ... წერილის პასუხი.
3. გთხოვთ, ..., რა რესურსები დაგჭირდებათ ღონისძიებისთვის.
4. გთხოვთ, ... განათლების სამინისტროსთან, რათა განიხილონ ჩვენი წერილი.
5. საჭიროა, ... მოსმენისა და ლაპარაკის უნარები.
6. გირჩევთ, ... ცოდნა განათლების საკითხებთან დაკავშირებით.

16. სიტყვათა შეთანხმებების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

17. შეავსეთ ცხრილი თქვენი მონაცემებით:

1) სახელი	
2) გვარი	
3) დაბადების თარიღი	
4) ელექტრონული ფოსტა	
5) ტელეფონის ნომერი	
6) იურიდიული მისამართი	
7) ფაქტობრივი მისამართი	
8) ენები	
9) ოჯახური მდგომარეობა	
10) მოქალაქეობა	
11) საფოსტო კოდი	

12) სქესი	
13) კომპიუტერული პროგრამები	
14) ქვეყანა	

18. მოცემული CV-ებიდან შეარჩიე კარგი CV და დაასაბუთეთ თქვენი აზრი:

(დავალების შესასრულებლად გაიხსენეთ წინა ბლოკში მოცემული კარგი CV-ის მახასიათებლები და ისარგებლეთ ქვემოთ მოცემული საორიენტაციო საკითხებით)





1. ინფორმაცია დალაგებულია ბლოკების მიხედვით თანმიმდევრულად;
2. ინფორმაცია მიწოდებულია მოკლედ და ლაკონიურად;
3. ნაწერში არ გვხვდება გრამატიკული შეცდომები;
4. CV გაგზავნილია PDF ფორმატით;

19. როლური თამაში

შექმენით გასაუბრების კომისია, გაეცანით CV-სა და სამოტივაციო წერილს და გაესაუბრეთ აპლიკანტს.

(ისარგებლეთ საორიენტაციო კითხვებით და გასაუბრებისთვის საჭირო ფრაზებით)

დამხმარე კითხვები:

1. წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი.
2. ამ ვაკანსიაზე მუშაობის რა გამოცდილება გაქვთ?
3. რა იცით ..... შესახებ?
4. რა არის თქვენი ძლიერი მხარე?
5. რატომ გადაწყვიტეთ კონკურსში მონაწილეობა?

გასაუბრებისათვის საჭირო ფრაზები:

მე ვიცნობ თქვენს .....
ჩემი ძლიერი მხარეა .....
მე შეიძლია, ...
მე ვარ პასუხისმგებლობიანი, ...

წერა

20. მოცემული დავალებებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი და შეასრულეთ:

ა) გაეცანით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ისარგებლეთ სამოტივაციო წერილის ნიმუშით და დაწერეთ სამოტივაციო წერილი შერჩეულ ვაკანსიაზე:

სკოლაში დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (300 კრედიტიანი) საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

ბ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიარონ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტიანი) ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი (მაძიებლობა), ან პროგრამის ფარგლებში გავლილი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (მაინორი);

გ) უნდა ჰქონდეს მასწავლებლობის უფლება უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით და დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია (საგნის გამოცდა);

დ) უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულებაში შემავალი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

ე) უნდა იყოს 2015 წლამდე სერტიფიცირებული (საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდა) პირი, სასურველია ჰქონდეს მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ბ) https://www.hr.gov.ge/ მითითებულ ვებგვერდზე მოძებნეთ თქვენთვის სასურველი ვაკანსია, გაეცანით მოთხოვნებს, ისარგებლეთ სამოტივაციო წერილის ნიმუშით და დაწერეთ სამოტივაციო წერილი შერჩეულ ვაკანსიაზე.

სამოტივაციო წერილის ნიმუში

კომპანიის სახელწოდება

ადრესატის თანამდებობა, სახელი და გვარი (ანუ ვის მიმართავთ)
პატივცემულო .....

მე დამაინტერესა თქვენი კომპანიის მიერ ..... თანამდებობაზე გამოცხადებულმა ვაკანსიამ, რომელიც გამოქვეყნებული იყო ..... (მიუთითეთ, სად, მაგალითად, საიტზე www .....).

აღნიშნული ვაკანსია ჩემთვის მიმზიდველია ....(არგუმენტირებულად, დამაჯერებლად დაასაბუთეთ- რით).

დღეისათვის მე მაქვს..... (აქ დააფიქსირეთ - რა სახის, მაგალითად, ადმინისტრაციული თუ სხვა) მუშაობის (მაგალითად - 3 წლის) (დააზუსტეთ - მდიდარი, მნიშვნელოვანი თუ საკმარისი) პრაქტიკული გამოცდილება. უფრო დეტალურად ჩემი პირადი მონაცემები მითითებული მაქვს თქვენთან წარდგენილ CV-ში.

მიუხედავად იმისა, რომ არ გამაჩნია გამოცხადებული თანამდებობის .... (აქ მიუთითეთ თანამდებობრივი ფუნქცია, საქმიანობის მიმართულება ან საკითხები) შესრულების დიდი გამოცდილება, ... (აქ აღნიშნეთ, მაგალითად, ფუნქციებისა თუ საქმიანობის საკითხების დაზუსტებისა და შესწავლის შედეგად ან დაასახელეთ სხვა არგუმენტი), დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება ვიყო შესაფერისი კანდიდატი .... (მიუთითეთ სახელწოდება) თანამდებობაზე.

შემდგომში წარმატებით გავართმევ თავს სამსახურებრივი ..... (დაასახელეთ) მოვალეობების შესრულებას, ვინაიდან ..... (აქ დაასაბუთეთ დამაჯერებელი არგუმენტით კარიერის რომელიმე ეტაპიდან, ან იმით, რომ უკვე გაიარეთ, ან უკვე ასრულებთ სპეციალური ტრენინგისა თუ სტაჟირების გავლას, მოიყვანეთ სხვა დამაჯერებელი არგუმენტი)

ვფიქრობ, რომ ..... (აქ მიუთითეთ პროფესიის/სპეციალობის) თეორიული ცოდნა, აგრეთვე..... (მიუთითეთ რაში) შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საკმარის არგუმენტად ..... (მიუთითეთ სახელწოდება) ვაკანტურ თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურის განხილვისთვის.

დადებითი პასუხის იმედით,

/ თქვენი სახელი და გვარი..... ...../
/ თქვენი საკონტაქტო მონაცემები...../

სამოტივაციო წერილი

B1, თემა 1 - საინტერესო ადამიანები	
სავარჯიშოს N:	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 4	შეძლებული-მდიდარი; შთამომავალი - შვილი და მომავალი თაობები; ანებივრებდა - ყველაფერს უსრულებდა; გახლდათ - იყო;
სავარჯიშო 4.ა	გახლდათ, შეძლებული, ანებივრებდა, შთამომავალი.
სავარჯიშო 5	მხარს უჭერდა, მხარს უჭერდა.
სავარჯიშო 6	1 - ერთვება/ ჩაერთო, 2 - გართულდა.
სავარჯიშო 8	ბიოგრაფია.
სავარჯიშო 9	დაბადება -1, ოჯახი- 2, კინემატოგრაფია - 5, მწერლობის ნიჭი - 4, პირველი გამოფენა - 6, დაუჯერებელი ისტორიები - 8.
სავარჯიშო 10	ა - მხატვარი, ბ - ესპანელი, გ - 1904წლის 11 მაისს, დ - სალვადორი მეტისმეტად ამაყი და თავდაჯერული იყო, ე - ამ საკითხზე თქვენზე მეტი ვიციო, ვ - სურდა ერთი შეხედვით ეცნოთ და არავისში შეშლოდათ.
სავარჯიშო 11	სინონიმები: ქედმაღალი - ამპარტავანი, ჯიუტი - პრინციპული, მორიდებული - მორცხვი, ექსტრავაგანტური - ექსცენტრული, ანტონიმები: პრინციპული - დამთმობი, ამპარტავანი - თავმდაბალი, მორცხვი - თამამი, ნიჭიერი - უნიჭო.
სავარჯიშო 12	1- მკაცრი, 2- დიასახლისი, 3 - უმცროსი, 4 - თავდაჯერებულად, ამაყად, 5- წერის, 6 - კინემატოგრაფიაში, 7 - ბუზებს, 8 - წარმოსახვის.
სავარჯიშო 13	თავდაჯერებული - სალვადორ დალი საკუთარ თავს „ღვთაებრივ დალის„ ეძახდა. სურდა, ერთი შეხედვით ეცნოთ, არასოდეს არავისში შეშლოდათ. ამპარტავანი, ქედმაღალი - სალვადორ დალიმ, ერთხელ, ასეთი რამ განაცხადა: „ყოველ დილას აღუწერელი ბედნიერების შეგრძნება მაღვიძებს მხოლოდ იმის გამო, რომ სალვადორ დალი ვარ. ჯიუტი - პედაგოგებიც უჩიოდნენ, რადგან პრინციპულად არ პასუხობდა კითხვებს - ამ საკითხზე თქვენზე მეტი ვიციო. ექსტრავაგანტური - 1926 წელს დალი სან-ფერნანდოს უნივერსიტეტიდან ზედმეტი ექსტრავაგანტურობისა და პედაგოგებისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო გარიცხეს. გულჩათხრობილი - მამა და მეგობრები გვიამბობენ, რომ იგი ბავშობიდანვე დაბნეული და საკუთარ თავში ჩაკეტილი იყო.
სავარჯიშო 14	6, 4, 2, 5, 1, 3.

სავარჯიშო 15	ესპანელი მხატვარი და ფერმწერი; სალვადორ დალი; 1904 წლის 11 მაისს; ესპანეთი, კატალონიის ქალაქი ფიგერასი; 1989 წლის 23 იანვარი; ფიგერასი, საკუთარი სახლის ეზო; ერთი უმცროსი და, ანა-მარია; მხატვრობა; ექსცენტრიული, ექსტრავაგანტური, ქედმაღალი, თავდაჯერებული, ჯიუტი; წერდა ლექსებს, 15 წლის ასაკში ის მეგობრებთან ერთად ჟურნალს გამოსცემდა, წერდა სცენარებს, ეხმარებოდა ლუის ბუნიუელს უკვე კლასიკად ქცეული ფილმების გადაღებაში. თანამშრომლობდა ალფრედ ჰიჩკოკთან. აინტერესებდა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფია; დასთან მეგობრობდა, კლასელებთან არ მეგობრობდა, ჰიჩკოკთან თანამშრომლობდა, პედაგოგების კითხვებს არ პასუხობდა- თქვენზე მეტი ვიცი, მაგალითად , ოთხვარსკლავიან სასტუმროში თხები შერეკა. ზოგჯერ ბუზები სჭირდებოდა. სასტუმროს პერსონალს აჭერინებდა და თითოში 5 ფრანკს უხდიდა.
სავარჯიშო 16	უწყვეტელი : იზრდებოდა, აინტერესებდა, უჩიოდნენ, პასუხობდა, გამოსცემდა, ეხმარებოდა, თანამშრომლობდა, ცხოვრობდა, ცდილობდნენ, ატარებდა, აწყობდა, ხატავდა. წყვეტილი: შეეშალა, დაიბადა, შეძლო, დაიწყო, გამოსცა, მოსინჯა, გაემგზავრა, გააგრძელა, გაიმართა, გარიცხეს, გაიგო, დაუტოვა, შერეკა, განაცხადა.
სავარჯიშო 17	მუშაობდა, მუშაობს,ცხოვრობდა, გამოსცემდა,აინტერესებს, გააგრძელა, ატარებდა.
სავარჯიშო 18	1- ის,-ს; 2- იდან, -ამდე; 3- ს; 4-ის,-ს ; 5 - იდან, -ამდე; 6. - ს.
სავარჯიშო 19	1- თავდაჯერებულად, ამაყად; 2 - კონდუქტორად ; 3- მოსამსახურედ ; 4 - სცენარისტად ; 5- გენიოსად; 6 - დარაჯად; 7 - მებაჟედ; 8 - პროფესიონალად.
სავარჯიშო 21	ბ) ინტერვიუ
სავარჯიშო 23	მშვიდი, მომთმენი - დინჯი, აუღელვებელი, თავშეკავების უნარი მქონე, მებრძოლი - საქმიანობაში წინააღმდეგობას არ ნებდება, შრომისმოყვარე - ვისაც შრომა უყვარს, ბეჯითი, თავმდაბალი - მოკრძალებული, მორიდებული ადამიანი, პასუხისმგებლობა - როდესაც საქმის გამო ვალდებულებას გრძნობ, მკაცრი - თვისება ადამიანისა, რომლისაც ყველას ეშინია, გულწრფელი - ვინც თავის გრძნობებს არ მალავს .
სავარჯიშო 24	თავშეკავებული - გაწონასწორებული, ზარმაცი- უქნარა, გულწრფელი - გულახდილი, აუღელვებელი - მშვიდი
სავარჯიშო 25	- ს, - ს , - იდან, -ამდე, - ის
სავარჯიშო 26	წელს, წლიდან, წელი/წელს

B1, თემა 2 - რა პროფესიის ხართ?	
სავარჯიშო 1	მშენებელი, მასწავლებელი, დამლაგებელი, ექიმი, მზარეული, სტილისტი, მხატვარი, ბალერინა, დიზაინერი, მკერავი, ფოტოგრაფი.
სავარჯიშო 4	1. დეველოპერი; 2. შეადგენს; 3. აკმაყოფილებს; 4. აითვისა; 5. დღითი დღე; 6. მაღალანაზღაურებადი; 7. ფლობს / აითვისა.
სავარჯიშო 6	1. გ; 2. ე; 3. კ; 4. ვ; 5. დ; 6. თ; 7. ა; 8. ლ; 9. ი; 10. ზ; 11. ბ.
სავარჯიშო 7	1-შენ რას შვრები?; 2-თავს კარგად ართმევს; 3-კონკურენციის გაზრდა; 4-შეადგენს; 5-მოთხოვნის გაზრდა; 6-სწავლის გაგრძელება; 7-არ იქნება ურიგო; 8-დაეუფლო; 9-ათვისება; 10-მისცემს თავს უფლებას; 11-ინტერესებს ვერ აკმაყოფილებს.
სავარჯიშო 9	ა) -1; ბ) 1); 3); 6).; 7) გ) 1-გ; 2-ზ; 3-ე; 4-ბ; 5-დ; 6-ა; 7-თ; 8-ვ; 9-ი
სავარჯიშო 10.	დადებითი: მოთხოვნადი პროფესიაა; მაღალანაზღაურებადი პროფესიაა; პროგრამირების სწავლა უნივერსიტეტის გარდა, შეიძლება ონლაინ ისწავლო; მოკლე დროში შეიძლება ისწავლო. უარყოფითი: მოითხოვს მჯდომარე ცხოვრების წესს; შეიძლება დაშორდე სამყაროს; ონლაინსწავლა ან თვითონ დაუფლება პროფესიის რთულია.
სავარჯიშო 12.	გადაწყვიტეთ თქვენ ის; გჭირდებათ თქვენ ის; ვიმუშაო მე; დაფიქრდით თქვენ; მისცემთ თქვენ მას მას; შევადარებდი მე მას მას; აკმაყოფილებს ის მას; გამოგდით ის თქვენ.
სავარჯიშო 14	ა) სად? რომელ? როდის? ვინ? რომელ? ბ) ის დავინახე, რაც არ მინდოდა. ნარინი იქ ცხოვრობს, სადაც ადრე მისი ბებია ცხოვრობდა. იმ ქალს დაეხმარა, რომელსაც მძიმე ტვირთი მიჰქონდა. გიორგი იმ დავალებას ასრულებს, რომელიც გუშინ ვერ დაწერა. დედა სახლში მაშინ მოდის, როდესაც ყველა სახლშია. გ) იქ-სადაც, იმ-რომელსაც; მაშინ-როდესაც; ის-რაც; იმას-ვისაც. დ) 1-გ; 2-დ ; 3-ა; 4-ბ; 5-ვ; 6-ე; 7-თ; 8-ზ.
სავარჯიშო 15	1-რომელიც; 2-რომლებიც; 3-რადგანაც; 4-რომლის; 5-რომელმაც; 6-რაც; 7-როდესაც; 8-სადაც; 9რომ; 10-რისთვისაც.
სავარჯიშო 18.	1-ელი დიალოგი: პოლიციელი; მე-2 დიალოგი: ექთანი/ექიმი; მე-3 დიალოგი: მენეჯერი.

B1, თემა3 - რას გვირჩევენ დიზაინერები	
სავარჯიშოს N:	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	1.-5; 2.მისაღები, სასტუმრო; 3. საძინებელი, კაბინეტი; 4. დედას-სამზარეულო, ფატიმას საძინებელი და მისაღები.
სავარჯიშო 2	სასტუმრო-ნაცრისფერი-წვეულებებს მართავენ; საძინებელი-ლურჯი.... კაბინეტი.... მეცადინეობს;
სავარჯიშო 2 ბ)	ნაცრისფერი, ღია ყავისფერი, მუქი მწვანე .
სავარჯიშო 3	1. საძინებელი; 2.კაბინეტი; 3.სამზარეულო; 4.მისაღები; 5. სასტუმრო; 6.აბაზანა.
სავარჯიშო 4	გ. დიზაინერის;
სავარჯიშო 6	დიზაინერი: აკეთებს ინტერიერის გეგმას, არჩევს ფერებს და სტილს; ინტერიერი არის შიდა სივრცე.
სავარჯიშო 7	ა. ოჯახი შექმნა
სავარჯიშო 9 ბ	სტაფილოსფერი, შინდისფერი, იასამნისფერი, იისფერი, ვარდისფერი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი, მელნისფერი.
სავარჯიშო 11	საძინებელი: კედლები ყავისფერი, ფანჯრები-თეთრი.
სავარჯიშო 11 გ	ცივი ფერები: მწვანე, იასამნისფერი, მელნისფერი, მუქი მწვანე; თბილი ფერები: ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, ღია წითელი.
სავარჯიშო 11 დ	1. - თბილი ფერები, 2. - ცივი ფერები.
სავარჯიშო 12	ყვითელი-თბილი; შინდისფერი-თბილი; მელნისფერი-ცივი; მწვანე-ცივი; ლურჯი-ცივი; სტაფილოსფერი-თბილი; წითელი-თბილი.
სავარჯიშო 13 ა	ჭუჭყიანი, მკაფიო, ბინძური, მკაფიოდ.
სავარჯიშო 13ბ	1. ბ) წესრიგი; 2. გ) მუქი; 3. ა) ბნელი.
სავარჯიშო 15.	1.ბინძური; 2. სტილს; 3. დამღლელი; 4.პალიტრა; 5.მკვეთრად; 6. წესრიგი; 7.კლასიკური; 8. უწესრიგობა; 9.კრემისფერი; 10. პროპორციულად.
სავარჯიშო 17	1. ა) სივრცე, ბ) ვრცელი; 2. ა) სინათლე, ბ) ნათელი; 3. ა) მარტივია, ბ) სიმარტივე.
სავარჯიშო 18	1. მშვიდი-სიმშვიდე; 2. კეთილი-სიკეთე; 3. ბრძენი-სიბრძნე; 4. გიჟი-სიგიჟე; 5. ცოცხალი-სიცოცხლე; 6. ბრაზი-სიბრაზე; 7. ცარიელი-სიცარიელე.
სავარჯიშო 20	1. აქვთ დიდი ფანჯრები; 2. სადა და მარტივი; 3.ყავისფერი; 4. რომელ მხარეს არის ფანჯრები; 5. მუქ მწვანეს, ხსნის დაღლილობას.
სავარჯიშო 21	1. ბ) მეტი სივრცე; 2. გ) შიდა ფანჯრები; 3. ა) სხვადასხვა ფერი; 4. დ) კლასიკურია.

სავარჯიშო 22	სამზარეულოში: ყავისფერი, შოკოლადისფერი, კრემისფერი; საძინებელში: მუქი მწვანე; მისაღებში: ცივი, თბილი და პასტელის ფერები.
სავარჯიშო 23	გ) ჩრდილოეთით-თბილი ფერები. ა) სამხრეთით-ცივი ფერები; ბ) აღმოსავლეთით-პასტელის ფერები: ოქროსფერი, ვარდისფერი, ღია მწვანე.
სავარჯიშო 24ბ	უ-ო: უშვილო, უფულო, უსუფთაო, უპურო, უდროო; უ-ურ: უწიგნური, უგემური; უბედური, უსაქმური; უ-ულ: უფერული, უწვერული.
სავარჯიშო 24გ	უბედო; უიღბლო, უენო, უფანჯრო, უმარილო, უსუნო; უგულო, უგემოვნო, უჩრდილო.
სავარჯიშო 25	ქონა-ყოლის: აივნიანი, გემოვნებიანი, განათლებული, ზრდილობიანი, ღიმილიანი, იმედიანი, ხალისიანი. უყოლობა-უქონლობის: უფანჯრებო, უნაპირო, უიმედო, უხალისო.
სავარჯიშო 28	1. რჩევა; 2. აუცილებლობა; 3. სურვილი; 4. აუცილებლობა; 5. სურვილი; 6. რჩევა; 7. აუცილებლობა.
სავარჯიშო 29	გამოიყენოს/ გაანაწილოს/ შეღებოს/ გაანათოს/იგრძნოს/ დაეხმაროს/
სავარჯიშო 30	გამოიყენეთ შიდა ფანჯრები; საძინებელში მუქი მწვანე გამოიყენეთ, სამზარეულოში-ყავისფერი, მისაღები იმის მიხედვით შეღებეთ, საით არის ფანჯრები; ამშვიდებს ადამიანს; სწორად გაანაწილეთ ფერები; როცა ფანჯრები აღმოსავლეთითაა; დიახ, რა თქმა უნდა.
სავარჯიშო 33	პარკეტის/ლამინატის/გრანიტის/მოზაიკის დაგება; კაფელ-მეტლახით მოპირკეთება; კედლების შეღებვა; იატაკის მოჭიმვა.
სავარჯიშო 34	1. მოპირკეთების; 2. დაგება; 3. სარემონტო მომსახურებისთვის; 4. შეღებვა; 5. მოჭიმვა; 6. ლაქით შეღებვა; 7. პარკეტის დაგება;.
სავარჯიშო 36	3, 1, 6, 4, 9, 2, 7, 5, 8.
სავარჯიშო 37	1. როგორი ბინა მოგწონს?; 2. რამდენი ოთახი გინდა გქონდეს?; 3. როგორ სტილში გინდა იყოს?; 4. როგორი ავეჯი მოგწონს?; 5. რომელი ფერების გამოყენება გინდა?; 6.რომელი ფერები მოგწონს?; 7. რომელი ფერები გინდა სასადილო ოთახისთვის?; 8. რომელი ფერები გინდა საძინებლისთვის?; 9. რა ფერი გინდა სამზარეულოში?; 10. თვითონ გააკეთებ?

B1, თემა 5 - თუ სპორტი გიყვართ...	
სავარჯიშოს N:	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 3	ბ, დ, ვ, ზ, თ
სავარჯიშო 6	ჩოგბურთი - 8; ბეისბოლი - 3; ფრენბურთი - 15; ჰოკეი - 1; სათხილამურო სპორტი - 18; კრიკეტი - 6; კალათბურთი - 10; კრივი - 12; ცურვა - 2; ფეხბურთი - 11; ჭადრაკი - 14; წყალში ხტომა - 16; რაგბი - 4; გოლფი - 5; მაგიდის ჩოგბურთი - 9; ჯომარდობა - 7; მძლეოსნობა - 13; მშვილდოსნობა - 17.
სავარჯიშო 10	1. ფეხბურთი; 2. გუნდი; 3. მეკარე; 4. მოედანი/კარი; 5. მსაჯი; 6. კომენტატორი; 7. თასი; 8. ანგარიში; 9. გულშემატკივარი; 10. ფიფას ემბლემა.
სავარჯიშო 11	1. ფეხბურთი, 3. კომენტატორი, 4. კარი 5. გუნდი, 6. თასი, 7. გულშემატკივარი, 8. ანგარიში.
სავარჯიშო 12	გულშემატკივარი - მომხრე, მხარდამჭერი, ქომაგი; ანგარიში - თამაშის შედეგი; დაჯარიმება - დასჯა; აღმართული - მაღლა აწეული; შეჯიბრება - თამაში გუნდებს შორის.
სავარჯიშო 13	წესების დარღვევა; გოლის გატანა; ანგარიშის გახსნა; მოწინააღმდეგის მიერ; გულშემატკივრების ხმა; გუნდური სპორტი; ფიფას თასი.
სავარჯიშო 14	1. ბ; 2. ა; 3. დ; 4. გ; 5. ვ; 6. თ; 7. ე; 8. ზ.
სავარჯიშო 19	1. ბ; 2. დ; 3. ა; 4. ვ; 5. თ; 6. კ; 7. ზ; 8. გ; 9. ლ; 10. ე.
სავარჯიშო 20	ა. 3; ბ. 5; გ. 4; დ. 2; ე. 7; ვ. 8; ზ. 6; თ. 9.
სავარჯიშო 23	1. მოიგო; 2. უჩვენა; 3. წააგებს; 4. დააჯარიმოს; 5. გაიმარჯვა; 6. გულშემატკივრობს; 7. გაიმარჯვა; 8. გაიტანა.

B1, თემა 6 - ინტერნეტი ჩვენს ცხოვრებაში	
სავარჯიშოს N:	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 2	ონლაინგაკვეთილი; თიმსის ელფოსტა; ვებგვერდის მისამართი; დისტანციურად სწავლა; რეგისტრაციის გავლა; ჩათში ლაპარაკი; სისტემიდან გასვლა; ინტერნეტით ყიდვა
სავარჯიშო 3	1. რეგისტრაციის გავლა; 2. ჩათით ლაპარაკი; 3. ონლაინგაკვეთილი; 4. ვებგვერდის მისამართი; 5. ინტერნეტით ყიდვა; 6. თიმსის ელფოსტა; 7. სისტემიდან გასვლა.
სავარჯიშო 4	ა) პოსტი/დისტანციურ სწავლებას; ბ) ვებგვერდზე; გ) გაზიარება; დ) საძიებო ველში; ე) გაწევრიანება; ვ) სოციალური ქსელი; ზ)საგანმანათლებლო რესურსები; თ)განთავსება; ი)დაბლოკილია; კ)ინტერნეტსივრცეში; ლ) შეტყობინება.

სავარჯიშო 6	ვისარგებლო სხვადასხვა სერვისით/ვუყურო კინოფილმებს და მოვუსმინო მუსიკას/შევიტყო უახლესი ამბები/მოვძებნო ახალი სამსახურო/გავხსნა ვირტუალური მაღაზია
სავარჯიშო 7	ა. არასწორია; ბ. არასწორია; გ. სწორია; დ. არასწორია; ე. სწორია.
სავარჯიშო 8	ა) თითქოს; ბ) თითქოს; გ)თითქმის; დ) თითქოს; ე)თითქმის; ვ) თითქმის; ზ) თითქოს; თ) თითქმის.
სავარჯიშო 9	ბ) მიუხედავად იმისა, რომ; გ) მიუხედავად იმისა, რომ; დ) უნდა ითქვას, რომ; ე) უნდა ითქვას, რომ; ვ) მიუხედავად იმისა, რომ; ზ) რასაც ვერ ვიტყვით; თ) უარყოფითი გავლენა იქონია; ი) განსხვავება ისაა, რომ; კ) უნდა ითქვას, რომ; ლ) დადებითი გავლენა იქონია.
სავარჯიშო 10	ა) გავლენას ახდენს; ბ) დაჯავშნო; გ) ფულის გადარიცხვა; დ) ზიანის მოტანა; ე) სხვადასხვა ენაზე.
სავარჯიშო 11	ბ) ვინც; გ) სადაც; დ) სადაც; ე) ვინაიდან; ვ) სადაც; ზ) რომ; თ) რომელიც; ი) რომელიც.
სავარჯიშო 12	ა) ვინც; ბ) ვინაიდან; გ) სადაც; დ) როცა.
სავარჯიშო 13	ა) რაც უფრო... მით უფრო; ბ) ისევე, როგორც; გ) როგორც... ისე; დ) როგორც ...ისე; ე) ისევე...როგორც; ვ) რაც უფრო... მით უფრო; ზ) ისევე, როგორც; თ) ისეთივე... როგორიც.
სავარჯიშო 15	ა) არ; ბ) არ; გ) ვერ; დ) არ; ე) ვერ; ვ) არ; ზ) ვერ; თ) არ.
სავარჯიშო 17	ა) დავჯავშნე; ბ) ჯავშნი; გ) ჯავშნიან; დ) ვრიცხავ; ე) გადარიცხავთ; ვ) დავჯავშნი; ზ) რიცხავ /ჯავშნი; თ) რიცხავდა; ი) გადავრიცხე.

B1, თემა 7 - ბანკში მივდივართ	
სავარჯიშოს N:	სწორი პასუხები
სავარჯიშო 1	ა. 2; ბ. 1; გ. 3; დ. 1
სავარჯიშო 2	1. სესხის; 2. ხელფასი; 3. სესხი; 4. განვადება; 5. ჯარიმა; 6. ხელშეკრულება; 7. დანაზოგი.
სავარჯიშო 3	კრედიტოფიცერთან გასაუბრება - ლაპარაკი/საუბარი კლიენტსა და ბანკის თანამშრომელს შორის; მოლარე-ოპერატორი - ბანკის თანამშრომელი; მსესხებელი - ადამიანი,რომელიც იღებს სესხს ბანკიდან; სანაბრე ანგარიში - ანგარიში თანხის შესანახად; ფიქსირებული მუდმივი; ხელშეკრულება - კლიენტსა და ბანკის ორმხრივი საბუთი; ქვითარი - თანხის გადახდის საბუთი; განაღდება - ბანკიდან ფულის გამოტანა.

სავარჯიშო 4	1. დაგეხმაროთ; 2. ანგარიშის გახსნა; 3. პასპორტი; 4. როგორი ანგარიში; 5. საანაბრე; 6. შევიტან; 7. აგიხსნით.
სავარჯიშო 6	1. გ; 2. ბ; 3. დ; 4. ე; 5. ა; 6. ვ.
სავარჯიშო 7	1. საქართველოს ბანკი; 2. თიბისი; 3. კრედო; 4. საქართველოს ბანკი; 5. თიბისი, კრედო; 6. ყველა.
სავარჯიშო 8	საწყისები: გამოყენება, შემოწმება, ცოდნა, გატანა, შესრულება, გადახდა, შემოთავაზება; ზმნური ფორმები: გამოიყენებთ, შეამოწმებენ, გეცოდინებათ, შემოგთავაზებენ, დაგეხმარებიან, გადაიხდით, გამოიყენებთ.
სავარჯიშო 12	ვადიანი/უვადო; ფასიანი/უფასო; ხარისხიანი/უხარისხო; საბუთიანი/უსაბუთო; ხელფასიანი/უხელფასო; პროცენტიანი/უპროცენტო.
სავარჯიშო 13	ა. ვადიანი ანაბარი; ბ. ფასი; გ. უხარისხო; დ. უსაბუთო; ე. ხელფასი; ვ. პროცენტი; ზ. ხარისხიანი; თ. უფასო.
სავარჯიშო 14	სახელფასო ბარათი; საბარათე ოპერაცია; სამომხმარებლო სესხი; საბანკო ისტორია; საკრედიტო ლიმიტი; საანაბრე პირობები.
სავარჯიშო 15	ა. სახელფასე ბარათი; ბ. საბანკო ისტორია; გ. საკრედიტო ლიმიტი; დ. საანაბრე პირობები; ე. ოპერაცია დასრულებულია; ვ. სამომხმარებლო სესხი.
სავარჯიშო 16	1. შეხვიდე; 2. შეიყვანო; 3. ჩაწერო; 4. გადაუღო; 5. მოათავსო, დაელოდო, აირჩიო; 7. დააყენო; 8. დაადასტურო.

B1. თემა 8. მოქალაქე და ორგანიზაცია	
სავარჯიშოს N:	სწორი პასუხები:
სავარჯიშო 1	1. დ; 2. ბ; 3. ა; 4. გ.
სავარჯიშო 2	1. მზარეული, მიმტანი, მენეჯერი, მძღოლი, დასუფთავებისა და დაცვის თანამშრომელი, ანიმატორები; 2. რესტორანი; 4. CV უნდა გაგზავნოს ან ადგილზე შეავსოს; 5. განცხადება უნდა დაწეროს; 7. დ; 8. თუ შეარჩევენ, რომ დაიწყოს მუშაობა; 9. გ.
სავარჯიშო 3	ა) სწორია: 2), 3), 4), 6). არასწორია: 1), 5), 7). ბ) 1. ახალ სკოლაში შვილი მიჰყავს; 2. სამსახურის დაწყებისას ან სამსახურიდან გათავისუფლებისთვის; 3. მიმართვა, ვის სახელზეც იწერება განცხადება; განმცხადებლის პოზიცია, სახელი-გვარი, ტელეფონი, მეილი, მისამართი; ძირითადი ტექსტი; განმცხადებლის ხელმოწერა და თარიღი. 5. მოგესალმებით; რით შემიძლია დაგეხმაროთ? უკაცრავად,... დიახ, ... კარგად ბრძანდებოდეთ!

სავარჯიშო 4	1. დ; 2. ბ; 3. ა; 4. ვ; 5. გ; 6. ზ; 7. ე; 8. ი; 9. კ; 10. თ
სავარჯიშო 5	1. გ; 2. ე 3. ვ; 4. ა; 5. დ; 6. ბ.
სავარჯიშო 6	1. ბ; 2. გ; 3. ა; 4 .დ; 5. ე.
სავარჯიშო 8	1. ვინაიდან; 2. ფორმალურ; 3. გთავაზობთ; 4. თან ერთვის; 5. გადაინაცვლა; 6. არაფორმალურ; 7. გვიშუამდგომლოთ; 8. აგება.
სავარჯიშო 9	ა) 1. ბ; 3. გ; 4. დ; 5. ვ; 7. ზ; 8. ე; 9. თ; 10. ა. ბ) 1. ე; 2 - ; 3. ბ; 4. ზ; 5. გ; 6 . ა; 7. ვ; 8. დ; 9. თ; 10) კ. გ) 1. ე ; 2. გ; 3. ვ; 4. ა; 5. დ; 6. ზ; 7. თ; 8. ბ.
სავარჯიშო 10	ა) დიახ: 1), 3), 6), 7); არა: 2,) 4), 5). ბ) 2), 6,) 8).
სავარჯიშო 11	1.გაკვეთილი; 2. მასწავლებელი/გაკვეთილს; 3. ხაჭაპური; 4. დედა/ ხაჭაპურს; 5. ტექსტი; 6. ბავშვი/ტექსტს; 7. წერილი; 8. ნინო/წერილს.
სავარჯიშო 12	1. იჭრება; 2. კითხულობს; 3. იწერება; 4. ჭრის; 5. დაიწყება; 6. ანთებს; 7. წერს; 8. იკითხება; 9. იჭრება; 10. დაიწყებს; 11. ინთება.
სავარჯიშო 14	გირჩევთ, განივითაროთ; გირჩევთ, გაიუმჯობესოთ; საჭიროა, გვაცნობოთ; საჭიროა, გამოგვიგზავნოთ; საჭიროა, მოგვწეროთ; საჭიროა, განივითაროთ; საჭიროა, გაიუმჯობესოთ; მოვითხოვთ, გვაცნობოთ; მოვითხოვთ, მოგვწეროთ; მოვითხოვთ, გამოგვიგზავნოთ; მოვითხოვთ, გვაცნობოთ; აუცილებელია, გვაცნობოთ; აუცილებელია, გამოგვიგზავნოთ; აუცილებელია, მოგვწეროთ; აუცილებელია განივითაროთ; აუცილებელია, გაიუმჯობესოთ; უნდა გვაცნობოთ; უნდა გამოგვიგზავნოთ; უნდა მოგვწეროთ; უნდა განივითაროთ; უნდა გაიუმჯობესოთ.
სავარჯიშო 15	1. გვაცნობოთ; 2. გამოგვიგზავნოთ; 3. მოგვწეროთ; 4. გვიშუამდგომლოთ; 5. განივითაროთ; 6. გაიუმჯობესოთ.
სავარჯიშო 17	ა) 1. პირადი ინფორმაცია; 2. სამუშაო გამოცდილება; 3. განათლება; 4. პროფესიული განვითარება; 5. ენები; 6. კომპიუტერული პროგრამები; 7. უნარები. ბ) 1, 2, 6, 7, 11, 14, 5, 4, 12, 3.
სავარჯიშო 18	ბ) 1, 3, 4, 2. გ) 3, 2, 1.
სავარჯიშო 19	4, 1, 3.